

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და
ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

მარია ლორთქიფანიძე

ქართლი V საუკუნის მეორე ნახევარში



გამომცემლობა „მეცნიერება“

თბილისი

1979

9 (C2Γ)
9 (47·922)
ლ 852

ნაშრომში წარმოდგენილია V საუკუნის მეორე ნახევრის ქართლის სამეფოს პოლიტიკური ისტორია. ამასთანავე, რათა ეპოქის სურათი მეტ-ნაკლებად მთლიანი იყოს, პოლიტიკურ ისტორიას წამმდვარებული აქვს სოციალურ-ეკონომიკური ვითარების მიმოხილვა, ხოლო დასკვნით ნაწილში მოცემულია კულტურული ვითარების მოკლე დახასიათება.

შესავალი

V ს. მეორე ნახევრის ქართლის ისტორიაში უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ ფიგურას წარმოადგენს დიდი სახელმწიფო მოღვაწე მეფე ვახტანგ I. ამ პერიოდის ქართლის ისტორიის ძირითადი მოვლენები ვახტანგ გორგასალის სახელთანაა დაკავშირებული და ამდენად ამ ეპოქას შეიძლება ეწოდოს ვახტანგ გორგასლის ეპოქა.

V საუკუნის მეორე ნახევარში ამიერკავკასიის ქვეყნები ორი ძლიერი სახელმწიფოს — ბიზანტიის იმპერიისა და სასანიანთა ირანის პოლიტიკური ინტერესების სფეროში იმყოფებოდნენ. V საუკუნის მანძილზე ურთიერთობა ირანსა და ბიზანტიას შორის უმთავრესად მშვიდობიან ხასიათს ატარებდა, რაც ამ ქვეყნებში არსებული საკუთარი სირთულეებით იყო განპირობებული. ბიზანტიის იმპერია დიდის გაჭირვებით იცავდა თავს ვანდალებისა და გუთებისაგან. V საუკუნის მეორე ნახევარში იმპერიაში მძიმე მდგომარეობა იყო შექმნილი შინაკლასობრივი და კლასობრივი წინააღმდეგობის გამო, რაც უმთავრესად სხვადასხვა ქრისტიანულ სექტებს შორის არსებულ დაპირისპირებასა და პროვინციების მღელვარებაში პოვებდა გამოხატულებას. მძიმე მდგომარეობას უქმნიდნენ იმპერიას ჩრდილო კავკასიიდან ჰუნები და სხვა მომთაბარე ტომები, რომელთაგან თავდაცვას ის ვერ უზრუნველყოფდა და ირანს, რომელიც დარუბანდისა და დარიალის გასასვლელებს თავისი სამხედრო ძალით იცავდა, ბიზანტია სამხედრო სუბსიდიას უხდოდა. სასანიანთა ირანს დიდ სიძნელეებს უქმნიდა მომთაბარე ტომების გაძლიერება იმპერიის აღმოსავლეთ საზღვრებზე. V საუკუნის მეორე ნახევარში ჰეფთალეებმა დაიმორჩილეს თოხარისტანი, სოლდი და ზოგი სხვა პროვინცია და შექმნეს ძლიერი სახელმწიფო. შაჰი პეროზ II (459—484) ჰეფთალეებთან ბრძოლაში დამარცხდა და ტყვედ ჩავარდა. იგი იძულებული შეიქნა დიდი კონტრიბუცია გადაეხადა მათთვის და დაეთმო მერვის აღმოსავლეთით მდებარე რაიონები. პეროზს იმპერატორმა ზინონმაც (474—491) შეუწყო ხელი და მოეხმარა ტყვეობიდან განთავისუფლებაში. ჩანს იმპერიას ირანი მომთაბარეებზე ნაკლებ საშიშ

ძალად მიიწინადა. მაგრამ პეროზმა ახალი ომი წამოიწყო ჰეყთალებას წინააღმდეგ, ირანის ლაშქარი დამარცხდა და შაჰი დაიღუპა.

ქართლის სამეფოსაც დიდ სიძნელებებს უქმნიდა მომთაბარეთა თავდასხმები ჩრდილო კავკასიიდან, მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ ზეკარების გამაგრებით ბიზანტია და ირანიც იყო დაინტერესებული და ქართლის სამეფო ახერხებდა ამ ვითარების გამოყენებას მეტ-ნაკლებად თავის სასარგებლოდ.

ძალთა ასეთი თანათარღობის პირობებში აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში უპირატესობა V საუკუნის მეორე ნახევარში მაინც სასანიანთა ირანის მხარეზე იყო!

V—VI სს. ირანელებმა ერთმანეთზე მიყოლებით გააუქმეს მეფობა სომხეთში, ალბანეთსა და ქართლში. ამ ქვეყნების მმართველებად შაჰის ხელისუფლება თავის მოხელეებს ნიშნავდა. ირანის მძლავრობა იწვევდა ამიერკავკასიის ხალხთა ბრძოლას. საკუთარი მდგომარეობის განმტკიცების მიზნით ირანის ხელისუფლება აქ ქრისტიანობას მაზღეანობას უპირისპირებდა. ირანელთა მძლავრობის წინააღმდეგ ბრძოლა საკუთარი სარწმუნოების დაცვაში გამოიხატებოდა.

V ს. მეორე ნახევრის ქართლის ისტორიისათვის ჩვენ სხვადასხვა ხასიათის საისტორიო წყაროები მოგვეპოვება, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია იაკობ ხუცესის თხზულებას „წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ“. სპეციალურ ლიტერატურაში კარგა ხანია დადგენილია, რომ ეს ნაწარმოები V საუკუნის 60—70-იან წლებში მომხდარ მოვლენებზე მოგვითხრობს, მაგრამ მიუხედავად ამისა, „შუშანიკის მარტვილობის ეპოქა“ ჩვენ უფრო ფართოდ გვესმის და მასში V საუკუნის მეორე ნახევარს ვგულისხმობთ. ასეთი გაგება გამართლებული უნდა იყოს იმ ვითარებით, რომ ვარსკენ პიტიახშის ოჯახში დატრიალებული ტრაგედია, რომელიც ასე ოსტატურადაა წარმოჩენილი იაკობის თხზულებაში, განპირობებულია V საუკუნის მეორე ნახევარში მახლობელ აღმოსავლეთში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციით.

იაკობ ხუცესის „წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ“, როგორც ცნობილია, ჩვენამდე მიღწეული უძველესი ქართული თხზულებაა. თხზულების ავტორი პიტიახშის კარის ხეცესი, შუშანიკის პირადი მოძღვარი და აღწერილ მოვლენათა თანამედროვე და თანამონაწილეა².

სასანიანთა ირანის მძლავრობის პირობებში პიტიახში ვარსკენი დაუტოვებს მამა-პაპათა სჯულს, ქრისტიანობას და ამასვე ნოითხოვს

თავისი მეუღლისაგან. ამ ნიადაგზე აღმოცენებული კონფლიქტი მძიმე ტრაგედიადა გადაიქცევა და შუშანიკის მოწამებრივი სიკვდილით მთავრდება.

„შუშანიკის მარტვილობის“, როგორც საისტორიო ნაწარმოების, განხილვის დროს ყოველთვის დგება საკითხი იმის შესახებ, თუ რამ გამოიწვია ასეთი მწვავე კონფლიქტი პიტიახშის ოჯახში, რატომ გამოიჩინა შუშანიკმა ასეთი შეუპოვრობა და რამ განარისხა ვარსკენი თავიდანვე ასე სასტიკად. ამ საკითხს თითქმის ყველა მკვლევარი შეხებია, ვისაც კი ეს თხზულება განუხილავს ისტორიული თუ ლიტერატურული თვალსაზრისით.

ქართლის, სომხეთისა და ალბანეთის დამორჩილებისათვის უდიდესი წინიშენლობა ჰქონდა სარწმუნოების საკითხს. იმდროინდელი პოლიტიკური მოღვაწეებისათვის კარგად იყო ცნობილი სარწმუნოების მნიშვნელობა და მისი როლი ამა თუ იმ ხალხის ცხოვრებაში და სწორედ ამიტომ იყო, რომ ირანი ყოველგვარი ზომებით ცდილობდა ამიერკავკასიის ქრისტიანულ ქვეყნებში მაზდენობის დანერგვას. ამ მიზანს ემსახურებოდა ქვეყნის თავკაცების ძალით გამაზდენება, ამიერკავკასიაში მოგვების გაგზავნა და მათი საქმიანობისათვის ყოველნაირ ხელის შეწყობა. როდესაც ირანისათვის აშკარა გახდა, რომ ის ამიერკავკასიის ქრისტიანულ მოსახლეობას თავის სარწმუნოებაზე ვერ მოაქცევდა, მაშინ სხვა პოლიტიკაზე, ანტისახელმწიფოებრივი ქრისტიანული სექტებისადმი მხარდაჭერის პოლიტიკაზე გადავიდა.

V საუკუნე ქართლსა და სომხეთში დაძაბული ანტიირანული ბრძოლით მიმდინარეობდა. მამიკონიანთა სახლი, რომლის წარმომადგენელიც შუშანიკი იყო, სომხეთში ანტიირანული ფრონტის ხელმძღვანელად გამოდიოდა.

ქრისტიანობა ირანელთა წინააღმდეგ ბრძოლის ყველაზე ძლიერი იდეოლოგიური იარაღი იყო. შუშანიკი ქმრის მიერ სარწმუნოების გამოცელაში, პირველ რიგში, ირანელთა პოლიტიკური ბატონობის დამკვიდრებისათვის ხელის შეწყობას ხედავდა. ამდენად პიტიახშის ოჯახში მომხდარი კონფლიქტი იმდროინდელი აღმოსავლეთ საქართველოს საერთო სურათის ერთ-ერთი მცირე ნაწილია, მასში გამოხატულია ერთი მხრივ, ირანელთა წინააღმდეგ მებრძოლი ქრისტიანობისა და საკუთარი თვითმყოფლობის დამცველი ძალა, ხოლო მეორე მხრივ. ერისა და სარწმუნოების რენეგატები.

შუშანიკის პროტესტი ქმრის მიმართ არ შეიძლება ვარსკენს გაეგო როგორც მხოლოდ პირადი, ოჯახის ფარგლებში მოქცეული

შეურაცხყოფა. ვარსკენს გამაზღვანების პოლიტიკური მნიშვნელობა შესანიშნავად ესმოდა, ამიტომ იყო, რომ შაჰს ოჯახის წევრების ცეცხლთაყვანისმცემლობაზე მოქცევას პირდებოდა. მართალია, მან ცოლს ვერაფერი მოუხერხა, მაგრამ შეიღებს გამოაცვლევინა სარწმუნობა. ვარსკენის შვილების გამაზღვანება პიტიახშის სახლის მომავალი მეთაურების, ე. ი. ქართლის პოლიტიკურად გაბატონებულ არისტოკრატის სპარსოფილებით უზრუნველყოფის საქმეს ემსახურებოდა.

შუშანიკისა და ვარსკენის ურთიერთობას განსაკუთრებით ართულებდა იმდროინდელ მახლობელ აღმოსავლეთში შექმნილი საერთო პოლიტიკური ვითარება.

შუშანიკი იყო ვარდან მამიკონიანის ასული. ვარდან მამიკონიანი, სახელოვანი სარდალი, სათავეში ედგა სომეხი ხალხის გმირულ ბრძოლას ირანელთა წინააღმდეგ 450—451 წწ. 482 წელს, როდესაც ქართლის მეფე ვახტანგ გორგასალი იწყებდა ბრძოლას ირანელების წინააღმდეგ, სომეხების მოკავშირე ლაშქრის სათავეში ვარდანის ძმისწული, შუშანიკის ბიძაშვილი ვაჰან მამიკონიანი იდგა. შუშანიკი გვევლინება, ერთი მხრივ, თავისი ოჯახის, ხოლო, მეორე მხრივ, ქართლში მოქმედი ანტიირანული ძალების მხარდამჭერად. ეს იმ დროს, როდესაც ვარსკენ პიტიახში სრულიად შეუზღუდველი ხელისუფალი იყო თავის სამფლობელოში. მას ირანი უმაგრებდა ზურგს. ვარსკენ პიტიახში ირანის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ძლიერი დასაყრდენი ძალა იყო ქართლში. შუშანიკის სიკვდილი მისი პროირანული პოლიტიკის უხეში და აშკარა გამოვლინება იყო და თანამედროვე საზოგადოება ასეც აფასებდა ამ ფაქტს. როდესაც ვახტანგ გორგასალი იწყებდა ბრძოლას ირანელების წინააღმდეგ, მან პირველ რიგში ვარსკენ პიტიახში მოაკვლევინა. ვარსკენის მოკვლით ვახტანგმა აჯანყების დაწყების წინ თავიდან მოიცილა ყველაზე ძლიერი შინაური მტერი. ამასთანავე ამ აქტს სიმბოლური მნიშვნელობაც ჰქონდა.

რასაკვირველია, ვარსკენ-შუშანიკის კონფლიქტში არც პირადული მხარეა მთლად გამოსათიში. ვარსკენის მიერ სჯულიერი ცოლის, შუშანიკის გვერდით მაზღვანური წესით მეორე ცოლის მოყვანა, შუშანიკის ოჯახიდან წასვლა და ამით ვარსკენის შეურაცხყოფა, დაძაბულ პოლიტიკურ-რელიგიურ სიტუაციასთან ერთად ქმნიდა უალრესად რთულ მდგომარეობას.

ნიშანდობლივია, რომ შუშანიკი მარტო არ იყო. მას საპყრობილემდე ხალხის ბრბო მიაცილებდა. „და მივიდოდა წმიდისა მის თა-

ნა. მოგვითხრობს აგიოგრაფი, ამბობს მრავალი დედებისა და მამებისა სიმრავლეს ურიცხვ, რამეთუ უკუანა შეუღდგეს, კმა აღმალა და ტიროდეს, და იჯადეს დაწუთა მათა და საწყალობელად დასთხვედეს ცრემლთა მათა წმიდისა შუშანიკისათეს³. ასეთი ვითარება ვარსქენისათვის არ შეიძლებოდა მოსათმენი ყოფილიყო და ავტორისავე სიტყვით „ვითარცა იხილა პიტიახშმან ამბობს იგი და ტირილი მამათა და დედათა მოხუცებულთა და ყრმათა მკედრ მიმოდასდევინ და მეოტ ჰყოფენ მათ ყოველთა“⁴.

დედათა და მამათა სიმრავლე, ე. ი. ხალხის მასების მიერ შუშანიკისადმი თავისი დამოკიდებულების ასეთი გამომჟღავნება, რასაკვირველია, მხოლოდ ვიწრო სარწმუნოებრივი ფანატიზმის ფარგლებში არ შეიძლება განიხილოს. ასე რომ ყოფილიყო. მაშინ შეიძლება არც პიტიახშს მიემართა უკიდურესად მკაცრი ზომებისათვის. შუშანიკისათვის მხარდაჭერა იყო პროტესტი იმ პროირანული რეჟიმის მიმართ, რომელიც ჩვენში ქრისტიანობის დათრგუნვისა და მაზდეანობის გავრცელების გზითაც უნდოდათ შემოეყვანათ და რომლის ერთ-ერთი აქტიური განტარებელი სწორედ ვარსქენ პიტიახში იყო. ასე რომ, ვარსქენს კარგად ესმოდა ამ პროტესტის პოლიტიკური მნიშვნელობა და სწორედ ამიტომაც ებრძოდა მას ასე მკაცრად.

აღსანიშნავია ისიც, რომ მიუხედავად შიშისა, ციხეში ჩამწყვდეული შუშანიკი საერთო პატივისცემისა და თაყვანისცემის ობიექტი ხდება. „და მიერთვან განითქუა ყოველსა ქართლსა საქმე მისი,—წერს ავტორი,—და მოვიდოდეს მაჰანი და დედანი აღნათქუემთა შეწირვად და, რაა ვის უქმდა, მიემადლებოდა წმიდითა ლოცვითა ნეტარისა შუშანიკისისთა“⁵.

როგორც ჩანს, შუშანიკის პროტესტი არ ეღერდა როგორც ერთი განწირული ადამიანის ხმა, მის გარშემო ანტიირანული განწყობილების ჯგუფი იყო შემოკრებილი. რომელსაც საკმაოდ მრავლად ჰყავდა მხარდამჭერნი. ესენი იყვნენ თვით იაკობ ხუცესი, ებისკოპოსი აფოცი, შუშანიკის მოწმობე დიაკონი, რომელიც მის განხვევებას ცდილობდა, და დაბალი წოდების მრავალრიცხოვანი წარმომადგენლები, რომელნიც მასთან შვებისა და იმედის მისაღებად მიდიოდნენ. აღსანიშნავია, რომ შინაგანად შუშანიკის მხარეზე იყვნენ ვარსქენის ძმა ჯოჯიკი და მისი მეუღლე. მართალია, ვარსქენის წინაშე შიშის გამო ისინი ერიდებოდნენ თავისი სიპატიების აშკარა გამოვლინებას, მაგრამ თავიდანვე ცდილობდნენ შეემსუბუქებინათ შუშანიკისათვის მისი მძიმე მდგომარეობა, ხოლო სიკვდილის პირს მისულ

შუშანიკს ჯოჯიკი შენდობას თხოვდა, „მაკურთხე მე და ცოლი ჩემი, მკევეალი შენი, და შვილნი ჩემნი და მონა-მკევეალნი ჩემნი, და თუ რაიჲ შეგცოდეთ ვითარცა კაცთა საწუთრომსათა და სოფლის მოყუარეთა, მოგტევენ და ნუ მოიჯსენებ მედგრობათა ჩემთა“⁶. ჯოჯიკი აღიარებდა, რომ ყველას არ შეუძლია იყოს შუშანიკივით სულთ ძლიერი. ის გარემოება, რომ მან ვარსქენს ვერ გაუწია წინააღმდეგობა, მისი „სოფლისმოყვარეობით“, ე. ი. ამქვეყნიური ცხოვრების სიყვარულით აიხსნება, თორემ იდეურად და პოლიტიკური განწყობილებით ის მთელი თავისი ჯალაბით შუშანიკის მომხრე იყო. შუშანიკი საყვედურობდა ჯოჯიკს, რომ არავენ გამოექოჲაგა მას. რათა მისი მძიმე ზვედრი შეემსუბუქებინა და საინტერესოა ჯოჯიკის პასუხი, „ჩვენ თვნიერ შენსა ფრიად დავშუერით, გარნა არა იყო სმენაჲ არცა სიტყუაჲ“⁷.

შუშანიკის იდეურ მომხრეთა დასი საკმაოდ მრავალრიცხოვანი და ძლიერი იყო. გარდა მდებოი ხალხისა, მასთან მისივე სოციალური წრის წარმომადგენლებიც მიდიან „მსგავსად მისივე სახისა აზნაურნი დიდ-დიდნი და ზეპურნი დედანი, აზნაურნი და უაზნონი სოფლისა ქართლისანი“⁸.

შუშანიკის განდგომა ვარსქენისაგან გარდა ოჯახური, საშინაო კონფლიქტისა, უშუალოდ ეჯაჲვება V საუკუნის ქართლის საერთო-პოლიტიკურ ვითარებას. შუშანიკი ქართლის სამეფოს ერთ-ერთ საერისთავოში, სახელდობრ, ირანთან ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებულ ქვემო ქართლის საპიტიახშოში ანტიირანული ჯგუფის იდეური სულისჩამდგმელი და ირანელთა წინააღმდეგ მებრძოლთათვის საპატიო მაგალითი იყო. ასე ესმოდა ეს ვარსქენს და ამიტომ იყო ის ასეთი მკაცრი მის მიმართ. სწორედ ამიტომ იყო ვარსქენი უკანასკნელ წუთამდე მის გადმობირებას რომ ცდილობდა. ექვსი წლის პატიმრობის შემდეგ ვარსქენი კიდევ ერთხელ მიუგზავნის შუშანიკს თავის ბუბუჩტეს და მის სახლში დაბრუნებას ცდილობს, მაგრამ ამაოდ. ვარსქენს შუშანიკის ავტორიტეტისა და მის მომხრეთა შიშიც აქვს. გაწბილებული ვარსქენი შუშანიკის სიკვდილს ნატრობდა, მაგრამ უშუალოდ მის მოკვლას ვერ ბედავდა.

ჩვენს მიზანს არ შეადგენს V საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ისტორიის წყაროების დაწვრილებითი განხილვა, ამას წიგნის ხასიათიც გამორიცხავს, მაგრამ ზოგი მოსაზრების გამოთქმა ჩვენს ხელთ არსებული წყაროების შესახებ მაინც სასურველად მიგვაჩნია.

ერთადერთი თანამედროვე ეროვნული წყარო, რომელიც ჩვენ

V საუკუნის ქართლის ისტორიისათვის მოგვეპოვება, ეს იაკობ ხუცესის კარად ცნობილი „შუშანიკის მარტილობაა“. ეს თხზულება, როგორც ცნობილია, ფრიად მრავალფეროვან და მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის ამ ეპოქის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურის ისტორიისათვის, ზნე-ჩვეულებებისა და ყოფის საკითხებისათვის. თხზულებაში დაცულ ცნობებს განსაკუთრებით დიდ ფასს სდებს ის გარემოება, რომ ავტორი არა მხოლოდ თანამედროვე, არამედ თვითმხილველი და თანამონაწილეა აღწერილი ამბებისა. აღსანიშნავია ისიც, რომ იაკობი შუშანიკის დასის, ანტიირანული ორიენტაციის დაჯგუფების წარმომადგენელია და, ამდენად, ეს გარემოება მისი ცნობებით სარგებლობის დროს მოითხოვს ანგარიშის გაწევას. ამასთანავე იაკობი, როგორც ისტორიკოსი, მეტად პირუთენელი ჩანს⁹.

იაკობ ხუცესი, რომელიც აღფრთოვანებულია შუშანიკის მოწამებრივი მოთმინებით, დედოფლის თაყვანისმცემელია, მთლიანად იზიარებს მის სარწმუნოებრივ და პოლიტიკურ მრწამსს და სწორედ ამიტომ იღებს თავს მისი ცხოვრების აღწერას, თავის თხზულებაში მაინც ობიექტურია და შუშანიკს გვიხატავს როგორც ნამდვილ ადამიანს. „მატილობაში“ მოცეპული სურათი პიტიანშის ოჯახში მომხდარი ამბის რეალური და ობიექტური გადმოცემაა. შუშანიკისათვის არაფერი აღამიანური უცხო არ არის. ერთგული მეუღლე, თავისი ოჯახის ღირსეული შვილი, მოამაგე დედა, ქრისტიანობის მტკიცე დამცველი, ამავე დროს ის ფიცხი და ქედმაღალია, აღსავსეა შურისძიების გრძნობით. ეს გარემოება იაკობ ხუცესს პირუთენელი ისტორიკოსის სახელს უმკვიდრებს ქართულ ისტორიოგრაფიაში.

„შუშანიკის მარტილობა“, რომელიც თავისი ქანრით აგიოგრაფიულ-ბიოგრაფიულ-ისტორიულ თხზულებად შიძლება ჩაითვალოს, დიდად შორდება ბიოგრაფიულ ჩარჩოს. ბიოგრაფიული მომენტები შუშანიკის ცხოვრებიდან აქ მხოლოდ ქარგას ქნნიან, რომლის გარშემოც იშლება ფართო ისტორიული თხრობა. ეს ნაწარმოები ჰაგიოგრაფიული ხასიათის თხზულებაა, მაგრამ ავტორის თვითმიზანს არ შეადგენს მხოლოდ შუშანიკის მოწამებრივი სიკვდილის სურათის დახატვა. შუშანიკის წამებდა და სიკვდილის ფონზე ავტორი ორი ძალის დაპირისპირების სურათს იძლევა—ანტიირანულისა და პროირანულის. ავტორი ანტიირანული პოლიტიკური დასის წარმომადგენელია. ამ დასის დევიზია საკუთარი თვითყოფობის დაცვა. აღნიშნულ ვითარებაში ამ დასის საქმიანობა და მისწრაფება კეთილშობილურსა და პროგრესულ საქმეს ემსახურება. როგორც თხზულებიდან ჩანს, ეს

დასი საკმაოდ მრავალრიცხოვანია. შუშანიკის პოზიციის მომხრე-მხარდაჭერთა შორის არიან როგორც უმაღლესი სასულიერო და საერო არისტოკრატიის (ეპისკოპოსი, აზნაური), ისე ხალხის ფართო მასების წარმომადგენლებიც. შუშანიკის პროტესტი პოლიტიკური პროტესტია. ასევე აღიქვამს მას შუშანიკის თანამედროვე საზოგადოება და ამიტომაც მისი წამების იდეა ესოდენ პოპულარული. რაც მთავარია, ასე ესმის შუშანიკის მისია მისი ცხოვრების აღმწერ ავტორს. მიუხედავად ტრაგიკული ფინალისა (მთავარი გმირი იღუპება), თხზულების ელერადობა ოპტიმისტურია, შუშანიკი მაინც გამარჯვებულია.

იაკობ ხუცესის შრომა თავისი შინაარსით არ ეტევა ჰაგიოგრაფიული თხზულების ჩარჩოებში. მასში არ არის საერთოდ ჰაგიოგრაფიული თხზულებებისათვის დამახასიათებელი გრძელი ტრაფარეტული ლოცვები, არც სასწაულების აღწერას ეთმობა დიდი ადგილი. ავტორი გადაჭარბებულ ასკეტიზმსაც კი უარყოფს¹⁰. ამ ნაწარმოებში სრულიად აშკარად ჩანს ავტორის მსოფლმხედველობა და მისი დამოკიდებულება ისტორიული მოვლენებისადმი. ავტორი ამ მოვლენების შეფასებას ცდილობს.

დიდი ხანია აღიარებულია, რომ „შუშანიკის მარტივობა“ არ შეიძლება იყოს ქართული მწერლობის პირველი ძეგლი. ამის საფუძველს თხზულების დახვეწილი ენა, სტილი, არქიტექტონიკა და, საერთოდ, ნაწარმოების შესრულების მაღალი დონე იძლევა. აღნიშნულს ისიც შეიძლება დაემატოს, რომ თხზულება უნდა უპყრდეს მხარს მოსაზრებას ჩვენში წინაქრისტიანული ხანის საისტორიო მწერლობის ტრადიციის არსებობის შესახებ.

ქრისტიანობამ, როგორც იდეოლოგიურად და ორგანიზაციულად დიდმა და მძლავრმა მოვლენამ, თითქმის მთლიანად წარხოცა ჩვენში წინაქრისტიანული ხანის კულტურული მემკვიდრეობა (ისევე, მაგალითად, როგორც ისლამმა აღმოსავლეთის რიგ ქვეყნებში მოსპო ისლამის წინაღობინდელი დამწერლობაცა და კულტურაც). მაგრამ წინაქრისტიანული ხანის კულტურული ტრადიციები ამა თუ იმ სახით მაინც შემორჩნენ, ისევე როგორც შემორჩნენ წინაქრისტიანული ხანის კულტურის ცალკეული ძეგლები. ქრისტიანობის ადრეულ საფეხურებზე ძველი ძეგლების კვალი უფრო მეტად იყო შემორჩენილი.

ქრისტიანული საისტორიო მწერლობა და, მით უმეტეს, ისეთი ხასიათის მწერლობა, რომელსაც ეს თხზულება განეკუთვნება, სრულიად განსხვავებულ იდეოლოგიურ საფუძველზეა აღმოცენებული,

მაგრამ წინაქრისტიანული ხანის კულტურული ტრადიციები გავლენას უნდა ახდენდნენ ამ თხზულების არა მარტო მხატვრულ ღირსებებზე, მისი როგორც საისტორიო დარგის ნაწარმოების ღირსებასა და დონეზე გარკვეულ გავლენას უნდა ახდენდეს წინაქრისტიანული საისტორიო აზროვნების ტრადიციის არსებობაც.

„შუშანიკის მარტვილობა“ არის არა მხოლოდ წყარო V საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ისტორიისათვის, ის ამავე დროს არის ჩვენამდე მოღწეული უძველესი საისტორიო თხზულება, რომელშიც ისტორიულ სინამდვილესთან ერთად გამომქლავნებულია ავტორის დამოკიდებულება ისტორიული მოვლენებისადმი და მოცემულია მათი შეფასების ცდაც. ამასთანავე „შუშანიკის მარტვილობა“ ქართული ისტორიული აზროვნების გარკვეულ საფეხურს ასახავს. მართალია, ჩვენ არა გვაქვს საშუალება შევიქმნათ წარმოდგენა მისი წინარე საფეხურის შესახებ, მაგრამ ასეთი საფეხურის არსებობა თითქოს არ უნდა იყოს გამორიცხული¹¹.

ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესახებ არსებულ წყაროთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება „მოქცევაჲ ქართლისაჲ მათიანეს“ მწირო მონაცემებს. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა ქართლის ისტორიის უძველესი პერიოდისათვის და ამ თხზულებაში დაცული ცნობები უხვადაა გამოყენებული თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში. ჩვენთვის საინტერესო საკითხისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამ ქრონიკის ცნობებს V ს. მეორე ნახევრის ისტორიისათვის, საერთოდ. და, კერძოდ, უძველეს ცნობას ქართლში კათალიკოსობის დაწესებისა და ქართლის ეკლესიის მიერ ავტოკეფალობის მოპოვების შესახებ¹².

„ქართლის ცხოვრების“ კრებულში შესული თხზულება, რომელსაც ეწოდება „ცხოვრება და მოქალაქობა ვახტანგ გორგასლისა მეფისა მშობელთა და შემდგომად თუთ მის დიდისა და ღმრთის მოყუარისა მეფისა, რომელი უმეტესად სხვათა სახელგანთქმულად გამოჩნდა ყოველთა მეფეთა ქართლისათა“, რომლის ავტორად მიჩნეულია ჭუანშერი და დაწერის თარიღად XI საუკუნე, წარმოადგენს იმ საისტორიო წყაროს, რომლის საფუძველზეც არის დღეს ქართულ ისტორიოგრაფიაში ძირითადად აღდგენილი V საუკუნის ქართლის ისტორია.

როგორც ცნობილია, ივ. ჯავახიშვილმა კრიტიკულად შეისწავლა აღნიშნული თხზულება და სრულიად მართებულად აღნიშნა, რომ ვახტანგ გორგასლის ისტორია იმ სახით, როგორც ის „ქართლის

ცხოვრების“ კრებულშია შესული, არ შეიძლება XI საუკუნეზე (მის-
შლა წლებზე) აღრე იყოს შედგენილი. ამასთანავე ივ. ჯავახიშვილმა
მიუთითა, რომ ჯუანშერის თხზულება, როგორც წყარო, ვახტანგ
გორგასალის ეპოქისათვის „თითქმის გამოუღებარია“¹³. ამასთანავე
ივ. ჯავახიშვილი, რომელიც თავისი „ქართველი ერის ისტორიის“ I
წიგნში ირანის წინააღმდეგ ვახტანგის ბრძოლების მოთხრობისას
თითქმის ზოლიანად V საუკუნის სომეხი ისტორიკოსის ლაზარე ფარ-
პეტის ცნობებს ეყრდნობა, საკუთრივ საეკლესიო ისტორიის საკი-
თებისა და ვახტანგის მიერ ეკლესიაში გატარებულ ღონისძიებათა
განხილვის დროს, დიდ ანგარიშს უწევს ჯუანშერის მონაცემებს. ივ.
ჯავახიშვილი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ჯუანშერთან მოიპოვება
ზოგი ისეთი ცნობა საკუთრივ ვახტანგ გორგასალის მოღვაწეობასთან
დაკავშირებით, რომელთათვისაც საჭიროა ანგარიშის გაწევა.

აღბათ სადავო არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ ეს თხზულება
იმ სახით, როგორც ის „ქართლის ცხოვრების“ კრებულშია შესული,
XI საუკუნეშია დამუშავებული, მაგრამ ამასთანავე ანგარიშგასაწე-
ვად მიგვაჩნია იმ მკვლევართა მოსაზრებანიც (თ. ჟორდანი, პ. ინგო-
როყვა), რომლებიც ფიქრობენ, რომ თხზულების საკუთრივ ის ნა-
წილი, რომელიც ვახტანგ გორგასალის მოღვაწეობის შესახებ მოგ-
ვითხრობს, შეიძლება თანამედროვის მიერ იყოს დაწერილი. აღბათ,
ანგარიშგასაწევისა ის გარემოებაც, რომ XI საუკუნის ავტორს ხელთ
უნდა ჰქონოდა აღრინდელი წყაროები, რომელნიც ჩართულია მის
თხზულებაში ან გამოყენებულია როგორც წყარო¹⁴.

ჩვენ აქ არ ვაპირებთ ჯუანშერის თხზულების წყაროთმცოდნეო-
ბით ანალიზს, ეს შორს წაგვიყვანდა, მაგრამ სასურველად მიგვაჩ-
ნია აღვნიშნოთ, რომ ძირითად ცნობათა ის წრე, რაც ვახტანგ მეფის
მოღვაწეობასთანაა დაკავშირებული, ანგარიშგასაწევი და ფაქტიუ-
რად დღევანდელ ქურთულ ისტორიოგრაფიაში მიღებულიცაა. ექვს
არ იწვევს ვახტანგ გორგასალის ის აღმოსავლური პოლიტიკა (კახეთ-
ჭერეთის მიმართ), რომელიც ჯუანშერთანაა წარმოდგენილი. ასევე
დადასტურებულია სხვა წყაროებით და გაზიარებულია ჯუანშერის
მიერ მოცემული ცნობები ვახტანგის სამხრეთული (საკუთრივ კლარ-
ჯეთი) და ჩრდილოური პოლიტიკის შესახებ. არაფერს ვამ-
ბობთ საეკლესიო რეფორმის შესახებ, რომლის გატარებაში ეჭ-
ვი არავის არ შეაქვს უმთავრესად იმ საფუძველზე, რომ
ჯუანშერის ეს ცნობა ძირითადად დადასტურებულია სხვა წყა-
როების მონაცემებით. მკვლევართა უმრავლესობის მიერ იგნორი-
რებულია ან ეჭვის ქვეშაა დაყენებული უმთავრესად ჯუანშერის

ცნობა ვახტანგის დასავლური (ეგრისის) პოლიტიკის შესახებ. ჯუანშერის ცნობებისადმი უნდობლობას და სკეპტიკურ დამოკიდებულებას გარკვეული თვალსაზრისით მყარ ნიადაგს უქმნის ის გარემოება, რომ ჯუანშერისეული ქრონოლოგია ბიზანტია-ირანის ომებისა არ დასტურდება ამ ომების თანამედროვე უცხოური წყაროების მონაცემებით, აგრეთვე ის დიდი (საუკუნოვანი) ქრონოლოგიური შეცდომა, რომელსაც ადგილი აქვს ამ თხზულებაში შუშანიკის მარტივობის ფაქტთან დაკავშირებით. ბიზანტია-ირანის ომებთან და ვახტანგ გორგასალის დასავლურ პოლიტიკასთან დაკავშირებით ვეცდებით იქ განვიხილოთ ჯუანშერის ცნობების ავტორიანობა, სადაც საკუთრივ ამ საკითხებზე გვექნება საუბარი, ხოლო რაც შეეხება იმ დიდ ქრონოლოგიურ შეცდომას, ამის შესახებ, ვფიქრობთ, საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული კირილე თუმანოვს, რომელიც ფიქრობს, რომ გადამწერმა (ან რედაქტორმა) აურია ერთმანეთში ირანის ორი შაჰი — ჰორმიზდი, ჰორნიზდ III (457—459) და ჰორმიზდ IV (579—590), რომელთაგან ჰორმიზდ III ვახტანგ მეფის თანამედროვეა, ხოლო ჰორმიზდ IV იმ ბაკურ მეფისა (ბაკურ III, გარდ. 580 წ.), რომლის სახელსაც უკავშირებს ჯუანშერი ვარსკენ პიტიახშის მოკვლას¹⁵. როგორც ვარაუდობენ, ეს ქრონოლოგიური შეცდომა, შუშანიკის წამების ბაკურის მეფობაში გადმოტანა, ვახტანგ გორგასალის ისტორიაში ქართლის მოქცევის ქრონიკიდან უნდა მოდიოდეს. ასე რომ, თუ ასეთ არევის ჰქონდა ადგილი, ის „მოქცევის“ რედაქტორს ან გადამწერს შეიძლება მოსვლოდა.

შუშანიკის წამების სხვადასხვა რედაქციების არსებობის საკითხი საგანგებოდ აქვს განხილული ნ. ჯანაშიას, რომელიც ფიქრობს, რომ იაკობის „შუშანიკის წამების“ ტექსტის რედაქტირება არაერთგზის მოხდა. რომლის შედეგად გაჩნდა დედნისაგან საგრძნობლად დაცილებული რედაქციები¹⁶. ამდენად, ეს დიდი ქრონოლოგიური შეცდომა მხოლოდ ჯუანშერის ბრალი არ უნდა იყოს.

ჩვენს ისტორიოგრაფიაში მართებულადაა აღნიშნული, რომ V საუკუნის მეორე ნახევრის ქართლის ისტორიის შესასწავლად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება უცხოურ წყაროებს, კერძოდ, სომხური წყაროების ცნობებს, სახელდობრ, ლაზარე ფარაბეს. მისი ცნობები თითქმის ამომწურავად არის გაანალიზებული ნ. ჯანაშიას სპეციალურ გამოკვლევაში, სადაც ამ საკითხის კვლევის ისტორიაცაა მოცემული. ლაზარე ფარაბეის ცნობებთან დაკავშირებით ჩვენ მხოლოდ იმ ფაქტისათვის გვსურდა გაგვესვა ხაზი, რომ ლაზარე,

ვანტანგ მეფის პოლიტიკური და იდეური მოწინააღმდეგის, ვარსკენ პიტიახშის მამის არშუშა პიტიახშის კარზეა აღზრდილი. იქ გაატარა მან თავისი ყრობის რამდენიმე წელი და დიდადაა დავალებული ვარსკენის მამისაგან და, ამდენად, მისი პოზიცია ვანტანგის მიმართ ალბათ გასაგები უნდა იყოს. გასათვალისწინებელია აგრეთვე ისიც, რომ ლაზარე ვანტანგის მეფობის ისტორიას არ წერს, მან თავისი ინტერესები აქვს და ვანტანგ გორგასალს იხსენიებს იმ მოვლენებთან დაკავშირებით, რომლებშიც ის სომხებთან ერთად მონაწილეობს.

მართალია, ბიზანტიურ წყაროებში ცნობები V საუკუნის მეორე ნახევრის ქართლის შესახებ მწირადაა წარმოდგენილი, მაგრამ ის რამდენიმე ფრაგმენტი, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, სადღეისოდ სათანადოდაა გამოყენებული და შეფასებული (კ. თუმანოვი, ა. ბოგვერაძე, დ. მუსხელიშვილი).

ჩვენთვის საინტერესო საკითხის ისტორიისათვის ყურადსაღები ცნობებია დაცული ეპიგრაფიკულ მასალებში. მათგან განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბოლნისის სიონის წარწერებს, რომელნიც ადასტურებენ „შუშანიკის მარტილობაში“ წარმოდგენილ კონცეფციას ქვემო ქართლის საპიტიახშოსა და ქართლის მეფეს შორის არსებული პოლიტიკური ურთიერთობის ხასიათის შესახებ.

V საუკუნის მეორე ნახევრის ქართლის ისტორიის საკითხები საფუძვლიანადაა წარმოდგენილი რიგი ქართველი ისტორიკოსის შრომებში (ს. ბარათოვი, ს. გორგაძე). ამ ხანის პოლიტიკური ისტორია წყაროთა კრიტიკული ანალიზის საფუძველზე საგანგებოდაა წარმოდგენილი ივ. ჭავჭავაძის, პოლიტიკურ ისტორიასთან ერთად სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის ძირითადი საკითხები დამუშავებულია ს. ჯანაშიას შრომებში. V საუკუნის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის საგანგებო განაკვეთები ეთმობა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოებსა და „საქართველოს ისტორიის ნარკვევებში“.

ამ ეპოქის მთავარ ისტორიულ ფიგურას, ვანტანგ გორგასალს ცალკე წიგნი უძღვნა ს. კაკაბაძემ. მნიშვნელოვანი მოსაზრებებია გამოთქმული V საუკუნის მეორე ნახევრის ისტორიის საკვანძო საკითხებზე ნ. ბერძენიშვილის, გ. მელიქიშვილის, დ. მუსხელიშვილის შრომებში. ამ ეპოქასთან დაკავშირებული რიგი მნიშვნელოვანი საკითხი გაშუქებულია კ. გრიგოლიას, ა. ბოგვერაძის, ნ. ჯანაშიას,

ზ. ალექსიძისა და სხვა მკვლევართა შრომებში. საინტერესო და რიგ შემთხვევებში ანგარიშგასაწევი მოსაზრებებია გამოთქმული, ჩვენთვის საინტერესო ეპოქის, ქართლის ისტორიის შესახებ ამერიკელი მკვლევრის კირილე თუმანოვის მონოგრაფიაში. ჩვენ ყველა ეს შრომა გამოვიყენეთ*.

* 1978 წლის დასასრულს საზეიმოდ აღინიშნა ჩვენამდე მოღწეული პირველი ქართული წერილობითი ძეგლის იაკობ ხუცესის „შუშანიკის მარტილობის“ 1500 წლის იუბილე. საიუბილეოდ დიდი ლიტერატურა გამოვიდა, რომლის გათვალისწინება, სამწუხაროდ, კვლავ მოუახერხებთ, რადგან წიგნი უკვე აწყობილი იყო.

I. ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის მოკლე მიმოხილვა

V საუკუნის ქართლი ეკონომიკურად დაწინაურებული და ღონიერი ქვეყანა იყო. იმდროინდელი ქართლის ეკონომიკური სიძლიერე ძირითადად დაწინაურებულ სოფლის მეურნეობას ემყარებოდა.

IV—V საუკუნეების ქართლში განვითარებული იყო სოფლის მეურნეობის ინტენსიური დარგები — მევენახეობა-მებაღეობა, ამასთანავე მემინდვრეობა და მესაქონლეობა.

სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია ძირითადად მორწყვის სისტემას ემყარებოდა, რომელიც ფართოდ ვითარდებოდა ადრეფეოდალურ ხანაში.

ადრეფეოდალურმა ქართლმა ანტიკური ხანიდან მემკვიდრეობით მიიღო დიდი სარწყავი სისტემები, რამაც ამ მხრივ ხელსაყრელი ვითარება შექმნა.

IV—VI საუკუნეებს უკავშირდება ქართლში მნიშვნელოვანი სარწყავი სისტემების შექმნა და დიდი არხების გაყვანა. სარწყავი სისტემების მშენებლობა-შექმნას სახელმწიფო ხელისუფლება და საეკლესიო ეპარქიები ახორციელებდნენ. ამ მხრივ ნიშანდობლივია რუხთავეის. მუხრანის, ნახილურის, გაჩიანის, რუის-ურბნისის, წილკნისა და სხვა არხების გაყვანა. არხების გაყვანა, საირიგაციო სისტემების შექმნა იყო როგორც შედეგი ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობისა, ასევე პირობა შექმნა ეკონომიკური დაწინაურებისათვის. ამასთანავე ეს ეკონომიკური აღმავლობა იყო კიდევ ერთ-ერთი ძირითადი საფუძველი იმ მნიშვნელოვანი სოციალური ტენზიისა, რომელიც ჩვენში ფეოდალური ურთიერთობის განვითარების თვალსაზრისით აღინიშნებოდა ამ დროს¹.

მორწყვა ზრდიდა სამიწათმოქმედოდ გამოყენებული მიწის ფართობს. ხელს უწყობდა ინტენსიური დარგების განვითარებას, ქმნიდა პირობას იმ მხარის დაწინაურებისათვის, სადაც ასეთი არხები გაკეთდებოდა. მაგ., ყარაიის ველზე გაყვანილი დიდი არხი ამ მხარის ეკო-

ნომიკური გაძლიერების და რუსთავის გაქალაქებისა და დაწინაურების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობა იყო².

როგორც ვარაუდობენ, ამ პერიოდს უკავშირდება ძირითადი სამიწათმოქმედო იარაღის ერქვანის გარკვეული ტექნიკური გაუმჯობესება, რაც ალბათ მიწის უკეთ და უფრო დიდი ფართობის დამუშავებას უზრუნველყოფდა³.

ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერის, სახელდობრ, დაწინაურებული ფეოდალური ზედაფენის მატერიალური შესაძლებლობის უტყუარი ნიშანია შეიარაღების ის სახე, რომელიც ამ დროიდანაა ცნობილი. ესაა ლითონის ჯაჭვის პერანგში ჩამჭდარი მეომარი, ლითონის ჩაბალახ-მუზარადით, შეჯავშნული ცხენით. იმდროინდელი ქართული ფეოდალური ლაშქრის ასეთი შეიარაღების აუცილებლობა ხელს უწყობდა როგორც უკვე მიღწეულის, ისე ახლის, იარაღისავე საშუალებით მოპოვებული პრივილეგიების დამკვიდრებას და განვითარებას, შემდგომ სოციალურ დიფერენციაციას⁴.

სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგების მემინდვრობა-მევენახეობის გვერდით მესაქონლეობის მაღალ დონეზე უნდა მიუთითებდეს ჭუნაშერის თხზულებაში დაცული ცნობა ვახტანგ გორგასალის მიერ ირანის შაჰისათვის მირთმეული ძღვენის შესახებ. ოსეთის ლაშქრობიდან გამარჯვებით დაბრუნებულმა ქართლის მეფემ ძღვენი მიართვა როგორც რანის ერისთავ ვარაზ-ბაკურს, რომლის ლაშქარი მას თან ჰყუანდა ჩრდილო კავკასიაში ლაშქრობისას, ასევე შაჰსაც, „წარსცა ძღუენი ნატყუენავისა მისგან დედის ძმისა მისისა თანა ვარაზ-ბაკურისა: მონა ათასი, ცხენი საცედარი ათასი, ჯდალი ცხენი ათასი და კუალად წარსცა წინაშე სპარსთა მეფისა მონა ათი ათასი, ცხენი საცედარი ათი ათასი, ცხენი ჯდალი ათი ათასი“⁵. მართალია, აქ „ნატყუენავზეა“ საუბარი და შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს ძღვენი მთლიანად ჩრდილო კავკასიაში ძღვეამოსილი ლაშქრობით მოპოვებული ნადავლის ნაწილია, მაგრამ იმავე ავტორის ცნობით, როდესაც ირანელთა ლაშქარი ქართლში შემოდის და დიდი ბრძოლის შემდეგ საზავო მოლაპარაკება იმართება, „უძღუნა გორგასალმან მკეცალი ათასი, მონა ხუთასი, სტავრა სკარამანგი ხუთასი, ბიზიონი ზუხმა ხუთასი, ჯდალი ცხენი ათი ათასი, ცხენი ბარგისა ხუთასი, ჯორი სამასი, ზროხა ოთხი ათასი, ცხუარი ათი ათასი“⁶. არ არის გამორიცხული ისტორიკოსის მიერ (ორივე შემთხვევაში) ძღვენის იდენტობის გადაჭარბება, მაგრამ გასაგზავნი ხარკის შედგენილობა ექვს არ უნდა იწვევდეს. ჩრდილო კავკასიიდან ძღვეამოსილად დაბრუნების შემდეგ ქართლის მეფემ, ვითარცა სასანიანთა ვასალმა, რომელმაც

2. მ. ლორთქიფანიძე

ეს ლაშქრობა ირანის სამხედრო დახმარებით იმპერიის ჩრდილო საზღვრის გამაგრების მიზნით მოაწყო, სამხედრო ალაფიდან დიდი ნაწილი შაჰსა და მის მოხელეს, რანის ერისთავს მიაართვა. ამ ძღვენის გარკვეული ნაწილი მართლაც ნაალაფევი უნდა ყოფილიყო. ამ ნაალაფევს უმთავრესად ალბათ მონები და მხევლები შეადგენდნენ, ნაწილობრივ ცხენებიც. მაგრამ მეორე შემთხვევაში, უკვე ქართლის მეფე ძღვნად მიართმევს შაჰს იმას, რაც მას საუკეთესო აქვს. ესაა განვითარებული როგორც მსხვილფეხა, ისე წვრილფეხა მესაქონლეობის პროდუქტები, ასევე ხელოსნობის ნაწარმი.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ძირითადად ეს შეადგენდა საირანო ხარკს, რომელსაც შეიძლება ქართლის მეფე ამ დროს იხდიდა არა როგორც სავალდებულო გადასახადს, არამედ პერიოდულად, ძღვენისა და მისართმეველის სახით.

ფეოდალური ურთიერთობის ერთ-ერთი ძირითადი მხარე მიწაზე ფეოდალური საკუთრების ფორმების დამკვიდრებაში გამოიხატებოდა. ადრეფეოდალური ხანა მიწის მფლობელობის ფორმების მრავალფეროვნებით ხასიათდებოდა, რაც იყო საფუძველი საზოგადოების მრავალფენიანობისა და მრავალფეროვნებისათვის. ამ დროისათვის ქართლში უკვე არსებობდა მსხვილი ფეოდალური მიწისმფლობელობა, მყარი მემამულური სამემკვიდრეო უფლებებით. ფართოდ იყო წარმოდგენილი სათემო მიწისმფლობელობა, რომლის გვერდით ისახებოდა წვრილი კერძო საკუთრება მიწაზე „აგარაკების“ სახით⁷, რაც ევროპული ალოდის შესატყვისი შეიძლება იყოს⁸. ქრისტიანობის მიღების დროიდანვე იქმნება მსხვილი საეკლესიო მიწათმფლობელობა, რომლის უმთავრესი წყარო იყო სამეფო თუ საფეოდალო (სააზნაურო) შეწირულება. ამ თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა ერთი ნაგვიანევი ცნობა მეფე ვახტანგ გორგასალის მიერ მცხეთის ტახტისათვის მამულების შეწირვის შესახებ. როგორც მცხეთის ერთი სიგელი გვაუწყებს, ვახტანგ გორგასალს შეუწირავს მცხეთისათვის „ძეგვი და ციხედიდი“. მართალია, ეს დოკუმენტი ნაგვიანევი (თ. ჟორდანიას მიხედვით 1624 წლისა, იხ. ქრონიკები, II, 446), მაგრამ რადგან მცხეთის საკათალიკოსოს მამულების ყველა ნუსხით დადასტურებულია ძეგვისა და ციხედიდის მფლობელობა, მითითებული ფაქტი ექვს არ უნდა იწვევდეს. ადრეფეოდალურ ხანაში დიდი ხვედრითი წონა ჰქონდა სამეფო მამულს, რომელიც შედგებოდა „სამამასახლისო სამსახურებელის“⁹, დაპყრობილი ტერიტორიებისა¹⁰ და დამონებულ-დაზარკული თემების მიწა-წყლისაგან¹¹.

ფეოდალური ურთიერთობის გავრცელებასა და გამარჯვებას,

როგორც წესი, შედეგად მოჰყვა საქალაქო მეურნეობისა და ქალაქების დაცემა. მაგრამ ამ მხრივ, რასაკვირველია, ყველგან ერთნაირი სურათი არ იყო. აღრინდელი ფეოდალიზმის ხანაში, როგორც ცნობილია, დასავლეთ ევროპაში ადგილი ჰქონდა საქალაქო ეკონომიკისა და ქალაქების დაცემას. ამ მხრივ გამონაკლისს შეადგენდნენ იტალიის, სამხრეთ საფრანგეთისა და ესპანეთის ზოგი რეგიონი. ბიზანტიაში, მაგ., ქალაქმა, როგორც ანტიკური მონათმფლობელობის პოლისმა, შედარებით დიდხანს შეინარჩუნა ვაჭრობისა და ხელოსნობის, სამხედრო და ადმინისტრაციული მმართველობის, რელიგიური და კულტურული ცხოვრების ცენტრის როლი. საქალაქო მეურნეობისა და ცხოვრების მაღალი დონე ჩანს ადრეფეოდალური ხანის ირანში, ხოლო ჩვენს მეზობელ სომხეთში ფეოდალური ურთიერთობის ჩასახვა-განვითარებასთან ერთად საქალაქო ცხოვრება საგრძნობლად ეცემა¹². ადრეფეოდალურ ხანაში საქალაქო მეურნეობისა და ცხოვრების შედარებით მაღალი დონე ძირითადად დამახასიათებელია იმ ქვეყნებისათვის, სადაც ძლიერი იყო მონათმფლობელური ტრადიციები.

ადრეფეოდალურ ხანაში საქართველოში, კერძოდ ქართლში, „აგრძელებენ არსებობას ძირითადად ძველი ქართული ქალაქები. გარდამავალი ხანა თითქმის ყველა ქართულმა ქალაქმა დასძლია. აქ საქმე გვქონდა განვითარების ინერციით დინებასთან და ამდენად კრიზისულ მდგომარეობას უკიდურესობამდე არ მიუღწევია“¹³. მაგრამ ამასთანავე გასათვალისწინებელია ამ დროის ქალაქებში ხელოსნობის რიგი დარგის, საკუთრივ „ქალაქური“ დარგების, მაგ., მცხეთაში ლითონისა და კერამიკული წარმოების დაცემა. ამასთანავე კერამიკული ნაწარმიდან საგრძნობლად ვითარდებოდა მექვევრობა, რაც საერთოდ ქართლის ქალაქებში „სოფლური“ ელემენტების გაძლიერებასა და, კერძოდ, მევენახეობა-მელვინეობის განსაკუთრებულ დაწინაურებაზე უნდა მიუთითებდეს¹⁴. IV—VI სს. მცხეთაში, რუსთავსა და ურბნისში მნიშვნელოვნად იყო განვითარებული მინის წარმოება. აღსანიშნავია ხელოსნური ნაწარმის და, კერძოდ, საიუველირო ნივთების დამზადების დონის დაქვეითება. „ხელოსნობის ზოგი დარგი (მაგალითად, კერამიკული წარმოება, მელითონეობა) დაქვეითებას განიცდის. სამაგიეროდ, წინა პლანზე იყო წამოწეული საქალაქო მეურნეობაში სასოფლო დარგები. როდესაც ადრეფეოდალურ ხანაში ხელოსნობა და ვაჭრობა დაქვეითების გზას დაადგა და სასოფლო-სამეურნეო დარგებმა მეტი მნიშვნელობა მოიპოვეს ქალაქის ეკონომიკაში, დაიწყო კიდევ ასეთი ქალაქების დაცემა“¹⁵.

ადრეფეოდალურ ხანაში ქართლის ქალაქების დაქვეითებაზე საკუთრივ საშინაო ხასიათის მოვლენებთან, ფეოდალური ურთიერთობის განვითარებასთან დაკავშირებული სასოფლო-სამეურნეო ცხოვრების წინ წამოწევისთან ერთად მნიშვნელოვანი ზეგავლენა უნდა მოეხდინა საერთაშორისო ვითარებას და საკუთრივ იმ სავაჭრო მაგისტრალის მოშლას, რომელიც ანტიკურ ხანაში ჩრდილო ინდოეთიდან შუა აზიაზე გავლით, კასპიის ზღვითა და მდინარე მტკვრითა და ფაზისით შავ ზღვაზე გადიოდა და რომელმაც თავის დროზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ანტიკური ხანის ქართული ქალაქების წარმოშობასა და განვითარებაზე¹⁶.

ამ დროს საქართველოსა და, კერძოდ, ქართლში საგრძნობლად ეცემა საერთაშორისო ვაჭრობა და ფულის მიმოქცევა. ნიშანდობლივია, რომ IV—V სს. ქართლში არ იჭრებოდა ადგილობრივი მონეტა და უცხოური მონეტებიც შედარებით მცირე რაოდენობით იყო წარმოდგენილი. სასანური და ბიზანტიური მონეტების შედარებით ფართოდ გავრცელება V საუკუნის 80—90-იანი წლებიდან იწყება¹⁷.

აღნიშნული გარემოება, რასაკვირველია, არ ნიშნავს არც საერთოდ საქალაქო ცხოვრების მოშლას ამ ხანის საქართველოში და არც მათი როგორც სავაჭრო და სახელოსნო ცენტრების სრულ დაცემას. ადრეფეოდალური პერიოდი სოფლის მეურნეობის დიდი აღმავლობის ხანა იყო და საგრძნობლად მატულობდა ამ ხანის ქართლის ქალაქებში სოფლის მეურნეობის ხვედრითი წონა და იმდროინდელი ქალაქების სიმდიდრეც ძირითადად სასოფლო-სამეურნეო შემოგარენის სოფლის მეურნეობის განვითარებაზე იყო დამყარებული.

ამ ხანაში ქართლის ქალაქები თუ როგორ იცვლიან სახეს და სავაჭრო-სამეურნეო ცენტრებიდან როგორ იქცევიან აგარაულ პუნქტებად, ამის კარგი მაგალითია ქალაქი ურბნისი¹⁸.

როგორც აღვნიშნეთ, ძველი ქალაქები მეტ-ნაკლები ინტენსივობით განაგრძობენ თავის საქმეს, მაგრამ ადრეფეოდალური ხანის ამ ეტაპზე, ვიდრე IX საუკუნემდე, საქართველოში არ არსებობდა პირობები ახალი ფეოდალური ქალაქების, როგორც სავაჭრო-სახელოსნო ცენტრების წარმოშობისათვის. ამასთანავე, ეს არ ნიშნავს, რომ ამ პერიოდში საქართველოში და, კერძოდ, ქართლში არ წარმოშობილა ახალი ქალაქები. როგორც კარგადაა ცნობილი, IV და განსაკუთრებით V საუკუნეში, სახელდობრ ქართლში, ვახტანგ გორგასალის მეფობაში რამდენიმე ახალი ქალაქი დაარსდა—უჯარმა, ჭერემი, არტანუჯი, თბილისი. მაგრამ ეს ქალაქები დაარსდა როგორც

სამეფო ხელისუფლების პოლიტიკური ბატონობის ცენტრები და არ წარმოშობილა როგორც სავაქრო-სახელოსნო ქალაქები.

ფეოდალური ურთიერთობის დამყარებისათვის ქართლში დამახასიათებელია სამეფო და საუფლისწულო ქალაქების მომრავლება. მაგ., ძველი ქალაქი რუსთავი საუფლისწულო ქალაქად იქცა IV საუკუნეში. ასევე საუფლისწულო ქალაქი იყო თავდაპირველად უჯარმაც, რომელიც შემდეგ „სამეფო ქალაქია“. სამეფო ქალაქი იყო ვახტანგის მიერ დაარსებული ჭერემიც. სამეფო ქალაქი იყო თბილისიც. ნიშანდობლივია, რომ საკუთრივ ვახტანგის მეფობაში ქართლში რამდენიმე ახალი ქალაქი დაარსდა, მაგრამ ყველა ისინი წარმოადგენდნენ მეფის გაზრდილი ხელისუფლების მიერ შექმნილ საკუთარი პოლიტიკური ბატონობის ცენტრებს¹⁹. ამ დროის წყაროებში არაფერია ნათქვამი კერძო ფეოდალთა ხელში მყოფ ქალაქებზე. შეიძლება მართებული იყოს ვარაუდი, რომ ასეთი ქალაქი ქვემო ქართლის ერისთავებისათვის ცურტავი ყოფილიყო.

ქალაქებზე გავლენის გავრცელებას ცდილობდა ამ დროს გაძლიერებული ქართული ქრისტიანული ეკლესია, რომლის ცენტრები, საეპისკოპოსოები უმთავრესად მნიშვნელოვან ქალაქებში იყო მოთავსებული.

ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ვახტანგ გორგასალის სახელთან დაკავშირებულია ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, როგორცაა ქართლის სამეფო დედაქალაქის თბილისში გადმოტანა. ისტორიკოსის ცნობით, „ვახტანგ აშენებდა ქალაქსა ტფილისასა და საფუძველი ოდენ დაედვა“²⁰. ვახტანგმა ვერ მოასწრო ქალაქის მშენებლობის დამთავრება და დედაქალაქის საბოლოოდ გადმოტანა და მისმა ძემ დაჩიმ „განასრულნა ზღუდენი ტფილისისანი, და ვითა ებრძანა ვახტანგს, იგი შეიქმნა სახლად სამეფოდ“²¹.

თანამედროვე თბილისის ტერიტორია, სადაც დადასტურებულია მოსახლეობის უწყვეტი კულტურული ცხოვრების არსებობა, IV ათასწლეულიდან მოყოლებული, ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე მნიშვნელოვანი სამოსახლო პუნქტია, ჩვ. წ. IV საუკუნეში აქ ირანელები მცხეთის საპირისპიროდ ციხეს აგებენ და ქართლში თავისი ხელისუფლების რეზიდენციას იქმნიან. „მოვიდა ქრამ ხუარ ბორზარდ, სპარსთა მეფისა პიტიახში ტფილისად ქალაქად, ციხედ, და ქართლი მისსა ხარკსა შედგა“²². ირანის შაჰის მოხელე, პიტიახში რეზიდენციას თბილისის ციხეში იდებს. აღნიშნული გარემოება თბილისის დიდ მნიშვნელობაზე მეტყველებს.

თბილისში მჯდომი ირანელი პიტიახში ქართლის მეფეს უპირის-

პირდებოდა. აქ ორანელები მცხეთის, ქართლის მეფის რეზიდენციის საპირისპიროდ ციხეს ამაგრებდნენ („შურის ციხე“). ქართლში იქმნებოდა მეორე პოლიტიკური ცენტრი, რომელიც ორანელთა სამკვიდრებელი იყო²³.

თბილისი, რომელიც მნიშვნელოვანი ეკონომიკური რაიონის ცენტრი იყო და მსოფლიო მნიშვნელობის სავაჭრო გზაზე მდებარეობდა, ამ მხრივ მცხეთას მეტოქეობას ვერ გაუწევდა, რადგან ამ მონაცემებით მცხეთა თუ უსწრებდა, თორემ არ ჩამორჩებოდა თბილისს. ვახტანგის არჩევანი თბილისის პოლიტიკურ მნიშვნელობას უნდა გადაეწყვიტა. „თბილისის დაუფლებით იგი (ვახტანგ გორგასალი, მ. ლ.) დასაყრდენს აცლიდა სპარსელებს, რომელნიც საქართველოში დამკვიდრებას ცდილობდნენ“²⁴.

თბილისის უაღრესად მოხერხებულმა სტრატეგიულმა მდებარეობამ, ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით ქართლის სამეფოს წამყვან რაიონებთან სიახლოვემ და მეზობელ ქვეყნებთან მოხერხებული გზებით დაკავშირებამ, პოლიტიკურმა და მრავალმა სხვა ფაქტორმა განაპირობა ვახტანგ მეფის გადაწყვეტილება. ვახტანგმა დედაქალაქი თბილისში გადმოიტანა და დაიწყო ქალაქის მშენებლობა; ააგო უმთავრესი საქალაქო ნაგებობანი (სამეფო სასახლე, ადმინისტრაციული შენობები, ბაზარი...). მისი ხელი ქალაქის ციხესაც შეეხო. ვახტანგ მეფის ამ გადაწყვეტილების სისწორე შესანიშნავად დაადასტურა ჩვენი ქვეყნის მთელმა შემდგომმა ისტორიამ. თბილისმა გაამართლა დიდი სახელმწიფო მოღვაწის ეს ნაბიჯი არა მხოლოდ ქართლის სამეფოს, არამედ ერთიანი ქართული სახელმწიფოს მასშტაბით.

ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეები მნიშვნელოვანი სოციალური ძვრების ეპოქა იყო ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე ქართლში „წარმოების სხვადასხვა წესები ებრძვიან ერთმანეთს“. ყველაზე გვიან ამ საზოგადოებაში წარმოების ფეოდალური წესი ისახება²⁵, რომელიც IV საუკუნისათვის ყალიბდება „ადრეული ფეოდალიზმის“ სახით²⁶.

ფეოდალური ურთიერთობის განვითარება საქართველოში უმთავრესად თემური საზოგადოების, „ერის“ დაშლის ნიშნის ქვეშ მიმდინარეობდა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენში საგრძნობლად იყო წარმოდგენილი პატრიარქალური მონობა და მონის შრომის გამოყე-

ნება სატაძრო თუ საქალაქო მეურნეობაში, მას არ მოუხდენია მნიშვნელოვანი გავლენა ფეოდალიზმის გენეზისზე²⁷.

V საუკუნის მეორე ნახევრის ქართლი ადრეფეოდალური სახელმწიფოა, რომლის სათავეში იდგა მეფე. სოციალურად გაბატონებული ფეოდალური საზოგადოების უდიდეს ნაწილს აზნაურობა შეადგენდა. აზნაურები უმთავრესად საშუალო მიწათმფლობელთა რიგებიდან გამოდიოდნენ და ცენტრალური ხელისუფლების დასაყრდენს წარმოადგენდნენ, როგორც მწარმოებელი საზოგადოების, აგრეთვე სეპარატისტულად განწყობილი მთავრების, სეფეწულებისა და ერისთავების მეფის ხელისუფლების დასამორჩილებლად წარმოებულ ბრძოლაში. აზნაურის უპირველეს მოვალეობას მეფისადმი სამხედრო სამსახური შეადგენდა, მათგან დგებოდა მიიმედ შეიარაღებული ინხედრობა, ე. წ. აზნაურული ლაშქარი²⁸.

უცხოური „აზნაურის“ ქართულ შესატყვისად „წარჩინებულს“ ვარაუდობენ²⁹, რომელიც „აზნაურის“ მსგავსად ჩვენი დროისათვის ქართლის გაბატონებული საზოგადოების აღმნიშვნელი საერთო ტერმინი შეიძლება ყოფილიყო, თუმცა ამ გაბატონებულ წრეში „აზნაურ-წარჩინებულთა“ გვერდით გვხვდებოდა „სეფეწულები“, „მთავრები“, „ერისთავები“, რომელნიც გაბატონებული საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებს ქმნიდნენ და ფეოდალური იერარქიის სხვადასხვა საფეხურზე იდგნენ. ამ სოციალურ-პოლიტიკური კიბურის სათავეში უფალი, მეფე იდგა. სამეფო სახლის წევრებს სეფეწულები შეადგენდნენ³⁰.

სამხედრო-სამხელეო არისტოკრატის უმაღლეს ფენას ერისთავები შეადგენდნენ. ერისთავთა გამგებლობაში ცალკეული საერისთავოები, სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეულები იმყოფებოდა და მათ მთავარ მოვალეობას უფლის წინაშე ლაშქრის გამოყვანა და საერისთავო ლაშქრის წინამძღოლობა შეადგენდა. ერისთავის მოვალეობას შეადგენდა აგრეთვე საერისთავო ქვეყნიდან სახელმწიფო გადასახადების აკრეფის უზრუნველყოფა, ადმინისტრაციული და სასამართლო გამგებლობა. ერისთავებს მეფე ნიშნავდა, მაგრამ საერისთავო ხელისუფლების სამემკვიდრეოდ გადაქცევის ტენდენცია ადრევე შეინიშნებოდა. ცენტრალური ხელისუფლება ცდილობდა შეენარჩუნებინა თავისი თავდაპირველი უფლებები ერისთავებისა და საერისთავო ქვეყნების მიმართ, რაც ხელს უწყობდა შინაკლასობრივი და კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას.

ფეოდალური არისტოკრატის უმაღლეს ფენას განეკუთვნებოდნენ მთავრებიც. მთავარი მაღალი ადმინისტრაციული თანამდებობის,

„კელის“ მქონე პირი იყო. ამასთანავე იმდროინდელი მთავარი მცირე პოლიტიკური ერთეულის მემკვიდრეობით მფლობელი უნდა იყოს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ „მთავარი“ ზოგადი „წარჩინებულის“ მნიშვნელობითაც შეიძლება იხმარებოდეს³¹.

შემდგომი განვითარება მთელი გაბატონებული საზოგადოების ერთ, აზნაურთა კლასად ჩამოყალიბების ნიშნის ქვეშ მიმდინარეობდა. ამ დროს უკვე ისახებოდა ტენდენცია გაბატონებულ საზოგადოებას მთლიანად ეწოდოს აზნაურ-წარჩინებულნი.

აზნაურობის, როგორც სოციალური ფენის, მნიშვნელობის დახასიათებისათვის ფრიად საყურადღებოა იაკობ ხუცესის „შუშანიკის მარტილობაში“ აღნიშნული ფაქტი, რომ მომავლადვე შუშანიკთან „მსგავსად მისივე სახისა აზნაურნი დიდ-დიდნი და ზეპურნი დედანი, აზნაურნი და უაზნონი სოფლისა ქართლისანი მოვიდეს“³². მოტანილი ადგილი აშკარად მიუთითებს, რომ აზნაურობა ერთფეროვან მასას აღარ წარმოადგენდა და მასში არსებობდა ზედაფენა „დიდ-დიდი“ აზნაურების სახით. ვფიქრობთ, განვითარების ამ საფეხურზე საეჭვოა, რომ ეს ფაქტი აზნაურთა წრეში მომხდარი დიფერენციაციის შედეგი იყოს და, მით უმეტეს, ამ „დიდ აზნაურებზე“ დამოკიდებული „მცირე“ აზნაურების არსებობაზე მიუთითებდეს, ისეთი ვითარების არსებობაზე როგორც ჩვენ გვაქვს მომდევნო ხანაში, როდესაც არსებობენ დიდებულ აზნაურებზე დამოკიდებული „საკუთარი“ თუ „წინაშემდგომელი“ აზნაურები. მაგრამ რომ ამ ეპოქაში არსებობენ ასეთი „დიდი“ აზნაურები, ეს უდავოა. აღნიშნულთან დაკავშირებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ტენდენცია „აზნაურის“ ცნების გაფართოებისა, ამ ცნებაში გაბატონებული საზოგადოების ყველა ფენის გაერთიანებისა ამ დროს აზნაურად რაცქს „ერისთავებს“, „მთავრებს“. ამ თვალსაზრისით საინტერესოა მოტანილი ადგილი. აგიოგრაფი წერს, რომ შუშანიკთან მოვიდნენ „მსგავსნი მისივე სახისა“, ე. ი. როგორც თვითონ იყო ისეთი „აზნაურნი დიდ-დიდნი“ და „ზეპურნი დედანი“, და იმავე დროს—რიგითი აზნაურებიც და უაზნონიც. შუშანიკი კი გაბატონებული საზოგადოების უმაღლესი ფენის, ერისთავთა წრის წარმომადგენელია და, აქედან გამომდინარე, შეიძლება ვიფიქროთ, რომ სწორედ „ერისთავები“ და „მთავრები“ იგულისხმებიან „დიდ-დიდ აზნაურებში“.

იმდროინდელი საზოგადოების მეორე და უმთავრეს ნაწილს მწარმოებელი საზოგადოება შეადგენდა, რომელიც მსგავსად გაბატონებული ფენისა, არ იყო ერთგვაროვანი. მწარმოებელი საზოგა-

დობის უმრავლესობას ჯერ კიდევ „ეროვანი“, თავისუფალი მეთემენი შეადგენდნენ. IV—V საუკუნეებში ის „ერს“ ან „ყოველ ერს“ შეადგენდა, მაგრამ ეს „ყოველი ერი“ ამ დროს უკვე არ ასახავდა მთელ საზოგადოებას, მას უპირისპირდებოდა მეფის „პალატ-ბანაკის“ წარმომადგენლები, მთავრები, წარჩინებულები, აზნაურები. უღარესად ნიშანდობლივია, რომ V საუკუნეში არსებობს ტერმინი „წვრილი ერი“. როგორც ს. ჯანაშია შენიშნავს, სახელწოდება „წვრილი ერი“ ზევიდან არის დარქმეული, ის „წარჩინებულთა ტერმინია „დაბალი“, „პატარა“ ხალხის აღსანიშნავად³³. ეს წვრილი ერისგანნი წვრილი მწარმოებლები არიან, რომელთაც ჯერ კიდევ შენარჩუნებული აქვთ სამამულო უფლებები სათემო თუ კერძო მფლობელობის სახით, მაგრამ რომელთაც უკვე აკისრიათ სახელმწიფო გადასახადები ხარკის, სამხედრო ბეგარის, სხვადასხვა ფორმალურად „ნებაყოფლობითი ძღვენებისა“ და საჩუქრების სახით. მას „მდაბიორებს“, „მდაბიოს“-საც უწოდებენ, რაც მეთემეს, სოფლის მცხოვრებს, ე. ი. თემში გაერთიანებულს უნდა ნიშნავდეს. ეს ძველი „ერის“ ნაშთია.

მწარმოებელი საზოგადოების გარკვეულ ნაწილს ამ დროს უკვე წარმოადგენდა გლეხობა, სხვის მიწაზე მსხდომი პირადად არათავისუფალი მიწის მუშა, რომლის ნაწილი მიწაზეც უნდა ყოფილიყო მიმაგრებული. გლეხები ჰყავდათ საერო ფეოდალებს (მეფე, აზნაურ-წარჩინებულნი) და ეკლესია-მონასტრებს. გლეხთა ფენა დამორჩილებულ-დაყმევებული მეთემეებისაგან, თემიდან სხვადასხვა მიზეზით გამოდევნილ ეკონომიურად უქონელთაგან და ყოფილი მონებისაგან დგებოდა. მათ მოვალეობას მებეგრეობა, ძირითადად მუშაობა-სამსახური და ნაწილობრივ სურსათით გადასახადიც შეადგენდა.

მწარმოებელი საზოგადოების ერთ ჯგუფს ამ დროს მონები ქმნიდნენ. მონები და „მხევლები“, მონა-ქალები ჰყავდათ მეფეებს, მსხვილ ფეოდალებს, წვრილ მიწისმფლობელთ. მათ უმთავრესად იყენებდნენ შინამოსამსახურებად ოჯახში, შეიძლება სახელოსნოებშიც³⁴.

საზოგადოების ამ ძირითად ფენებს გარდა ამ პერიოდში დიდი რაოდენობით უნდა ყოფილიყვნენ გარდამავალი ფენის წარმომადგენელებიც. ესენი იყვნენ უმთავრესად „მსახურები“. მსახური „სახლის“ კაცია. ის შეიძლება დაწინაურებული მონა იყო, უმთავრესად კი ისინი „ერიდან“ აღზევებულნი იყვნენ. „მსახურება“ გარდამავალი საფეხური იყო „წვრილ ერსა“ და „აზნაურ-წარჩინებულებს“ შორის. მათ უმთავრესად ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ მოვალეობას

აკისრებდნენ, მათ ევალეზოდან სანახლეებში შინაგანი წესრიგის დაცვა, პატრონისა და მისი ოჯახის წევრების პირადი ზღედა და სამსახური. ამავე თავისუფალთა, უაზნოთა წრიდან უნდა იყვნენ გამოსული მხედრები, რომელთა მოვალეობა პატრონის მიმართ სამხედრო სამსახური იყო. კარგად ნამსახურ მხედრებს პატრონი აღაზნებდა, როგორც, მაგ., ვახტანგ გორგასალმა ოსებზე გამარჯვების შემდეგ „წარჩინებულ ქმნა (ე. ი. გააზნაურა, მ. ლ.) მკედარნი, მსახური მკნელ“³⁵.

აღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესოა ვახტანგის ისტორიაში დაცული ერთი ცნობა, რომ ბინქარანს, რომელიც „ასწავებდა ქართველთა სკულსა თქსსა არა ერჩდა წარჩინებულთაგანი, გარნა წერილისი ერისაგანნი მოაქცია“³⁶. ჩვენს ყურადღებას აქ ერთი გარემოება იქცევს, წყაროსათვის ქართლის საზოგადოება ორ ნაწილად გაყოფილი: „წარჩინებულნი“ და „წერილი ერი“. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გაბატონებულთა ყველა წარმომადგენელი ზოგადად „წარჩინებულია“, ხოლო სხვა — „წერილი ერია“³⁷.

ფეოდალური საზოგადოების ძირითადი ფენები უმთავრესად წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო ქართლის ბარისა და, ალბათ, ნაწილობრივ მთისწინა ზოლში. განვითარების დონით მთიანეთის მოსახლეობა ჩამორჩებოდა ბარისას და იქ მწარმოებელი საზოგადოება უმთავრესად თემებში უნდა ყოფილიყო იმ დროისათვის გაერთიანებული, მაგრამ იმდროინდელი თემი, რასაკვირველია, დიდი ხანია უკვე დაშორდა პირველყოფილი საზოგადოების თავისუფალ თემს და მასზე ბატონობას სახელმწიფო ახორციელებდა. მთიანეთის მოსახლეობას უმთავრესად სამხედრო სამსახური ევალეზოდა, პატრონის, მეფის მიმართ და „ხარკი სამეფო“.

ამგვარად, V საუკუნის ქართლის საზოგადოება ძირითადად შედგებოდა გაბატონებული ზედა ფენისა (აზნაურ-წარჩინებულთა და მთავრებთაგან) და თემებში გაერთიანებულ მწარმოებელთაგან, წვილ კერძო მესაკუთრე მწარმოებელთაგან, გლეხთაგან და ნაწილობრივ მონათაგან. განვითარება ამ დროს გაბატონებული საზოგადოების ერთ — აზნაურთა კლასად კონსოლიდირებისა და მეთემეთა და წვილ კერძო მესაკუთრეთა გლეხებად გადაქცევის ნიშნის ქვეშ მიმდინარეობდა. აღნიშნული გარემოება ამწვავეს კლასობრივ ბრძოლას.

როგორც ცნობილია, შუა საუკუნეებში კლასობრივი ბრძოლა უმთავრესად რელიგიურ სამოსელში ეხვეოდა და სოციალურად და კლასობრივად დაჩაგრული ფენები თავის პროტესტს რელიგიურ ომ-

ებსა და სხვადასხვა ერეტიკული მიმდინარეობების ჩამოყალიბებასა თუ არსებულ მწველზელობათა მხარდაჭერაში ავლენდნენ.

V ს. მეორე ნახევრის ქართლში, როგორც ცნობილია, ქრისტიანობა უკვე კარგა ხანია სახელმწიფო რელიგიად იყო აღიარებული. ჩვენ, სამწუხაროდ, არ გვაქვს პირდაპირი ცნობები ამ დროის ქართლში მიმდინარე დოგმატურ-იდეოლოგიური ბრძოლის შესახებ. ასეთი ბრძოლის არსებობა თითქოს გამორიცხული არ უნდა იყოს. ამასთანავე ფრიად საინტერესო ცნობებია დაცული ქართლის მოსახლეობის, კერძოდ, წვრილი ერის დამოკიდებულების შესახებ იმ პროპაგანდისადმი, რომელსაც ამ დროს ირანის ხელისუფლება ეწეოდა. სასანიანთა ირანის ხელისუფლება საკუთარი იდეოლოგიის დამკვიდრება-გავრცელების მიზნით ქართლში სხვადასხვა საშუალებებს მიმართავდა. ის ცდილობდა როგორც საზოგადოების გაბატონებული ფენების წარმომადგენელთა გამაზღვანებას, ისე ხალხში ცეცხლის-მსახურების გავრცელებას.

როდესაც მცირეწლოვანი ვახტანგ მეფის დედა, დაქვრივებული დედოფალი საგდუხტი თავის მამას, ბარზაბოდ რანის ერისთავს შეიღისა და ქართლის დაცვას თხოვდა, ერისთავმა მოითხოვა ქართლში ცეცხლმსახურების თავისუფალი პროპაგანდის დაშვება, „ვინცა ქართველი ნებითა თვისითა აღირჩევდეს სჯულსა ჩუენსა, ნუ აყენებთ“³⁸. ამის განხორციელების მიზნით „ბარზაბოდ წარმოგზავნა ცეცხლის მსახურნი მცხეთას და მათ ზედა ეპისკოპოსად ბინქარან, და დასხდეს მოგუთას“³⁹. ეს „ეპისკოპოსი ცეცხლის მსახურთა, ასწავებდა ქართველთა სჯულსა თვისსა“. მემბტიანესთან არის ფრიად საყურადღებო ფრაზა, რომ „არავინ ერჩდა წარჩინებულთაგანი, გარნა წურილი ერი მიიქცა მრავალი ცეცხლისმსახურებასა და შეერია ქართლს, წურილსა ერსა ცეცხლის-მსახურება“ და რომ „მცირედნი ვინმე წურილისა ერისაგანნი მიიქცეს ცეცხლის-მსახურებასა“⁴⁰. მოტანილ ცნობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რამეთუ მასში არის მინიშნება კლასობრივ ბრძოლაზე.

ქრისტიანობა ჩვენში შემოვიდა როგორც ფეოდალური საზოგადოების იდეოლოგია, რომლის ერთ-ერთი მთავარი მისია ფეოდალთა კლასის ბატონობის და, კერძოდ, ფეოდალური მიწისმფლობელობის სისტემის განმტკიცება იყო. ფეოდალური კლასის სოციალურ-პოლიტიკური ბატონობის ერთ-ერთი უმთავრესი მხარე ფეოდალური მიწისმფლობელობის შექმნასა და ფეოდალთა მიერ ეროვან-ერისგანთა, მეთემეთა და წვრილ თავისუფალ მიწისმფლობელთა სოციალურად დამორჩილება იყო. პროტესტი ქრისტიანობის მიმართ მი-

სი გავრცელების პირველ ეტაპზე ვლინდება როგორც საკუთარი ძველი, წარპართული რწმენების დაცვაში, ისე ახლა, ახალ ვითარებაში, ქრისტიანობისათვის ცეცხლმსახურების დაპირისპირებაში. უალრესად ნიშანდობლივია წყაროს ცნობა, რომ ცეცხლმსახურებად მიიქცა „წურილი ერი“, რომ ქართლს ცეცხლმსახურება შეერია, „წურილსა ერსა“. სწორედ ეს „წვრილი ერი“, ყოფილი თავისუფალი ერის ნაშთი, ის ნაწილი მოსახლეობისა, რომელსაც ედება ფეოდალთა უღელი, თავის პროტესტს ამით ამჟღავნებს. ქრისტიანობისაგან განდგომა და მისთვის ცეცხლმსახურების დაპირისპირება ამ „წვრილი ერის“ კლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთი ფორმაა და მეფე ვახტანგ გორგასალის მიერ ეკლესიის განსამტკიცებლად გატარებული ღონისძიებანი, საეპისკოპოსოთა გამრავლება-გაძლიერება, სხვა მიზნებთან ერთად ამ წვრილი ერის პროტესტის, მისი კლასობრივი წინააღმდეგობის დათრგუნვასაც ისახავდა მიზნად.

ხელისუფლების ცენტრალიზაციისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება მეფისადმი წარჩინებულთა დაქვემდებარების საკითხს. ირანი აქაც თავისი ნაცადი გზით მოქმედებდა. ერისთავ-წარჩინებულთა გადმობირების საქმეში მაღალი თანამდებობებისა და სხვა „პატივთა“ მიცემასთან ერთად თავის დიდ საქმეს მათ შორის ცეცხლის თაყვანისცემის პროპაგანდაც აკეთებდა.

II. პოლიტიკური მდგომარეობა V საუკუნის პირველ ნახევარში

V საუკუნის პირველ ნახევარში ისტორიული საქართველოს მიწა-წყალზე ორი ქართული სახელმწიფო არსებობდა: აღმოსავლურ-ქართული—ქართლის (იბერიის) სამეფო და დასავლურქართული—ეგრისის (ლაზიკის) სამეფო. ქარლის სამეფოს დედაქალაქი იყო მცხეთა, ეგრისის — ციხე გოჯი (არქეოპოლისი, ნოქალაქევი). სვანეთი, თაკვერი (ლეჩხუმი) და არგვეთი, ქართლისა და ეგრისის მოსაზღვრე მხარეები, ამ დროს ეგრისის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. სამხრეთ-დასავლეთით ეგრისს ეკუთვნოდა ისტორიული ჭანეთისა და კლარჯეთის ნაწილი. კლარჯეთის დიდი ნაწილი, აჭარა, სამცხე ქართლის სამეფოში შემოდიოდა. უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთით აფხაზეთი ეგრისის შემადგენლობაში იყო. სამხრეთით გუგარქი, კოლბისა და ძორის ხეობები ლორე-ტაშირის ზეგანამდე ქართლის სამეფოში შემოდიოდა, ხოლო აღმოსავლეთით საზღვარი ქართლსა და ალბანეთს შორის იორ-ალაზნის შესაყარის ზოლს მიჰყვებოდა!

მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკურ სარბიელზე ამ დროს ერთმანეთს მეტოქეობას უწყევდა ორი დიდი სახელმწიფო — სასანიანთა ირანი და ბიზანტიის იმპერია. ტრადიციულად ირანის პოლიტიკური და, შესაბამისად, კულტურული გავლენა უფრო მეტად აღმოსავლეთ საქართველოზე ვრცელდებოდა, ხოლო ბიზანტიის — დასავლეთ საქართველოზე. მაგრამ ეს, რასაკვირველია, არ გამორიცხავდა ირანის პრეტენზიებს დასავლეთ საქართველოსა და ბიზანტიისას აღმოსავლეთ საქართველოს მიმართ.

აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში (სომხეთი, ალბანეთი, ქართლი) IV საუკუნის 70-იანი წლებიდან საგრძნობი ხდება ირანის პოზიციების განმტკიცება. ეს მდგომარეობა კიდევ უფრო სტაბილური ხდება V საუკუნის პირველ ნახევარში. 428 წელს ირანელებმა გააუქმეს მეფობა სომხეთში. მართალია, ქართლსა და ალბანეთში ჯერ კიდევ არსებობდა ადგილობრივი მეფეების ხელისუფლება, მაგრამ ირანის

ჩარევა ამ ქვეყნების საშინაო საქმეებში თანდათან აქტიურდებოდა. ირანის პოლიტიკა აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქვეყნების მიმართ განსაკუთრებით გააქტიურდა V საუკუნის 40-იანი წლებიდან, იეზიდის II-ის (438—457) დროს. „სპარსელთა პოლიტიკა რამდენიმე პუნქტისაგან შედგებოდა. ეს იყო: 1. ახალი სახის მძიმე სამხედრო ბეგარის შემოღება; 2. ახალი საგადასახადო სისტემის შემოღება; 3. ირანის ქვეშევრდომ ამიერკავკასიის ქვეყნებში შინაგანი დამოუკიდებლობის სრული ლიკვიდაცია და 4. ქრისტიანული რელიგიის მახდევანურით შეცვლა“². დასახული მიზნის მისაღწევად საჭირო იყო ყველა ამ ღონისძიების ერთდროულად განხორციელება. ჩანს, მართებული უნდა იყოს სამეცნიერო ლიტერატურაში შემუშავებული თვალსაზრისი, რომ ყველაზე აქტიურად და ენერგიულად ირანი სომხეთის მიმართ მოქმედებდა და იმედოვნებდა, რომ სომხეთში მტკიცედ ფეხის მოკიდების შემდეგ ქართლსა და ალბანეთში გაბატონება არ გაუძნელდებოდა. მართალია, ასეთი თვალსაზრისის გამომუშავება შეიძლება იმიტაც იყოს გამოწვეული, რომ ამ დროს ირანის კავკასიური პოლიტიკის შესახებ ჩვენ ძირითადად სომხური წყაროებით ვართ ინფორმირებული, მაგრამ რეალური ვითარება თითქოს უნდა ამართლებდეს ირანის ასეთ კურსს.

ირანმა თავისი კურსის განხორციელება ახალი სახის სამხედრო ბეგარით დაიწყო და V საუკუნის ორმოციანი წლების დასაწყისში სომხეთიდან, ქართლიდან და ალბანეთიდან ცხენოსანი რაზმები გაიწვია. ამ სამხედრო ძალას ირანის ხელისუფლება უმთავრესად შუა აზიაში წარმოებულ ბრძოლებში იყენებდა. V საუკუნის მეორე ნახევარსა და VI საუკუნის პირველ ნახევარში ირანი უმთავრესად ჰეფთალეებს ებრძოდა. სასანიელი შაჰები ბარამ V გური (421—438) და იეზიდის II (438—457) მათ ხორასნისა და თოხარისტანის ტერიტორიაზე ებრძოდნენ. V საუკუნის მეორე ნახევარში ჰეფთალეებმა დაიმორჩილეს თოხარისტანი და სოლდი და ძლიერი სახელმწიფო შექმნეს. ამათ წინააღმდეგ იბრძოდა შაჰი პეროზ II (459—484)³. ამიერკავკასიის ქვეყნებიდან სამხედრო რაზმების გამოყვანა, გარდა ირანის შესაძლებლობის გაზრდისა, საკუთრივ სომხეთის, ქართლისა და ალბანეთის სამხედრო პოტენციალის შემცირებასაც ისახავდა მიზნად და, შესაბამისად, სასანიანთა წინააღმდეგ მიმართული ტენდენციების შესუსტებას. ამასთანავე, სამშობლოდან შორს მყოფ მოლაშქრეებზე უფრო ადვილი უნდა ყოფილიყო ირანის გავლენის გავრცელება და მათში ქრისტიანობის საპირისპიროდ სასანიანთა იდეოლოგიის — მაზდეანობის შეტანა. სომხეთში სპარსელებმა ჩაატარეს აღ-

წერა, რომლის შედეგად გაზარდეს გადასახადი და, რაც საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, საირანო ხარკი ეკლესიასაც დააკისრეს. ჩვენ არ გვაქვს პირდაპირი ცნობები ირანელთა პოლიტიკის შესახებ ქართლის მიმართ, მაგრამ როგორც სამართლიანადაა აღნიშნული საკითხის სპეციალურ ლიტერატურაში, ირანი ამიერკავკასიის ქვეყნების მიმართ ძირითადად ერთნაირ ხაზს ატარებდა ამ პერიოდში. ნიშანდობლივია ისიც, რომ უცხო დამპყრობთა სასარგებლოდ დაკისრებული გადასახადის აღსანიშნავად ქართულ ენაში ირანული „ხარკი“ დამკვიდრდა, რაც მართლაც იმის მანიშნებელი უნდა იყოს, რომ ეს მოვლენა ჩვენში სწორედ ირანიდან შემოვიდა. ამ საერთოდ ერთნაირი პოლიტიკის მანიშნებელია სამხედრო ბეგარის ერთნაირი ხასიათი და აგრეთვე ერთნაირი სარწმუნოებრივი პოლიტიკა. აღნიშნულთან ერთად უთუოდ გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ განსხვავებით სომხეთისაგან, სადაც, როგორც აღნიშნულია V საუკუნის 20-იანი წლების დასასრულისათვის ირანელებმა მეფობა გააუქმეს, ალბანეთში ამავე საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისამდე, ხოლო ქართლში VI საუკუნის 20-იან წლებამდე ადგილობრივი უზენაესი ხელისუფლის, მეფის ხელისუფლება ძალაში იყო, რაც, რასაკვირველია, აიძულებდა ირანს ამ ფაქტისათვის ანგარიში გაეწია. უკეთ რომ ვთქვათ, ის გარემოება, რომ ირანი იძულებული იყო ალბანეთსა და ქართლში გარკვეულ დრომდე ადგილობრივ მეფეთა ხელისუფლება მოეთმინა აქ მისი ძალაუფლების შედარებით სისუსტეზე მიუთითებს⁴.

დაიწყო ირანის ხელისუფლების შეტევა ქრისტიანულ სარწმუნოებაზე. ქრისტიანობას უდიდესი როლი ენიჭებოდა ამ დროს (ჩსევე როგორც მთელი შუა საუკუნეების მანძილზე) ამიერკავკასიისა და, კერძოდ, ქართლის ისტორიაში. პოლიტიკური ბატონობისათვის ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა იდეოლოგიას. ქრისტიანობა არ იყო მხოლოდ საშინაო საკითხი, ის მჭიდროდ იყო დაკავშირებული საგარეო პოლიტიკის საკითხებთან, რადგან ქრისტიანული იდეოლოგია არა მხოლოდ თიშავდა ქართლს ირანისაგან, ამასთანავე მჭიდროდ აკავშირებდა მას ირანის მეტოქე ბიზანტიასთანაც. ირანის ხელისუფლება შეეცადა მაზდეანობა გაევრცელებინა სამხედრო რაზმებში, რომელნიც შუა აზიაში სასანიანთა მეტოქეებს ებრძოდნენ. ეს ცდა მარცხით დამთავრდა. ამიერკავკასიის ქვეყნებს შორის ყველაზე ადრე ქრისტიანობის დაგმობა და მაზდეანობის აღიარება შაჰმა იეზდიგერდ II-მ სომხეთს მოსთხოვა. ეს, პირველ რიგში, განპირობებული იყო სომხეთის პოლიტიკური

სტატუსით. იქ საკუთარი მეფე აღარ არსებობდა და სომხეთი უშუალოდ ირანის მოხელეს ექვემდებარებოდა და აგრეთვე იმის სამართლიანი იმედითაც, რომ ამ საკითხის სომხეთში მოგვარება შედარებით შეუმსუბუქებდა ირანელებს ქართლსა და ალბანეთში იმავე ღონისძიების გატარებას. მაგრამ რადგან სომხეთი შაჰის ამ ბრძანებას არ დაემორჩილა, იეზიდგერდმა გადაწყვიტა ეს რთული პრობლემა ერთდროულად მოეგვარებინა სამივე ქვეყანაში. საკითხის ამგვარი გადაწყვეტა, სხვასთან ერთად, ალბათ იმ მიზანსაც ისახავდა, რომ შევიწროებულ ქრისტიანებს ერთმანეთისათვის თავშესაფარი ვერ მიეცათ და მფარველობა ვერ აღმოეჩინათ. შაჰმა ქართლის, სომხეთისა და ალბანეთის თავკაცები თავისთან დაიბარა. ნიშანდობლივია შაჰის ბრძანება: „ვენც დაიზარებს და დაიგვიანებს, ყოველგვარი პატიების გარეშე სიკვდილით დაისჯებაო“⁵. ერთმანეთთან მოთათბირების შემდეგ, იმ პირობით, რომ მამა-პაპათა სარწმუნოებას არ უღალატებდნენ, დაბარებულნი შაჰს ეახლნენ. იეზიდგერდმა ქრისტიანობის დაგმობა და ცეცხლმსახურების აღიარება მოითხოვა. სომეხი ისტორიკოსი ლაზარე ფარპეცი ნიშანდობლივ ჩამოთვლის სომხეთის ნახარათა საგვარეულოების მთავრებს (სივნიელი, არწრუნი, რშტუნი, ხორხორუნი, მამიკონიანი და სხვ.), რომელნიც შაჰთან გაემგზავრნენ. ქართლიდან ასახელებს მხოლოდ არშუშა პიტიახშს და „იმ ქვეყნის სხვა ტანუტერებს“ (ე. ი. დიდ საგვარეულოთა სახლის უფროსებს), ხოლო ალბანელთაგან ნიშანდობლივ არავინ არ არის ცნობილი⁶. სომხეთიდან ნახარათა საგვარეულოების მეთაურები რომ იყვნენ გაწვეულნი, ეს გასაგებია, მაგრამ სხვადასხვა კოთხეებს ბადებს ის გარემოება, თუ მეფის ხელისუფლების არსებობის პირობებში რატომ არ იყვნენ გამოძახებული შაჰთან ქართლისა და ალბანეთის მეფეები (ივარაუდება, რომ გამოძახების შემთხვევაში ნიშანდობლივ იქნებოდნენ ისინი დასახელებული ფარპეტთან, მით უმეტეს, რომ ის ქარალიდან ასახელებს არშუშა პიტიახშს). ქართლის მეფის ირანში ჩაუსვლელობასთან დაკავშირებით გამოთქმულია ვარაუდი, რომ ქართლის ტახტი შეიძლება ამ დროს ცარიელი იყო ან „რაიმე განსაკუთრებული ვითარება არსებობდა. შეიძლება ვახტანგი (ვახტანგ გორგასალი, რომლის მეფობაა სწორედ ამ დროს სავარაუდებელი, მ. ლ.) ამ დროს მართლაც მცირეწლოვანი ყოფილიყო და ამიტომ მის წასვლას ირანში მაინცდამაინც დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა“⁷. მაგრამ რით ავხსნათ ალბანთა მხრიდანაც მხოლოდ დიდებულების დასახელება. ნ. ჯანაშია ფიქრობს, რომ აქაც „რალაც განსაკუთრებული ვითარება უნდა ყოფილიყო“⁸. რა-

საკვირველია, არ არის გამორიცხული არც ვახტანგის მცირეწლოვანება, ისევე როგორც არც მისი ამ დროს ირანში სალაშქროდ ყოფნა⁹, მაგრამ ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ შაჰ იეზდიგერდს სურდა სწორედ დიდებულ საგვარეულოთა სახლის მეთაურებთან დაემყარებინა უშუალო კონტაქტი და ისინი დაეპირისპირებინა მათივე მეფეებისათვის. ასეთი ვარაუდი არ უნდა იყოს გამორიცხული საერთოდ ირანის პოლიტიკის გათვალისწინებით. შაჰის სურვილზე, დაემყარებინა უშუალო კონტაქტები დიდებულ საგვარეულოთა თავკაცებთან, უნდა მიუთითებდეს ირანში გამოძახებულ სომეხ ნახარაართა გრძელი სია, აგრეთვე ქართლიდან არშუშა პიტიახშთან ერთად „იმ ქვეყნის სხვა ტანუტერების“ ე. ი. დიდებულ საგვარეულოთა თავკაცების და ალბანელთა წარმომადგენლებისაც, როგორც წესი, მრავლობით რიცხვში მოხსენიება. რომ იეზდიგერდის გეგმა ფართო მიზანს ისახავდა და არა მხოლოდ გარკვეული დასაყრდენი ფენის შექმნას აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქვეყნებში, არამედ მთელი მოსახლეობის მახდენარობაზე მოქცევას, ეს აშკარაა. როდესაც დიდი ყოყმანისა და ურთიერთშორის მოლაპარაკების შემდეგ ჩასულებმა გარეგნულად დამორჩილება და მოსაჩვენებლად ცეცხლშსახურებაზე გადასვლის თანხმობა განაცხადეს, მათ ახალი სარწმუნოება მიალებინეს, შემდეგ „სამივე ქვეყნის—სომხეთის, ქართლისა და ალბანეთის, — ტანუტერებსა და სეპუჰებს ჩააცვეს სამეფო სამოსელი და შეამკეს. ყველანი აავსეს სხვა მრავალი და სხვადასხვანაირი საჩუქრებითა და პატივით, სოფლებითა და აგარაკებით თვითეული მათგანის საჭიროებისამებრ. შემდეგ ისინი დაითხოვეს და ჩქარობდნენ, რათა წასულიყვნენ თავ-თავის ქვეყანაში. თან გააყოლეს მრავალი ცრუ მოძღვარი, რომლებსაც მოგვებს უწოდებენ“¹⁰. მიუხედავად ასეთი საზეიმო ვითარებისა, იეზდიგერდი ბოლომდე მაინც არ ენდობოდა მათ და მძევლებად არშუშა პიტიახში და სომხეთის მარზპანის ვასაკ სივნიელის შვილები დატოვა.

მოგვებს ფართოდ უნდა გაეშალათ ახალი მოძღვრების პროპაგანდა მოსახლეობის ყველა ფენაში, ეკლესიები ზოროასტრულ ტაძრებად გადაეკეთებინათ, გაეხსნათ ზოროასტრული სკოლები, ეკლესიის სიმდიდრე სამეფო სალაროსათვის გადაეცათ... ამ საქმეში მოგვების დასაყრდენი დიდებულთა სახლების მეთაურები უნდა ყოფილიყვნენ.

ირანელთა ასეთი სასტიკი რეჟიმის დამყარებას, როგორც მოსალოდნელი იყო, მოჰყვა დიდი აჯანყება სომხეთში ვარდან მამიკონიანის მეთაურობით 450 წ. აჯანყებულ სომხებს ალბანელებიც შეუ-
3. მ. ლორთქიფანიძე

ერთდნენ. თავდაპირველად აჯანყებულებმა წარმატებას მიაღწიეს, მაგრამ, როგორც ცნობილია, აჯანყება 451 წელს დამარცხდა და მათი მეთაური ვარდან მამიკონიანი ბრძოლის ველზე დაიღუპა. ქართლს ამ აჯანყებაში მონაწილეობა არ მიუღია. ქართლის ასეთი პოზიცია ალბათ იმით იყო განპირობებული, რომ სომხეთთან და ალბანეთთან შედარებით ქართლში უფრო ნაკლებად იგრძნობოდა ირანელთა რეჟიმის სიმკაცრე, გადასახადიც შედარებით მსუბუქი იყო და რელიგიურ პოლიტიკასაც ირანი უფრო ფრთხილად ატარებდა. ამავდროს ირანმა თავისი აგენტების, მოღალატე სომეხი ფეოდალების მეშვეობით, შეძლო ქართველებისა და სომეხების გათიშვა. საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს მოსაზრება ამ დროისათვის უკვე ქართლის აზნაურებსა და ირანის ხელისუფლებას შორის შესაძლებელი კონტაქტების არსებობის შესახებ ქართლის მეფის წინააღმდეგ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქართლის წარჩინებულთა მეთაური პიტიახში არსულა შაჰს მძევლად ჰყავდა დატოვებული¹¹.

მიუხედავად დამარცხებისა, აჯანყებას უშედეგოდ მაინც არ ჩაუვლია. საკუთრივ ირანის მდგომარეობის გაუარესებამ, შუა აზიაში მომთაბარეთა გააქტიურებამ, ჩრდილო კავკასიიდან ჰუნთა ტომების ირანის მიწა-წყალზე შეჭრამ და სომეხი და ალბანელი ხალხის თავდადებულმა ბრძოლამ სასანიანთა ხელისუფლება აიძულა აჭერად ხელი აეღო ამიერკავკასიის ქვეყნების თავის პროვინციებად გადაქცევისა და მათი კულტურული ასიმილაციის პოლიტიკაზე, მაგრამ ასეთი მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. V ს. 60-იანი წლების დასაწყისში სპარსელები ისევ აქტიურ პოლიტიკაზე გადადიან. მარცხით დამთავრდა ალბანეთის აჯანყება ირანელთა წინააღმდეგ და 463 წელს ალბანთა მეფე ვაჩე იძულებული შეიქნა უარი ეთქვა მეფობაზე. ამიერკავკასიის ქვეყნებში ირანი ისევ იწყებს ბრძოლას ქრისტიანობის წინააღმდეგ, იწყება ცეცხლთაყვანისმცემლობის ძალით გავრცელება, მაღალი თანამდებობის მიღება მხოლოდ რჯულის უარყოფით გახდა შესაძლებელი. სასანიანთა ხელისუფლება, ჩანს, თანდათან უნდა დარწმუნებულიყო იმაში, რომ ამიერკავკასიაში გლობალურად ქრისტიანობის აღმოფხვრა და მოსახლეობის ცეცხლთაყვანისმცემაზე გადაყვანა ვერ განხორციელდებოდა და ცდილობდა საზოგადოების გაბატონებულ ფენაში დასაყრდენის შექმნას თავისი პოლიტიკისათვის. სწორედ ამ დროს იყო რომ ქართლის ერისთავი ვარსკენი გაემგზავრა პეროზის კარზე. იაკობ ხუცესი ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ ვარსკენი საკუთარი ნებით იღებს ახალ მოძღვრებას. ჰაგიოგრაფის სიტყვით, ვარსკენს „არცა ქირი ეხ-

იღვა არცა შიშო, არცა მახელი, არცა პყრობილებაჲ ქრისტესსთეს“. იაკობს სურს დაგვარწმუნოს, რომ ვარსკენს ეს არც ესაჭიროებოდა, „რამეთუ რაჟამს წარდგა იგი წინაშე სპარსთა მეფისა, არა თუ პატრივისა მიღებისათჳს, არამედ ძლუნად თავსა თჳსსა შესწირვიდა მეფისა მის მიმართ უვარის ყოფითა ჴემშარიტისა ღმრთისაჲთა და თაყუანის-სცემდა ცეცხლსა, რამეთუ ყოვლით კერძოვე თავის თჳსა ქრისტესგან განაგლო“¹². ვუჩქრობთ, რომ ჩვენი ჰაგიოგრაფი აქ ობიექტური არ არის. ვარსკენს ქრისტიანობის დატოვება უნდა დასჭირებოდა არა მხოლოდ იმისათვის, რომ ამ გზით ის შაჰისაგან რალაც დიდ სიკეთეს მოელოდა¹³. ცნობილია, რომ იმღროინდელ სომხეთში სომეხნი ნახარაგები ვერავითარ თანამდებობას ვერ მიიღებდნენ ქრისტიანობით. დაწინაურება მხოლოდ სამშობლოს ღალატით შეიძლებოდა. ეს ღალატი კი, პირველ რიგში, სარწმუნოების უარყოფას ნიშნავდა. ასე რომ, იაკობ ხუცესი როდესაც ვარსკენის მოქმედებას მხოლოდ მისი კეთილი ნებით ხსნიდა, ეს მას პიტიახშის პიროვნების უფრო მეტად დასამკირებლად ესაჭიროებოდა. იაკობი რეალისტი მოაზროვნე იყო. მან კარგად იცოდა, რომ სასანიანთა მძლავრობის პირობებში შეიძლებოდა შექმნილიყო ისეთი ვითარება, რომ ჴემშარიტი პატრიოტი იძულებული გამზღარიყო გარეგნულად უარყო რწმენა. როდესაც ასეთი ღალატი ძალდატანების შედეგად, საკუთარი სიცოცხლის შენარჩუნების მიზნით ხდებოდა, რათა ეს სიცოცხლე შემდეგ იმავე სამშობლოს საკეთილდღეოდ ყოფილიყო გამოყენებული, ჩვენს ავტორს შესაძლებლად არ მიაჩნია განმკითხველის როლში გამოვიდეს. მან იცოდა (არც შეიძლება არ ცოდნოდა), რომ ვარსკენის მამამ არშუშა პიტიახშმა, ირანის შაჰის იეზდიგერდის კარზე მყოფმა, მართალია დიდი ყოყმანისა და თავის თანამოძმე სომეხ და ალბანელ მთავრებთან მოთათბირების შემდეგ, გარეგნულად, შაჰის მოსატყუებლად, სიცოცხლის შენარჩუნების მიზნით, მაგრამ მაინც უარყო ქრისტიანობა და ცეცხლმსახურებად მიიქცა, მაგრამ მიუხედავად ამისა როდესაც ის შუშანიკს ვარსკენთან ალაპარაკებს, ათქმევინებს: „მამამან შენმან აღჰმართა საჰარტულენი და ეკლესიანი აღაშენა და შენ მამისა შენისა საქმენი განჰრყუნენ და სხუად გარდააქციენ კეთილნი მისნი; მამამან შენმან წმიდანი შემოიხუნა სახიდ თჳსსა, ხოლო შენ ღვენი შემოიხუნენ მან ღმერთი ცათაჲ და ქუეყანისაჲ აღიარა და ჰრწმენა, ხოლო შენ ღმერთი ჴემშარიტი უვარ ჰყავ და ცეცხლსა თაყუანის-ეც“¹⁴. ჴვეტექსტი აშკარაა, შაჰის მოტყუებას არშუშას ცოდვად არავინ უთვლის. ამასთანავე გასათვალისწინებელია არსებული ვითარება, უმიზნოდ სიკვდილს იქნებ სიცოცხლის

შენარჩუნებაა და შემდეგ ამ სიცოცხლის სამშობლოსათვის გამოყენება ჯობია. თავის განწირვა მხოლოდ გმირებს შეუძლიათ, სამშობლოსათვის თავდადება რჩეულთა ხვედრია. ასეთი რჩეულია შუშანიკი და მას უძღვნის კიდევ თავის აღფრთოვანებულ ქებათა-ქებას იაკობი. ვარსკენის სიცოცხლეს კი შეიძლება საფრთხე არ ელოდა, მაგრამ მღვთმარობის შენარჩუნებისა და პიტიასშობის უფლებებისათვის ეს აუცილებელი იყო. ვარსკენმა ძალიან კარგად იცოდა, რომ ასეთი ნაბიჯის გარეშე ის შაჰისაგან მხოლოდ დევნილი და შევიწროებული იქნებოდა, ყოველ შემთხვევაში, ყოველგვარ პატივს მოკლებული, უპატივოდ ყოფნა კი მას არ სურს. ეს ძალადობის გარკვეული ფორმაა, რაც აიძულებს ვარსკენს გადადგას ასეთი ნაბიჯი. აღნიშნულთან დაკავშირებით ანგარიშგასაწევად მიგვაჩნია მოსაზრება რომლის თანახმად ვახტანგის ისტორიკოსის ცნობა „ვარსკენ...წავიდა წინაშე სპარსთა მეფისა, და დაუტევა სჯული ქრისტესი, და იქმნა ცეცხლის მსახურ, ხოლო სპარსთა მეფემან წარმოგზავნა იგი ნიჭითა დიდითა ერისთავად რანისა“¹⁵, ისე უნდა გავიგოთ, რომ ვარსკენმა მოიპოვა „ალბანეთის მარზპანის“ („რანის ერისთავის“) თანამდებობა. მართალია, რეფორმა, რომლის შედეგად აღმოსავლეთ ამიერკავკასიის სამივე სახელმწიფო ერთ ადმინისტრაციულ ოლქში (კავკასიის ქუსტავში) გაერთიანდა შაჰ ხოსრო ანუშირვანის (531—579) სახელს უკავშირდება. მაგრამ, როგორც ცნობილია, აღმოსავლური საისტორიო ტრადიცია ყველა მნიშვნელოვან ღონისძიებას, რაც ხოსროს წინ ან მის შემდეგ გატარდა როგორც წესი, ანუშირვანის სახელთან აკავშირებს. შესაძლებელია ეს ადმინისტრაციული რეფორმა მართლაც ანუშირვანმა გაატარა, მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ ასეთი რეფორმები უმთავრესად იმის დაკანონებას ახდენდნენ, რაც ცხოვრებაში პრაქტიკულად უკვე არსებობდა. ანგარიშგასაწევია ის გარემოებაც, რომ IV—V სს. მოვლენებთან დაკავშირებით წყაროებში იხსენიებიან შაჰის მოხელეები, რომელთაც ამიერკავკასიის ქვეყნებზე ერთდროულად მიუწვდებთ ხელი. აღნიშნულის საფუძველზე, ვფიქრობთ კ. კეკელიძის და ს. კაკაბაძის მოსაზრება V ს. კავკასიის პადოსპანის თანამდებობის არსებობის შესახებ უსაფუძვლო არ უნდა იყოს¹⁶. შესაძლებელია V ს. ჯერ კიდევ არ არსებობდა „რანის ერისთავის“ ერთხელ და საჰუღამოდ დადგენილი ისეთი ხასიათის თანამდებობა, რომელსაც აღმოსავლეთ ამიერკავკასიის სამივე ქვეყნის ადგილობრივი განმგებლები ემორჩილებოდნენ, მაგრამ დრო და დრო, საჭიროების შემთხვევაში, ირანელები ასეთი უფლებით აღჭურვილ პირებს აგზავნიდნენ აქ. ამ თვალ-

საზრისით ჩვენს ყურადღებას იმსახურებს „ქართლის მოქცევის“ ცნობა, რომ „მოვიდა ქრამ ხუარ ბორ ზარდ სპარსთა მეფისა პიტიახში ტფილისად ქალაქად, ციხედ, და ქართლი მისსა ხარკსა შედგა და სომხითი და სიენითი და გუასპურაგანი“¹⁷. ე. ი. მას დაემორჩილა აღმოსავლეთ ამიერკავკასიის დიდი ნაწილი. ამავე თვალსაზრისით ინტერესს იწვევს „მთავარეპისკოპოს“ გლონოქორის პიროვნება, რომელიც ბარზაბოდ პიტიახშს ქართლისა და ჰერეთის ერისთავად დაუნიშნავს¹⁸. თუ „ქართლის მოქცევის“ „ბარზაბოდ პიტიახში“ და ჯუანშერის „რანის ერისთავი ბარზაბოდი“ ერთი და იგივე პიროვნებაა (და ჩანს ეს ასეა) მაშინ გამოდის, რომ ბარზაბოდი არის პიროვნება, რომელსაც შეუძლია ქართლსა და ჰერეთში ერისთავი დანიშნოს. ასეთი უფლება კი ბარზაბოდს მაშინ შეიძლება ჰქონდეს, თუ მას, როგორც რანის ერისთავს ქართლი და ჰერეთიც ემორჩილება. აღნიშნულის საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ V საუკუნეში უკვე არსებობდა „რანის ერისთავის“ („ალბანეთის მარზპანის“) ისეთი თანამდებობა, როდესაც ამ მოხელეს ფაქტიურად მთელი აღმოსავლეთი ამიერკავკასია ემორჩილებოდა. ასეთი მოხელე იყო ბარზაბოდი, შემდეგ მისი შვილი ვარზაბაკური და ეს კელი შიილ ვარსკენმა. ყოველივე ზემოთქმული უფლებას გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ ვახტანგის ისტორიკოსის ცნობა ამ საკითხთან დაკავშირებით არ უნდა წარმოადგენდეს ანაქრონიზმს¹⁹.

III. ქართლის კოლიზიური მდგომარეობა V ს. მეორე ნახევარში

§ 1. საბარეო კოლიზია

V საუკუნის მეორე ნახევარში ქართლის სამეფოს ტახტი ვახტანგ I გორგასალად წოდებულს უკავია. ვახტანგ I იყო ქართლის მეფის მირდატ არჩილის ძისა და რანის ერისთავის ბარზაბოდის ასულის საგდუხტის შვილი.

საისტორიო წყაროებში პირდაპირი მითითება ვახტანგ გორგასალის მეფობის თარიღებზე არ მოიპოვება, მაგრამ არსებული ცნობების ანალიზის საფუძველზე დღეს ქართულ ისტორიოგრაფიაში სადავოდ არ ითვლება მოსაზრება, რომ ვახტანგი V საუკუნის მეორე ნახევარში მეფობდა.

V საუკუნის მეორე ნახევრის ქართლის ისტორიის კვლევისას მოვლენათა ქრონოლოგიასთან დაკავშირებით დიდმა სიძნელეებმა იჩინა თავი. ვახტანგ გორგასალის მოღვაწეობის ქრონოლოგიის დადგენა თავდაპირველად ვახუშტი ბაგრატიონმა ჯცადა. მან საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიის დასადგენად ჩვენს ისტორიოგრაფიაში სინქრონიზმის ანუ თანამედროვეობის და საკალენდარო მეთოდები შემოიტანა¹.

ვახტანგის მოღვაწეობასთან დაკავშირებულ ქრონოლოგიურ მონაცემებზე ვახუშტი წერს: „ესრეთ ჭეშმარიტ სხუათა მემატიანეთა მოწმობითა და მუნ წერილთა რიცხვთა, და მეფენიცა ამას ზედა განვასწორენით, კვისართა და სპარსთა მეფეთა შეთანასწორებითა ვახტანგისამდე“². როგორც ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს. „სუნქრონიზმის ან თანამედროვეობისა და განსაკუთრებით საკალენდარო მეთოდების ხმარების დროს დიდი სიფრთხილეა საჭირო. ამასთანავე შენახული ცნობებიც გადამწერთაგან დამახინჯებული არ უნდა იყოს, თორემ ერთმა მცდარმა თარიღმა მკვლევარი შეიძლება დიდ შეცდომაში შეიყვანოს. ვახუშტის მაგალითიც ნათლად ამტკიცებს ამ გარემოებას, მასაც ამის გამო შეცდომები მოსვლია“³.

ვახუშტის მიხედვით ვახტანგ გორგასალი დაბადებულა 439 წ. მეფობდა ის 446—499 წლებში⁴. ივ. ჯავახიშვილი ვახტანგ გორგასალის გარდაცვალებას 502 წლით ათარიღებს⁵.

როდესაც ვახტანგი ტახტზე ასულა, ქართლის სამეფო, როგორც უკვე აღნიშნული იყო, სასანიანთა ირანის ვასალი ყოფილა. ჩანს, ვახტანგის მეფობის დასაწყისში ირანსა და ქართლის სამეფო კარს შორის დიპლომატიური მოლაპარაკებებს შედეგად პოლიტიკური ურთიერთობის გასწაველი ფორმა ემუშავდა, რომლის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ ვახტანგი ეცნოთ ქართლის მეფედ, არ გამოეცხადებინათ ქრისტიანთა ამჟამად ენა, მაგრამ ცეცხლმსახურებას, ქრისტიანობასთან ერთად, ქართლში უფლებრივად დაშვებული რელიგიის მდგომარეობა ჰქონოდა.

ჯუანშერის თანახმად, რანის ერისთავ ბარზაბოდთან შუამავლობა მისმა ქალიშვილმა, ქართლის მცირეწლოვანი მეფის ვახტანგის დედამ, დაქვრივებულმა საგდუხტ დედოფალმა ითავა. საგდუხტმა შეავედრა თავისი ძე მამას და „ევედრებოდა, რათა არ აიძულოს დატევება ქრისტეს სჯულისა... იპყრას შვილი მისი მამულსა შინა მისსა, და მოურავ ექმნეს იგი სპარსთა მეფესა წინაშე“. ბარზაბოდმა „შეიწყალა ასული თვისი... ხოლო სჯულისათვის ესრეთ რქუა: „იძულებით არცა ვის ქართველსა სხუასა დაგადებინებ რჯულსა ქრისტესსა, არამედ მივგზავნე ცეცხლის მსახურნი ქალაქსა თქვენსა და იყვნენ მუნა ეპისკოპოსნი მათ ზედა სჯულის ჩვენისანი და ვინცა ქართველნი ნებითა თვისითა აღირჩევედეს სჯულსა ჩვენსა, ნუ აყენებთ“. ამის შედეგად „ბარზაბოდ წარმოგზავნა ცეცხლის მსახურნი მცხეთას, და მათ ზედა ეპისკოპოსად ბინქარან, და დასხდეს მოგუთას“⁶. ცეცხლმსახურების პროპაგანდას, ეტყობა, მნიშვნელოვანი შედეგიც მოუტანია. მართალია, ქართველი ემეტიანე აღნიშნავს, რომ წარჩინებულთა შორის ცეცხლმსახურების პროპაგანდას არ ჰქონია წარმატება, მაგრამ „წურილი ერი მიიქცია მრავალი ცეცხლმსახურებასა“⁷.

ქართლის სამეფო ირანს ხარკს უხდიდა, მას სავალდებულო სამხედრო ბეგარა ეკისრებოდა და ჩრდილოეთ კავკასიის გადასასვლელი ზეკარების გამაგრება და სასანიანთა სახელმწიფოს საზღვრების მომთაბარეთაგან დაცვა ევალებოდა.

ქართლის სამეფოს ამ ვასალური ურთიერთობიდან გამომდინარეობდა წლების მანძილზე ირანის ლაშქართან ერთად ვახტანგისა და მისი სამხედრო რაზმის ბრძოლა შუა აზიაში სასანიანთა სახელ-

მწიფოს აღმოსავლეთ საზღვრებზე. ნიშანდობლივია, რომ ირან-ქართლის მოლაპარაკების ამ ეტაპზე, რომლის შედეგად ქართლის მეფე თავისი ლაშქრით შაჰს ახლდა აღმოსავლეთში ლაშქრობის დროს, შაჰი ვახტანგისაგან მოითხოვდა: „აწ ეს არს სათხოველი ჩემი, რათა დამ შენი მომცე ცოლად და შენ შემწე მეყო მე თავითა შენითა მტერთა ჩემთა ზედა“⁸. ურთიერთობის სრულიად გარკვეული და საკმაოდ ცნობილი ფორმაა: ურთიერთობა — ერთგულების ნიშნად დინასტიური დანათესავება („დაც ცოლად“) და სამხედრო ვალდებულება. ჭუნაშერი ნიშანდობლივ ასახელებს იმ ერისთავებს, რომელნიც მათი სამხედრო ძალითურთ წაიყვანა ვახტანგმა თან სალაშქროდ: „არტავაზ, ერისთავი კლარჯეთისა; და ნასარ, ერისთავი წუნდისა; და ბივრიტიან ერისთავი ოძრჯისა; და საურმაგ, ეჯიბი მისი დიდი“. გარდა ამისა, მეფეს თან ჰყავდა „ათი ათასი მკედარო ლაშქრისა მისისა დარჩეული“⁹.

ირანში ხანგრძლივად ყოფნის შემდეგ ვახტანგი ბრუნდება ქართლში და მის მთავარ საზრუნავს ირანის ხელქვეშეთობიდან ქვეყნის განთავისუფლება შეადგენს, მაგრამ მას კარგად ესმოდა, რომ ამისათვის პირველ რიგში საკუთარი ხელისუფლების განმტკიცება და ქართლის სამეფოს გაძლიერება იყო საჭირო. ამ მიზნის მისაღწევად ქართლის მეფე სრულიად გამართლებულ ხაზს ატარებდა. პირველ რიგში ცდილობდა თავისი მდგომარეობა, როგორც ირანის ვასალისა, საკუთარი ინტერესებისათვის გამოეყენებინა.

V საუკუნის მეორე ნახევარში დასავლეთ საქართველო ბიზანტიის ვასალი იყო: ეგრისის (ლაზეთის) სამეფო ცდილობდა ამ ვასალიბიდან თავის განთავისუფლებას. არსებული წესის თანახმად, ეგრისის მეფეს ტახტზე იმპერიის ხელისუფლება ამტკიცებდა. 465 წ. ეგრისის მეფე გუბაზი აუჯანყდა ბიზანტიელებს, მაგრამ აჯანყება მარცხით დამთავრდა და ის იძულებული შეიქნა ისევ იმპერიის ვასალობა ელიარებინა.

არსებულ ვითარებაში, როგორც აღვნიშნეთ, ქართლის მეფის ერთადერთი პოლიტიკურად გამართლებული კურსი შეიძლება ყოფილიყო ირანთან ლოიალური ურთიერთობის შენარჩუნება და ირანის ვასალობის თავისი ინტერესებისათვის გამოყენება.

სასანიანთა ირანის ერთ-ერთ უმთავრეს საზრუნავს ამ დროს შეადგენდა ჩრდილო კავკასიის ზეკარების გამაგრება მომთაბარეთა შემოსევებისაგან თავდასაცავად. ქართლის სამეფოს საზღვრებში რამდენიმე ასეთი „ზეკარი“ და უმთავრესი მათ შორის დარიალის

ხეობა იყო. ქართლის სამეფოს საზღვრებში იყო აგრეთვე „ღვალეთის ორი კარი“, რომელიც არღონ-ლიახვისა და ფიაგდონის გასასვლელებს კეტავდა და გამაგრებათა მთელ სისტემას ქმნიდა¹⁰. საერთოდ ჩრდილო კავკასიაში გადამავალ გასასვლელთა და, კერძოდ, ამ გასასვლელთა გამაგრებას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ამიერკავკასიის ქვეყნებსა და ირან-ბიზანტიას შორის ურთიერთობაში. როგორც აღვნიშნეთ, ეს ორი აგრესორი (ირანი და ბიზანტია) იძულებული იყვნენ ეზრუნათ ჩრდილოკავკასიელ მომთაბარეთაგან საერთო თავდაცვის საშუალებებზე. V ს. შუა წლებში ჩრდილო კავკასიის მომთაბარე ტომებმა, რომელთა შორის, ჩანს, ოსებიც იყვნენ, დარუბანდის გზით სცადეს ირანის მიწა-წყალზე შექრა, მაგრამ აქ ირანელების სამხედრო პოზიციები ძლიერი იყო და ამიტომ ოსები დარიალს მიადგნენ. დარიალიდან მომთაბარეთა მრავალრიცხოვანი ლაშქარი, რომელსაც ქართული წყარო ოსებად თვლის, ქართლში შემოიჭრა. აქ მათთვის, როგორც ჩანს, დიდი წინააღმდეგობა ვერ გაუწევიათ. ჯუანშერის თანახმად, „გარდამოვიდეს ოგსნი სპანი ურიცხუნი და მოტყუენეს ქართლი თავითგან მტკურისა ვიდრე ხუნანამდე“. შემოსეულნი, ჩანს, თავს არიდებდნენ გამაგრებულ ადგილებს და „მოაოჯრნეს ველნი არამედ ციხე-ქალაქთა დარჩეს თნთერ კასპისა. ხოლო ქალაქი შემუსრეს და ტყუეყვეს, და წარიყვანეს დაჲ ვახტანგისი მირანდუხტ“. ქართლიდან ირანს გაულაშქრებიან და უკან მიმავალნი დარუბანდს მისდგომიან „და განვლეს კარი დარუბანდისა, რამეთუ თვთ გზა სცეს დარუბანდელთა და შევიდეს ოვსეთს გამარჯვებულნი“¹¹. დარუბანდის დამცველებმა ალბათ სიამოვნებით მისცეს გზა დავლა-ალაფითა და ტყვეებით დატვირთულ ლაშქარს თავის ქვეყანაში წასასვლელად. როგორც მოტანილი კონტექსტიდან ჩანს, ეს მომთაბარეთა ტიპური ხასიათის ლაშქრობა იყო, რომლის მიზანს უმთავრესად დავლა და ალაფი შეადგენდა.

ქართული წყაროს ცნობას ჩრდილო კავკასიიდან მომთაბარეთა შემოჭრის შესახებ ამ პერიოდში ბიზანტიური წყაროც ადასტურებს, რომელიც ჰუნ-სარაგურთა მიერ ქართლისა და სომხეთის დარბევანზე მოგვითხრობს¹².

ირანის შაჰი პეროზ II (459—484) ამ დროს შუა აზიაში ჰეფთალებს ებრძოდა და საპასუხო მოქმედების საშუალება არ ჰქონდა. პეროზმა ბიზანტია-ირანს შორის არსებული იმ ხელშეკრულების ძალით, რომელიც ირანს კავკასიის გასასვლელების სამხედრო გარნიზონებით გამაგრებას, ხოლო ბიზანტიას ირანისათვის სუბსიდიის მიცემას ავალდებულებდა, იმპერიას ფულით ან ჯარით დახმარება

მოსახლეობა, მაგრამ იმპერატორმა ლეონ I-მა (457—474) შაჰს დახმარებაზე უარი უთხრა.

ჩანს, მართებული უნდა იყოს ვარაუდი, რომ ვახტანგ გორგასალი ამ დროს ირანშია. ქართლს ფაქტიურად პატრონი არა ჰყავს. იმპერიის აღმოსავლეთ საზღვრებზე მძიმე ომში ჩაბმული შაჰი პეროზი ვერ იცავს კავკასიის გასასვლელებს.

აქტიურდებიან ამ დროს ბიზანტიელებიც. ქართული წყაროს ცნობით, „მასვე ჟამსა გამოვიდეს ბერძენნი აფხაზეთით, რამეთუ ბერძენთა ჰქონდეს ეგრის-წყალს ქუემოთი კერძი ყოველი, და დაიპყრეს ეგრის-წყლითგან ვიდრე ციხე-გოჯამდე“¹³. საინტერესოა ის გარემოება, რომ ეს ფაქტი ასახავს ბიზანტიელთა მიერ, რომელთაც დასავლეთ საქართველოს ჩრდილო-დასავლეთი აფხაზეთი ეპყრათ, ეგრისის სამეფოს დიდი ნაწილის დამოჩილებას. ქართული წყარო „საბერძენთს“ უწოდებს ბერძენთა//ბიზანტიელთა მიერ ანექსირებულ ტერიტორიას. V ს. პირველ ნახევარში საზღვარი ეგრისის სამეფოსა და ბიზანტიელთა მიერ დაპყრობილ ქართულ მიწა-წყალს შორის მდ. ეგრის-წყალზე¹⁴ გადიოდა, ახლა კი მათ დაიპყრეს ქვეყანა ეგრის-წყლიდან ციხე-გოჯამდე (არქეოპოლისამდე), ე. ი. მიიტაცეს ეგრისის სამეფოს მნიშვნელოვანი ნაწილი.

ვახტანგ გორგასალის ისტორიკოსს მიაჩნია, რომ როგორც ოსთა (ჩრდილოკავკასიელ მომთაბარეთა), ასევე ბიზანტიელთათვის პასუხის გაცემა ქართლის მეფე ვახტანგს მართებს. „მაშინ იქნა გლოვა და წუხილი ყოველთა ზედა ქართულთა და იტყოდეს „განვამრავლეთ ცოდვა ღმრთისა მიმართ... სამართლად მიაწია ღმერთმან ჩუენ ზედა ურიცხუი რისხვა... აწ მეფე ჩუენი ყრმა არს, და არ გვეის ჩუენ წინამძღვარი... ვიძიოთ შური პირველ ოვსთა ზედა და შემდგომად ვძებნეთ საზღვარნი ქართლისა ბერძენთაგან“¹⁵. ეს არის პროგრამა, რომელსაც ისტორიკოსი უსახავს ვახტანგ მეფეს, და რომელსაც ქართლის მეფე შემდგომ ახორციელებს.

ირანიდან დაბრუნების შემდეგ მეფე კარგად იყენებს თავის სასარგებლოდ შექმნილ ვითარებას და როგორც ირანის ვასალი, ჩრდილო კავკასიაში სალაშქროდ სერიოზულად ემზადება. მას ამიერკავკასიაში მყოფი ირანული ლაშქარი მოუვიდა დამხმარედ, რომელიც ირანის ერისთავმა, მისმა ბიძამ (დედის ძმამ) ვარაზ ბაკურმა გამოუგზავნა, კავშირი დაამყარა მან კავკასიის მთიანეთის მცხოვრებთან და „მიერთნეს ყოველნი მეფენი კავკასიანნი“. ლაშქრობა დიდის წარმატებით დამთავრდა. ვახტანგმა დაიკავა დარიალის ხეობა, გაამაგრა ციხე და იქ თავისი მცველები ჩააყენა. ამგვარად, ვახტანგმა

გამაგრა სამეფოს ჩრდილოეთი საზღვარი, დაიმორჩილა კავკასიის მთიანეთი და ქართლის გავლენა ჩრდილო კავკასიაშიც დვალეთზე, ოსეთზე, დურძუკეთზე, დიდოეთსა და წუქეთზე გაავრცელა¹⁶. ამიერიდან ქართლის საზღვრებში არსებული ჩრდილო კავკასიის ზეკარები ვახტანგის ხელთაა და იქიდან მომთაბარე ტომების გადმოშვება და მათი თავის სასარგებლოდ გამოყენება მის კონტროლს ექვემდებარებოდა¹⁷.

ჩრდილოეთის პოლიტიკასთან დაკავშირებით საინტერესოა, რომ ვახტანგ მეფემ გალაშქრების გადაწყვეტასთან ერთად რანის ერისთავს, ირანის მოხელეს შეწევნა სთხოვა. ქართლის მეფე, ვითარცა ირანის ვასალი, ჩრდილოეთს ლაშქრობს იმპერიის საზღვრების გასამაგრებლად. რანის ერისთავმა, წყაროს ცნობით, მას 12 000 მხედარი გამოუგზავნა. ძლევამოსილად დაბრუნებული მეფე ნადავლის ნაწილს რანის ერისთავ ვარაზ-ბაკურს უგზავნის და, რაც მთავარია, ნადავლის მნიშვნელოვან ნაწილს შაჰს ააჩლებს. რანის ერისთავმა ხომ როგორც შაჰის მოხელემ, ისე აღმოუჩინა შაჰისავე ქვეშევრდომს ლაშქრით დახმარება და ეს გამარჯვება იურიდიულად იმპერიის გამარჯვება იყო. ქართლის მეფის მიერ შაჰთან გაგზავნილ ელჩობას ქართლის ცეცხლმსახურთა მოთავე („ეპისკოპოსი ცეცხლისმსახურთა“) ბინქარანი მეთაურობდა. ასეთი მაღალი წარმომადგენლობა განპირობებული იყო, როგორც გამარჯვების ღირი მნიშვნელობით, ასევე ალბათ ელჩობის მისიის მიზნით. მეფე ვახტანგი ირანის შაჰს სთხოვს ცოლად ასულს და „სპარსთა მეფემან მოსცა ასული ცოლად“¹⁸.

აღნიშნული გარემოება კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ჩრდილო საზღვრის გამაგრებისა და ქართლის სამეფოსთან ურთიერთობის მნიშვნელობას ირანისათვის. უდავოა, რომ ვახტანგმა გადასასვლელებზე არსებული ციხეები შეაკეთა-გამაგრა და იქ თავისი მოლაშქრე-მეციხოვნეები ჩააყენა.

გალაშქრების წინ ქართლის მეფემ სახელმწიფო საბჭო მოიწვია. საბჭოს ესწრებოდნენ სპასპეტი ჯუანშერი, ქრისტიანი ეპისკოპოსი და მოგვთა თავი, ერისთავნი და სხვა მოხელეები. მოგვთა თავის დასწრება არის მოწმობა როგორც ცეცხლთაყვანისმცემლობის პოზიციებისა ქართლში, ასევე ვახტანგის, როგორც ირანის ვასალის იმპერიის სამსახურად სალაშქროდ გამგზავრების დასტური.

სამეფოს ჩრდილო საზღვრის გამაგრების შემდეგ ვახტანგ მეფე იწყებს ბრძოლას დასავლეთ საქართველოსათვის. „თუთ (ვახტანგ მეფე, მ. ლ.) სპითა დიდითა ქართლისათა წარმოვიდა გზასა აფხაზეთისა-

თა. სულგრძელად და უშიშრად იწყო ბრძოლად ციხეთა აფხაზეთისათა. რამეთუ მეფე ბერძენთა ლეონ დიდი უცალო იყო ბრძოლისაგან სპარსთასა, და ვერშემძლებელ იყო სპათა გამოგზავნად აფხაზეთს; და სამ წელ წარტყუნა ყოველნი ციხენი აფხაზეთისანი ვიდრე ციხე-გოჯამდე¹⁹ — მოგვეთხრობს ჭუანშერი. ჭუანშერის ცნობა ვახტანგის მიერ დასაყლეთ საქართველოსათვის (აფხაზეთისათვის) წარმოებული ბრძოლების შესახებ რიგი ავტორის მიერ ეჭვის ქვეშა დაყენებული, მაგრამ, ვფიქრობთ, ვახტანგ გორგასალის დასავლური პოლიტიკის ჭუანშერისეული კონცეფცია მთლად უგულვებელსაყოფი არ არის²⁰.

„ვახტანგის ისტორიის“ თანახმად, ვახტანგ გორგასალმა, მას შემდეგ, რაც ჩაკეტა ჩრდილოეთის საზღვარი, გაუშვა სპარსთა და კავკასიანთა დამხმარე ლაშქარი, დააბრუნა ტყვეები „თვით სპითა დიდითა ქართლისთა წარმოვიდა გზასა აფხაზეთისასა (დასავლეთ საქართველოში, მ. ლ.) სულგრძელად და უშიშრად იწყო ბრძოლად ციხეთა აფხაზეთისათა. რამეთუ მეფე ბერძენთა ლეონ დიდი უცალო იყო ბრძოლისაგან სპარსთა, და ვერშემძლებელ იყო სპათა გამოგზავნათ აფხაზეთს; და სამ წელ წარტყუნა ყოველნი ციხენი აფხაზეთისანი ვიდრე ციხე-გოჯამდე“²¹. ჩანს, ვახტანგმა ამჯერად დალაშქრა ბიზანტიისაგან მიტაცებული ქართლის ტერიტორია (ისტორიული არგვეთი) ციხე-გოჯამდე²². ლაშქრობიდან ვახტანგი „მოვიდა სახლსა მისსა, ქალაქსა სამეუფოსა მცხეთას“. გამარჯვებულ მეფეს „გაეგება წინა დედა მისი და დანი მისნი, და სიმრავლე ქალაქისა მამათა და დედათა“.

ამის შემდეგ „მოუწერა მან (პეროზმა, მ. ლ.) ბრძოლა კეისრისა, რამეთუ კეისარი განსრულ იყო ბრძოლად სპარსთა“. ვახტანგ მეფე შეკრებს თავის ლაშქარს, მოუწოდებს ყველა ქვეშევრდომთ „მეფეთა კავკასიისათა“, მასვე მოჰყვა მისი დედის ძმის, რანთა ერისთავის ვარაზ-ბაკურის ლაშქარი ორი ათასი მხედრით და განემზადა საბრძოლველად²³. ჩვენი ისტორიკოსის თანახმად, დაიწყო ბიზანტია-ირანის ომი, რომელსაც ირანის მხრიდან მოთავეობს ქართლის მეფე ვახტანგი.

ჭუანშერი ძალიან ვრცლად აღწერს ვახტანგის ბრძოლებს, ყოველნაირად ცდილობს გაამართლოს ქრისტიანი მეფის ბრძოლა ქრისტიანი ბიზანტიელების წინააღმდეგ; მოგვეთხრობს ვახტანგის მიერ ქრისტიანი მოსახლეობისა და ტყვეების მიმართ რეპრესიების აკრძალვაზე. იგივე ჭუანშერი, აღწერს რა ვრცლად ვახტანგის ბრძოლას

ბიზანტიის წინააღმდეგ, სულ ცდილობს ხაზი გაუსვას ვახტანგის ტაქტიკის დამოკიდებულებას მათდამი. მაგრამ ის ცეცხლისმსახურ სპარსელებთან ერთად იბრძვის ერთმორწმუნეთა წინააღმდეგ. „ვახტანგს უმძიმეს ეკლესიის მსახურთა, ე. ი. ქრისტიანეთის აოხრება: ისინი ხომ მისი სჯულისანი არიან. ვახტანგის სულიერი პოზიცია ორკოფულია, ის დაეხაზება კეისარს, ჯვარის მსახურთა მოსაშუალებით იმ პირობით, რომ ქართლის საზღვრებს უკუემოილებს. მოკავშირე სპარსელებს კი ვახტანგი თუმცა არ ეომება, მაგრამ არც შველის. სპარსელები მარცხდებიან, ხოლო გალაღებული ბერძენი მხედართმთავარი ქართველებზეც ომით მოდის. ვახტანგი ამარცხებს მას, მაგრამ ტყვე ბერძნებს კეისარსავე დაუბრუნებს. ასე პირნათელი გამოიყვანა ჯვარისპოსავი და სპარსელთა მოკავშირე ვახტანგი ჯუანშერმა რთული მდგომარეობიდან“²⁴. ბოლოს ვახტანგი დაეხაზა კეისარს. „ყვეს ურთიერთს აღტქმა და ფიცი, და განაგეს საქმე წინდობისა“. საზავო პირობების თანახმად „უკუმოსცა კეისარმან საზღვარი ქართლისა, ცხხე თუხარისი და კლარჯეთი ყოველი, ზღვთგან ვიდრე არსიანთამდე, და ხეენი რომელნი მოსდგმანან ლაღოთა“. რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, კეისარმან ბრძანა: „ეგრის წყლითგან ვიდრე მდინარედმდე მცირისა ხაზარეთისა — ესე საზღვარი არს საბერძნეთისა აღექსანდრობითგან, რომელ აწ შენ მიგიღია მკლავითა ჩვენთაგან. აწ იგი უკუმოგეცი და ოდეს წარიყვანებდე ცოლსა შენსა, ასულსა ჩემსა, მაშინ მოგცე მისგან ქვეყანა“ და დაუწერა ეგრის წყალსა და კლისურას შუა ქუეყანა ზითვად, და სხუა აფხაზეთი უკუსცა ვახტანგ ბერძენთა“²⁵. მოტანილი ტექსტის მიხედვით ვახტანგ მეფე იმარჯვებს ბრძოლაში, ფაქტიურად ხმლით იპყრობს დასავლეთ საქართველოს, მაგრამ მოლაპარაკების შედეგად საკუთრივ აფხაზეთს უბრუნებს კეისარს, ხოლო საკუთრივ ეგრისს—ქვეყანას ეგრის-წყალსა და კლისურას შუა, კეისარი მზითვად აძლევს თავის ქალიშვილს.

ჯუანშერის თანახმად, ამ ომის დროს „იყო ვახტანგ წლისა ოცდარორის“²⁶. ე. ი. ეს ამბები ხდება დაახლოებით V ს. 60-იან წლებში. რადგან საკითხის ლიტერატურაში კარგად არის ცნობილი, რომ ამ დროს ირანსა და ბიზანტიის იმპერიას შორის ომი არ ყოფილა, ამიტომ მკვლევართა ნაწილი ამ ცნობას ეჭვის ქვეშ აყენებს.

ჯუანშერის მიერ დახატულ სურათს, დასავლეთ საქართველოს დიდი ნაწილის ქართლის გავლენის ქვეშ ყოფნას, მხარს არ უჭერენ ბიზანტიური წყაროები, რაც აძლიერებს სკეპტიკურ დამოკიდებუ-

ლებას ამ ქართული წყაროსადმი. მაგრამ მკვლევართა ნაწილს (გ. მელიქიშვილი, ს. კაკაბაძე, კ. თუმანოვი, ა. ბოგვერაძე, დ. მუსხელიშვილი) შესაძლებლად მიაჩნია ჯუანშერის ამ ცნობებისათვის ანგარიშის გაწევა.

V ს. 60-იან წლებში ბიზანტიასა და ირანს შორის, მართალია, ომი არ ყოფილა, მაგრამ რადგან ქართლის მეფე ირანის ვასალი იყო, ჯუანშერმა შეიძლება ვიფიქროთ, თავს მისცა უფლება ამ ომისთვის ბიზანტია-ირანის ომი ეწოდებინა.

გ. მელიქიშვილი ფიქრობს, რომ V საუკუნის 60—80-იან წლებში ეგრისის პაწეფოს დასუსტება ვახტანგ გორგასალის ღრის ქართლის სამეფოს გაძლიერებასთან უნდა იყოს დაკავშირებული. ნიჭიერი მხედართმთავარი და დახელოვებული პოლიტიკოსი ვახტანგ მეფე, აღნიშნავს ის, თავის სასარგებლოდ იყენებს ბიზანტია-ირანის წინააღმდეგობებს; ამ ღრის არგვეთი კვლავ შევიდა ქართლის შემადგენლობაში და ასევე ქართლის სამეფოს შემადგენლობაში შევიდა სვანეთი²⁷. მართალია, საკუთრივ ეგრისის საკითხს თითქოს ღიად ტოვებს გ. მელიქიშვილი, მაგრამ იხილავს რა ჯუანშერის ცნობებს ქართლის სამეფოს საერისთავოთა შესახებ, სადაც ეგრისი (ისევე როგორც სვანეთი, არგვეთი და თაკვერი) ქართლის სამეფოს ერთ-ერთ საერისთავოდაა წარმოდგენილი, ბიზანტიური წყაროების დუნილს ამ საკითხზე ამ წყაროების ტენდენციურობით ხსენის²⁸.

ვახტანგ გორგასალის დასავლური პოლიტიკისათვის საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება V ს. გამოჩენილი ბიზანტიელი მოგზაურისა და დიპლომატის პრისკე პანიონელის ჩვენამდე არმოდწეულ საისტორიო თხზულების რამდენიმე ფრაგმენტს. ეს ფრაგმენტები ამ თვალსაზრისით გაანალიზებული და შეფასებულია კ. თუმანოვის, ა. ბოგვერაძის, დ. მუსხელიშვილის მიერ. აღნიშნული ფრაგმენტის ანალიზის შედეგად ღვინდება, რომ ბიზანტიის ვასალის, ეგრისის მეფე გუბაზის აჯანყება იმპერიის წინააღმდეგ გუბაზის დამარცხებითა და გუბაზის მიერ კვლავ იმპერიის ვასალობას აღიარებით დამთავრდა. გუბაზი თავის სიუზერენს, ბიზანტიას დახმარებას სთხოვს გამდგარი სვანების წინააღმდეგ, რომელთაც ირანელები და მათი ქვეშევრდომი იბერიელები ესმარებინან.

მართალია, პრისკე პანიონელის დაცულ ფრაგმენტში არ არის ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ გადაწყდა სვანეთის ბედი, მაგრამ „პრისკე პანიონელის და „ქართლის ცხოვრების“ ცნობების გათვალისწინებით უნდა დავასკვნათ, რომ დასავლეთ საქართველოში სვანების მხარეზე 467—468 წლებში უმთავრესად იბერიელები იბრ-

ძოდნენ ვახტანგის მეთაურობით, როცა ბიზანტიელი დიპლომატი პირობით ამ საქმეში, ბუნებრივია, ირანელების მონაწილეობას უსვამს ხაზს. მართალია, ბიზანტიელი ისტორიკოსის ფრაგმენტში არც იბერიის მეფეა ლაზების წინააღმდეგ მებრძოლი იბერების სათავეში მოხსენიებული, მაგრამ ვახტანგის მონაწილეობა ამ ლაშქრობებში ეჭვს არ უნდა იწვევდეს, თუ ერთი მხრივ ქართულ საისტორიო ტრადიციას გავითვალისწინებთ, მეორე მხრივ, იმდროინდელი ბერძენი ისტორიკოსის ცნობას 467—468 წლების ლაზიკის კამპანიაში იბერების მონაწილეობაზე²⁹.

ყოველივე აღნიშნული, ვფიქრობთ, უფლებას გვაძლევს მეტი ნდობით მოვეკიდოთ ეროვნული წყაროს ცნობას და არ დავაყენოთ ეჭვის ქვეშ მითითება ვახტანგ გორგასალის მიერ დასავლეთ საქართველოს ნაწილის ქართლის სამეფოსათვის შეძოერების თაობაზე. ამასთანავე გასათვალისწინებელია ერთი ნიუანსი, როდესაც „მეფეთა ცხოვრების“ ავტორი მოგვითხრობს ქართლის პირველი მეფის ფარნავაზის მიერ გატარებულ ადმინისტრაციულ რეფორმაზე და ჩამოთვლის ქართლის საერისთავოებს, ის ეგრისს, რომელსაც აგრეთვე ქართლის სამეფოს საერისთავოდ თვლის, თითქოს დანარჩენ საერისთავოთაგან განსხვავებულად იხსენიებს³⁰. ასევე ვახტანგის ისტორიკოსიც საგანგებოდ აღნიშნავს, რომ საკუთრივ ეგრისი („ეგრის წყალსა და კლისურას შუა“) ნამზითვი ქვეყანა იყო³¹.

ანგარიშგასაწევია ის გარემოებაც, რომ, როგორც ცნობილია, V ს. 70—80-იანი წლებიდან მოყოლებული, ვიდრე VI ს. 20-იან წლებამდე ბიზანტიური წყაროები არაფერს წერენ ეგრისის მეფეების შესახებ. ვფიქრობთ, ესეც არაპირდაპირ, მაგრამ მაინც მხარს უჭერს ჯუანშერისეულ თვალსაზრისს.

საკითხის სხვა მხარეა ის გარემოება, რომ ეს პოლიტიკური აქცია ირანის სახელით ხორციელდება, მაგრამ „ეს ხდება ქართლის მეფის, ვახტანგ გორგასალის უშუალო მონაწილეობით თუ ინიციატივით“³².

ამ აქციის შედეგად ქართლის სამეფოს შემადგენლობაში შევიდა არგვეთის („მარგს“) საერისთავო. განსხვავებული სტატუსით შევიდა (როგორც ნამზითვი) საკუთრივ ეგრისი და სვანეთი. და შესაძლებელია მართებული იყოს ვარაუდი, რომ ერისთავი აქ „ეგრისელთა სამეფო დინასტიიდანვე იყო“³³.

როგორც აღვნიშნეთ, ამ დროს ქართლის სამეფომ დაიბრუნა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ნაწილი „ციხე თუხარისი და კლარჯეთი ყოველი“. კლარჯეთიც საერისთავოს სახით იქნა შემოერ-

თებული ქართლის სამეფოსთან, სადაც ვახტანგმა თავისი ძუძუმტე არტავაზი დაადგინა ერისთავად. ისტორიკოსი ნიშანდობლივ აღწერს საერისთავოს ყველა ძირითადი კომპონენტის — ციხის, ეკლესიამონასტრის შექმნას კლარჯეთში. „უბრძანა (მეფემ ერისთავს, მ. ლ.), რათა გამოინახოს ქვესა მას შინა ადგილი სამონასტრე და აღაშენოს ეკლესია და ქმნას მონასტრად... ხოლო არტავაზ აღაშენა ციხე არტავუჯისა, და მონასტერი, რომელ არს ოპიზას და სამნი ეკლესიანი: დაბა მერისა, შინდობისა, ახიზისა და განაახლა ციხე ახიზისა“³⁴.

ჯუანშერის ამ ცნობას, გარდა იმისა, რომ ის იძლევა შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი ადმინისტრაციული ერთეულის, ქართული საერისთავოს ტიპიურ სურათს, იმ მხრივაც აქვს მნიშვნელობა, რომ ცნობა ვახტანგ გორგასალის დროს არტანუჯის მშენებლობის შესახებ, დადასტურებას პოულობს სუმბატ დავითის ძის თხზულებაში, ხოლო გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ ადასტურებს კლარჯეთში არტანუჯისა და ოპიზის მონასტრის არსებობას აქ გრიგოლის სამისიონერო მოღვაწეობის დაწყებამდე. აღნიშნული გარემოება კიდევ ერთი საბუთია „ვახტანგ გორგასალის ისტორიის“ როგორც საისტორიო წყაროს სასარგებლოდ.

ვახტანგ გორგასალის მეფობაში ქართლის სამეფოს შემოუერთდა არგეთვე ქართლის აღმოსავლეთით მდებარე ჰერეთი (დასავლეთი ალვანეთი), რომელიც, როგორც ვარაუდობენ, ქართლის სამეფოს სავასალო ქვეყანა იყო, კამბეჩანი და ჩრდილო-აღმოსავლეთი ჰერეთი, სახელდობრ წუქეთი, და კავკასიონის მთიანეთის ნაწილი, შემდეგროინდელი წახეთ-წახური. V ს-ში ჰერეთი ქართლის სემეფოს საერისთავოს შეადგენდა³⁵.

ამგვარად, თვალსაზრისი, რომ ვახტანგ გორგასალის დროს საქართველოს უდიდესი ნაწილი (საკუთრივ აფხაზეთისა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ნაწილის გარდა) ერთ, ქართლის სამეფოდ გაერთიანდა³⁶, ჩვენ მართებულად მიგვაჩნია.

აღნიშნულთან დაკავშირებით დგება ქართული ნარატიული საისტორიო წყაროების კონცეფციის საკითხი „ქართლის“ ცნებასთან დაკავშირებით. უძველესი ქართული მატრიანე პირველი ქართული სახელმწიფოს საკუთრივ ქართლის სამეფოს საზღვრებს ასე შემოფარგლავს: „ჰერეთი და ეგრის წყალი და სომხეთი და მთა ცროლისა“³⁷. ამგვარად ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ ვის უკავშირებს ეს წყარო ქართული სახელმწიფოს შექმნას ან რამდენად მართებულა მისი კონცეფცია ამ სახელმწიფოს დაარსების საკითხ-

თან დაკავშირებით. ჩვენ აქ წყაროს საკუთრივ ისტორიულ-გეოგრაფიული მონაცემები გვიანტერესებს, რაც ექვს არ უნდა იწვევდეს. ამ წყაროს თანახმად, ქართლის სამეფოს დასავლეთი საზღვარი მდ. ეგრის-წყალია. მდ. ეგრის-წყლის იდენტიფიკაციის საკითხი აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ზოგნი მას ენგურთან აიგივებენ, ზოგნი მდ. ოქუმისწყალთან, ხოლო ზოგნი—ლალიძგასთან³⁸.

ვთქვით, მართებულია ვარაუდი, რომელიც ეგრის-წყალს ლალიძგასთან აიგივებს. სამივე შემთხვევაში დასავლეთ საქართველოს დიდი ნაწილი ამ წყაროს თანახმად ქართლის სამეფოს საზღვრებშია შემოტანილი. ასეთივე თვალსაზრისია დადასტურებული „მეფეთა ცხოვრებაში“. „მეფეთა ცხოვრების“ მიხედვით ქართლის პირველი მეფე ფარნავაზ „მეფე იქმნა ყოველსა ქართლსა და ეგურსა ზედა“ და ამ წყაროს ცნობითაც ქართლის სამეფოს დასავლეთი საზღვარი ეგრის-წყალამდე მიდის. როდესაც ფარნავაზი სამეფოს საერისთავოებად ყოფს, მან „მისცა ქუჯის ქუეყანა ეგრის-წყალსა და რიონს შუა, ზღუთგან მთამდე, რომელსა შინა არს ეგრი და სუანეთი, და დაამტკიცა იგი ერისთავად მუნ“³⁹. ჩვენთვის ამჯერად საინტერესოა ის გარემოება, რომ ქართული საისტორიო ტრადიცია დასავლეთ-აღმოსავლეთ საქართველოს იმთავითვე ერთიან ქვეყანად წარმოადგენს. და ეს ვითარება მიაჩნია ეროვნულ ტრადიციას კანონიერ მდგომარეობად. ხოლო როდესაც დასავლეთ საქართველოს ამ ნაწილს „ეგრის-წყლიდან ვიდრე ციხე-გოჯანდე“ ბერძნები იპყრობენ, ეს ქართლის სამეფოს საზღვრის მიტაცებაა და ქართლის მეფის ვახტანგის მიერ ამ მიწა-წყლის დაბრუნება არ განიხილება ბიზანტიის იმპერიის უფლებათა ხელყოფად. წინააღმდეგ მიწა-წყლისა „ეგრის-წყლითგან ვიდრე მდინარემდე მცირისა ხაზარეთისა“, რომელიც წყაროს თვალსაზრისით „ესე არს საზღვარი საბერძნეთისა“⁴⁰. „ჯუანშერი ეგრისს ისეთივე ქართლის საზღვრად სთვლის, როგორც კლარჯეთს, ასე რომ ეგროსის წილი ქვეყანა მას ქართლში შემოაქვს, გარდა იმ ნაწილისა, რომელიც ძველიდანვე დარჩა ბერძენთა“⁴¹. რომ თვალსაზრისი აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს ერთიანობის შესახებ არ შეიძლება იყოს შეპუშავებული ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების შემდეგ, ეს დასტურდება იმ გარემოებით, რომ ეს კონცეფცია ეკუთვნის არა „მეფეთა ცხოვრების“ ავტორს, არამედ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ავტორს, რომლას შექმნის თარიღს IX საუკუნის აქეთ ვერავითარ შემთხვევაში ვერ გადამოეწევთ⁴². „ფარნავაზიდან მოყოლებული არაბობამდე ქართლის ქვეყნები მათთვის (ლეონტი მროველისა და ჯუანშერისათვის, მ. ლ.) ერთ

ნთლიან პოლიტიკურ-ეთნიკურ ორგანიზმს წარმოადგენს და ცალკეული მათგანის გათიშვა დროებითი მოვლენაა, უცხო ძალის მიერ მიტაცების შედეგია. ადვილი არ არის ისტორიკოსების ასეთი თანმიმდევრობის ახსნა. იგი არ უნდა იყოს თავისი ეპოქის (XI ს., მ. ლ.) სურათის აღრინდელ ხანაში გადატანის ცდა⁴³.

აქვე შეიძლებოდა ყურადღება მიგვექცია ერთი გარემოებისათვისაც. ერთიანი ქართული მონარქიის შემდეგ შექმნილი კონცეფცია საქართველოს ერთიანობისა ამ ერთიანობიდან ალბათ ვერ გამორიცხავდა საკუთრივ აფხაზეთს. „ქართლის მოქცევის“ და „მეფეთა ცხოვრების“ კონცეფციით კი მთელი ამ ხნის მანძილზე საკუთრივ აფხაზეთი განიხილება, როგორც ბერძენთა ხვედრი ქვეყანა. ამდენად ვახტანგ გორგასალის ისტორიის კონცეფცია, რომელიც „მეფეთა ცხოვრების“ კონცეფციის გაგრძელებას წარმოადგენს ამ თვალსაზრისით, ჩვენ მართებულად გვეჩვენება. ჩვენ ამჯერად არ ვაპირებთ მსჯელობას ჯუანშერისა და ლეონტი მროველის ავტორობით ცნობილი საისტორიო თხზულებათა ურთიერთმიმართებისა და სხვა წყარომცოდნეობით საკითხებზე არც ამ კონცეფციის ისტორიული საფუძვლების კვლევას. ვფიქრობთ, ეს ჩვენი თემის საგანს ცილდება.

აქ ჩვენს ყურადღებას იმსახურებს ის გარემოება, რომ ქართლის მიწების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებისა და ერთიანი სახელმწიფოს შექმნის ტენდენცია საქართველოს მთელ ისტორიას გასდევს უძველესი დროიდანვე⁴⁴. ქართული საისტორიო წყაროები ასეთ ეროვნულ ტრადიციას გვთავაზობენ.

ნახევრად ლეგენდარული ფარნავაზის შემდეგ ვახტანგ გორგასალი ერთ-ერთი ქართველი მეფეა, რომელმაც განახორციელა საქართველოს უდიდესი ნაწილის ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება და კავკასიის მთიანეთის დამორჩილება. აღნიშნულთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, მართებული უნდა იყოს ვარაუდი „მეფეთა ცხოვრებისა“ და ჯუანშერის კონცეფციათა განსხვავების შესახებ ჰერეთის მიმართ, რაც იმაში გამოიხატება, რომ თუ „მეფეთა ცხოვრების“ კონცეფციით ჰერეთი არ იგულისხმება „ქართლში“, ჯუანშერით ის „ქართლია“. აღნიშნული გარემოებაც იმ ვითარების შედეგია, რაც V ს. მეორე ნახევარში შეიქმნა⁴⁵.

იმდროინდელი ქართლის სამეფოს ასეთ საზღვრებში არსებობის სურათი, წარმოდგენილი ვახტანგის ისტორიკოსის მიერ, თითქოს სადავო არ უნდა იყოს, მაგრამ აქ დგება ერთი საკითხი, თუ სა-

ხელდობრ როგორაა წარმოდგენილი ამ შემოერთებულ მხარეებში ქართლის მეფის რეალური ხელისუფლება.

დიდი სახელმწიფო მოღვაწის მეფე ვახტანგისათვის კარგადაა ცნობილი ის გარემოება, რომ შემოერთებულ ქვეყანას გამაგრება უნდა და მთელ მის მოღვაწეობას ახლად შემოერთებულ მიწა-წყალზე თავდაცვითი ნაგებობების მშენებლობა ახლავს თან.

ვახტანგ მეფე იმორჩილებს კავკასიის მთის მოსახლეობას და ამაგრებს სამეფოს ჩრდილო საზღვარს. „დაიმორჩილნა ოვსნი და ყივჩაყნი და შექმნა კარნი ოვსეთისანი, რომელთა ჩვენ დარიანისად უწოდთ. და აღაშენა მას ზედა გოდოლნი მალალნი, და დაადგინნა მცველად მახლობელნი იგი მთეულნი“⁴⁶. მართალია, ეს ნაგვიანევი ჩანართია, მაგრამ ის ისტორიულ სინამდვილეს უნდა ასახავდეს და ამ ცნობის „ყივჩაყნი“ საერთოდ ჩრდილო კავკასიის მომთაბარეებს გულისხმობს. ვახტანგ მეფემ სამეფოს ჩრდილო საზღვარი გამაგრა, რითაც განიმტკიცა აქ თავისი პოზიციები.

დიდ სამშენებლო სამუშაოებს ატარებს მეფე ვახტანგი ქართლის სამეფოს აღმოსავლეთ პროვინციებში, კერძოდ, კახეთსა და ჰერეთში სახელმწიფო ცენტრისადმი მათი მყარი დამოკიდებულების მიზნით. მისი ხელისუფლება აქ მტკიცე და რეალურია და ამავე დროს ამ მდგომარეობის განმტკიცებას ემსახურება ვახტანგის აღმოსავლური პოლიტიკა. ეს პირველ რიგში ქალაქ უჯარმის მშენებლობაში გამოიხატა. „თუთ ვახტანგ დაჯდა უჯარმოს და აღაშენა იგი ნაშენებითა უზომოთა“⁴⁷. ვახტანგმა უჯარმა სამეფო ქალაქად აქცია, ამიერიდან უჯარმა ქართლის მეფის ერთ-ერთი რეზიდენციაა. მანვე აღაშენა ქალაქები ჰერეთში და ნეკრესი. ვახტანგ მეფემ ჰერეთი საუფლისწულო მამულად აქცია, მისცა თავის შვილს, ტახტის მემკვიდრეს დაჩის „ქალაქი ჰერეთისა და ნეკრესისა და ქალაქი კამბეჩანისა, რომელ არს ხორნაბუჯი და ყოველი ქვეყანა მტკუარსა აღმოსავლით“⁴⁸.

ამ დროს ქართლის სამეფოს შემოუერთდა დალისტნის მთიანეთის ნაწილიც, სამურის სათავეებში, წუქეთი ანუ შემდეგდროინდელი წახეთ-წახური...

ორი ახალი საერისთავო იქნა დაარსებული: ჰერეთისა და წუქეთის⁴⁹.

უჯარმის, ჰერეთის, ნეკრესის მშენებლობა, განსაკუთრებით ისეთი მნიშვნელოვანი საყრდენის შექმნა, როგორც უჯარმა იყო, რომელიც ვახტანგმა სამეფოს ერთ-ერთ რეზიდენციად აქცია, იყო სამეფო ხელისუფლების დასაყრდენი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის შემომტკიცებისა და ექსპლოატაციისათვის, ამასთანავე, და

პირველ რიგში, აღმოსავლეთ საქართველოს აღმოსავლეთი პროვინციების (ძირითადად ჰერეთის) შემოერთებისა და იქ სახელმწიფოს ხელისუფლების სიმტკიცისათვის.

ასეთივე ღონისძიებებს ატარებდა მეფე ვახტანგი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, სახელდობრ კლარჯეთში. როდესაც ვახტანგმა დაიბრუნა ქართლის სამეფოს ბიზანტიის მიერ მიტაცებული კლარჯეთი, მან ის საერისთავოდ გახადა, იქ ქართლის მეფის მოხელე, თავისი ძუძუმტე არტავაზი დაადგინა ერისთავად და უბრძანა, რათა ააგოს „ციხე არტანუჯისა“⁵⁰.

ამ შემოერთებულ ქვეყნებში ვახტანგ მეფე საეპისკოპოსოებს აარსებდა. V საუკუნის მეორე ნახევარში ისტორიული ჰერეთის ტერიტორიაზე ხუთი საეპისკოპოსო კათედრის არსებობას ვარაუდობენ: კაწარეთის, ჳერემის, ბოღბის, ხორნაბუჯის, გიშის⁵¹, რომელთაგან ჳერემისა და გიშის, ჯუანშერის სიტყვით, ვახტანგის დაარსებული იყო, სადაც ის აგებდა ეკლესიებსაც.

შემოერთებულ კლარჯეთშიც ციხის აგებასა და საფორტიფიკაციო ნაგებობის აშენებასა და მხარის გამაგრებასთან ერთად ვახტანგი აარსებდა საეპისკოპოსოსა და აგებდა ეკლესია-მონასტრებს⁵². აქაც, სახელმწიფოს ამ სამხრეთ-დასავლეთ პერიფერიაზე მეფე სამეფო ხელისუფლების დასაყრდენს ქმნიდა, ერთ-ერთ რეზიდენციას აარსებდა. ეს ის დრო იყო, როდესაც ქართლის მეფე ყოველმხრივ ემზადებოდა ირანელებთან საბრძოლველად. „უკეთუ განძლიერდეს სპარსნი ჩუენ ზედა, ეუბნება ის კლარჯეთის ერისთავად დანიშნულ არტავაზს, საყუდელი ჩუენი აქა ყოფად არს“⁵³.

ასეთი ღონისძიებანი ამ შემოერთებული მხარეების პოლიტიკურ-აღმინისტრაციულ დამორჩილებასთან ერთად საეკლესიო დაქვემდებარებასაც ისახავდა მიზნად, რაც უკეთ უზრუნველყოფდა აქ ქართლის მეფის ხელისუფლების განმტკიცებას. ამ მხარეებში, ჩანს, ქართლის მეფის ხელისუფლება სრულიად რეალურია.

აღნიშნულთან დაკავშირებით დადგა ქართლის მეფის ხელისუფლების ხასიათის საკითხი დასავლეთ საქართველოში, საკუთრივ ეგრისში. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ვახტანგის ისტორიაში გადმოცემული ვითარება, ქართლის მეფის დასავლეთ საქართველოში ლაშქრობისა და ეგრისის მიმართ გატარებულ ღონისძიებათა შესახებ, ბიზანტიური წყაროების მწიკი და არაპირდაპირი მონაცემების გათვალისწინებით, ჩვენ მართებულად გვეჩვენება. მაგრამ ამასთანავე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ქართლის მეფე არ, ან ვერ ატარებდა დასავლეთ საქართველოში იმ სახის ღონისძიებებს,

როგორსაც ის ახორციელებდა სხვა შემოერთებული პროვინციების მიმართ.

დასავლეთ საქართველოში ქართლის მეფეს ორი ერისთავი ჰყავდა: შიდა ეგრისისა და სვანეთის ერისთავი და არგვეთისა და თაკვერის ერისთავი. მაგრამ წერილობით წყაროებში არაფერია ნათქვამი დასავლეთ საქართველოში ვახტანგის მიერ ჩატარებული სამშენებლო საქმიანობის შესახებ, ამ მხარის გამაგრების მიზნით, ასევე V საუკუნის ქართლის ეპისკოპოსთა ნუსხაში არ არის წარმოდგენილი დასავლეთ საქართველოს საეპისკოპოსოები. ასეთ ვითარებაში იქნებ მართებული იყოს თვალსაზრისი, რომ V საუკუნის 60—70-იან წლებში, როდესაც ვახტანგ მეფე ახორციელებდა თავის ექსპანსიას დასავლეთ საქართველოში, ის მოქმედებდა როგორც შაპის ვასალი, რომ ფორმალურად ეს იყო იმპერიის აქცია და დასავლეთ საქართველოს ორი საერისთავო ქართლის მეფეს, როგორც ირანის ვასალს ისე ექვემდებარებოდა.

ამდენად საკუთარი სურვილით აქ ლონისძიებათა გატარებაში ქართლის მეფე შეზღუდული იყო. ჩანს რომ დასავლეთ საქართველოს ირანის ქვეშევრდომობაში ყოფნა ქართლის მეფის მეშვეობით ხორციელდებოდა, მაგრამ ქართლის მეფის ხელისუფლებაც აქ შეზღუდული იყო. ასეთ თვალსაზრისს, ვფიქრობთ, ხელს არ უნდა უშლიდეს ის გარემოება (როგორც ზოგი ისტორიკოსი ვარაუდობს), რომ ირანელებთან დამარცხებული ვახტანგ მეფე 484 წელს ეგრისს აფარებდა თავს. ეგრისი რომ ირანელების ქვეშევრდომი ყოფილიყო, ირანელებთან დამარცხებული ვახტანგი იქ თავშესაფარს ვერ პოუვებდაო. ვფიქრობთ, რომ წარმოდგენილი სურათი ეგრისის ირანზე დამოკიდებულებისა არ გამორიცხავს ამ შესაძლებლობას და იქნებ სწორედ იმიტომ აფარებდა ეგრისს თავს, რომ ეგრისს არაფრად არ აწყობდა ირანის ქვეშევრდომობა და ის სწორედ სასანელთა წინააღმდეგ მებრძოლ მეფეს შეიფარებდა.

ამგვარად, „V საუკუნის 60—70-იან წლებში, პეროზ შაპის დროს, ირანი იმორჩილებს ეგრისის სამეფოს მთლიანად (აფხაზეთს გარდა). ეს ხდება ქართლის მეფის, ვახტანგ გორგასალის უშუალო მონაწილეობით თუ ინიციატივით. დამორჩილებული ეგრისის სამეფო შეუერთდა ქართლს და ამ უკანასკნელის საგამგეო ერთეულებად, საერისთავოებად დანაწილდა“⁵¹. მაგრამ დასავლეთ საქართველოს საერისთავოები მაინც განსხვავებული უფლებით ყოფილან შესული ქართლის სამეფოში, ქართლის მეფეს, ჩანს, იქ თავისი ინიცია-

ტივით არავითარი მნიშვნელოვანი ღონისძიების გატარება არ შეეძლო.

§ 2. საშინაო კოლიტივა

V საუკუნის მეორე ნახევრის ქართლის სამეფო ადრეფეოდალური სახელმწიფოა, რომლის სათავეში მეფე დგას. სახელმწიფოში მსხვილი ადმინისტრაციული ერთეულები, საერისთავოებია, რომელთა სათავეში მეფის მოხელე ერისთავები დგანან. ამ დროს აქ ორი ტენდენცია ებრძვის ერთმანეთს. მეფის ხელისუფლება ცდილობს ერისთავები თავის ერთგულ მოხელეებად ჰყავდეს და დაიცვას საერისთავოთა როგორც ადმინისტრაციულ ერთეულთა სტატუსი. ერისთავები კი სამეფო ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლობის მოპოვებას ცდილობენ. მეფესა და ერისთავებს შორის ურთიერთობა ხშირად კონფლიქტამდე მიდის. ასეთი კონფლიქტის მაგალითია იმდროინდელ ქართლის სამეფოში მეფე ვახტანგ გორგასალსა და ქვემო ქართლის პიტიახშუ ვარსკენს შორის არსებული დამოკიდებულება.

მეფის ხელისუფლება ძირითადად სამხედრო ძალაზე იყო დამყარებული. მეფე თავის ხელისუფლებას ახორციელებდა წარჩინებულთა ფენების წარმომადგენლებთან, საეკლესიო ხელისუფლებასთან და „ერთან“ ერთად. სახელმწიფოს მმართველობის ასეთი ფორმის კარგი ილუსტრაცია იყო ჯუანშერთან დაკული ცნობა—ვახტანგ გორგასალის მიერ მოწვეული ბჰობისა ოსეთს გალაშქრების წინ. წყდება დიდი სახელმწიფოებრივი საკითხი და მეფემ „მოუწოდა ყოველთა წარჩინებულთა ქართლისათა“¹. მეფე დაბრძანდა „საყდართა ზედა“ „საყდართავე“ სხდებიან მეფის უახლოესი მრჩეველები „ჯუანშერ სპასპეტი და ორნივე ეპისკოპოსნი“. ნიშანდობლივია, რომ მეფესთან ერთად სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხის გადასაწყვეტად „საბჭოდ“ ქრისტიან ეპისკოპოსთან ერთად მოგვთა თავი („ეპისკოპოსი ცეცხლისმსახურთა“) დაბრძანდა. ეს ერთ-ერთი დადასტურებაა იმ გარემოებისა, რომ ვახტანგის მეფობის დასაწყისში ქართლში მაზღეანობას ქრისტიანობის გვერდით თანასწორი არსებობის უფლება ჰქონდა. ამათ შემდეგ მოდიან ერისთავნი, პროვინციათა გამგებელნი, ადმინისტრაციული ხელისუფლების წარმომადგენლები, რომელნიც „დასხდების სელებთა“, ხოლო სამხედრო უწყების მეთაურნი, სპასპეტისა და ერისთავების ხელქვეშეთნი „ათასის-თავნი და ასისთავნი“ ფეხზე დგანან. ასევე ფეხ-

ზე დგას სამეფო საბჭოზე დამსწრე „ყოველი ერი“². ეს „ყოველი ერი“ იმდროინდელი ქართლის თავისუფალი საზოგადოებაა, რომელიც ქმნის ლაშქრის ძირითად ბირთვის. თუ ვახტანგის ისტორიაში აღწერილი სახელმწიფო საკითხზე ბჭობის ვითარება რეალურ სინამდვილეს ასახავს და მისი უაღრესად კონკრეტული ხასიათის გამო ის თითქოს ასეთი უნდა იყოს, აქ წარმოდგენილია ტიპური სურათი ადრეფეოდალური სახელმწიფოს მმართველობის ორგანიზაციისა: მეფე, სამხედრო ხელისუფალნი (სპასპეტი, ერისთავნი ათასისთავნი და ასისთავნი) და, რაც მთავარია, „ყოველი ერი“. რომელიც მონაწილეობს ბჭობაში, როგორც სრულუფლებიანი წევრი. სამოქალაქო ხელისუფლებასაც ერისთავნი წარმოადგენდნენ, რადგან ადრეფეოდალურ ხანაში სამოქალაქო ხელისუფლება ჯერ კიდევ არ იყო გამოყოფილი სამხედრო ხელისუფლებისაგან და სანოქალაქო ხელისუფლებას ერისთავნი ახორციელებდნენ. ადრეფეოდალურ სახელმწიფოს მმართველობაში ჯერ კიდევ მონაწილეობდა „ერი“ (ფორმალურად მაინც). ამ დროს ხომ სახალხო კრებებიც იმართებოდა, რომელშიც წარჩინებულებთან ერთად ეს მეფემე-ერისგანნაც მონაწილეობდნენ და იარაღის ქლარუნით გამოთქვამდნენ თავის ნებას.

ბჭობას მეფე ხსნის და აზბობს პირველ სიტყვას. მეფის შემდეგ სიტყვას იღებს სპასპეტი ჯუანშერი. მეფის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას მხარს უჭერდნენ „ყოველნი იგი წარჩინებულნი“³.

სახელმწიფოს ხასიათს მჭიდროდ უკავშირდება ლაშქრის ორგანიზაციისა და ოდენობის საკითხი. როდესაც გადაწყდა ჩდრილო კავკასიაში (ოსეთს) ლაშქრობა „ვახტანგ მოუწოდა ყოველთა სპათა ქართლისათა“. ლაშქარმა დაიბანაკა მუსრანს და ხერკს არაგვის ამიერ და იმიერ „და იყო ასი ათასი მკედარი და სამოცი ათასი ქვეითი“⁴. თუ გავითვალისწინებთ ქართლის ლაშქრის იმ სავარაუდო შემადგენლობას და რაოდენობას, რაც ჩვენი საუკუნეების დასაწყისისათვის სტრაბონის ცნობების ანალიზის შედეგადაა მიღებული, მოტანილი ციფრი დიდად გადაჭარბებული არ უნდა მოგვეჩვენოს. ანგარიშგასაწევია ის გარემოება, რომ ეს ადრეფეოდალური სახელმწიფოა, სადაც ჯერ კიდევ მთელი მოსახლეობა შეადგენს ლაშქარს.

ამ დროის ქართლის სამეფოს ლაშქრის ორგანიზაციასთან დაკავშირებით საინტერესო ცნობა აქვს ლაზარე ფარპეცს, რომელიც აღნიშნავს, რომ ირანელებთან ბრძოლის დროს ვახტანგ გორგასალი მიმართავდა სამხედრო ხერხს „ალექსანდრე მაკედონელის ეშმაკობის მსგავსად“⁵. ფარპეცის ეს შენიშვნა შეიძლება გავიგოთ რო-

გორც მინიშნება ვახტანგ მეფის მიერ დიდი სარდლის ალექსანდრე მაკედონელის სამხედრო ხელოვნების ცოდნისა და მისი გამოცდილების გამოყენებაზე⁶. ქართლის სამეფოს ლაშქარი შედგებოდა „ცხენოროსანთაგან“ და „ჯაჭუ-ჩაბალახოსანთაგან“, ე. ი. ცხენკაციანად რკინის აბჯარში ჩასმული მეომრებისაგან, „ქუეითთაგან“ და, როგორც ჩანს, მსუბუქად შეიარაღებულ „მხედართაგან“. ერთ-ერთი ბრძოლის დროს, როდესაც მტერს ხელსაყრელი პოზიცია ეკავა, მალღობზე იყო გამაგრებული, ვახტანგ მეფემ წინ შეკავშნული თოროსნები გაუშვა, რომელნიც ალბათ ყველაზე მძიმე დარტყმას მიაყენებდნენ მტერს „მაშინ წინა ცხენ-თოროსანთა აღვლეს გზა ქარაფისა, აღვდეს ვაკესა“. ამათ შემდეგ ქვეითნი მოდიან და ბოლოს „სიძრავლე მკედართა“. ეს ალბათ უკვე დამარცხებული და ძლეული მტრის მადევრად. ამასთანავე, ჩანს, მეფესთან იყო რჩეული მხედრობა. სადაც ყველაზე მეტად უჭირდა ლაშარს, იქ იყო მეფე „რჩეულითა მკედართა უზახებდა და განაძლიერებდა და ნუგეშინისცემდა სპათა მისთა“⁷.

ქართლის იმდროინდელი ლაშქრის შეიარაღებასთან დაკავშირებით საინტერესოა მხედრისა და ცხენის სამხედრო აკაზმულობის საკითხი. ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნის იბერიის ლაშქარი შეიარაღებულია ჭავშნით, ფარით, მუზარადით. ასეთი შეიარაღებული მეომრის ცხენიც ლითონის სამოსშია. მთლიანად ლითონის სამოსში „ჩამჯდარი მხედარი უძლეველად უნდა ყოფილიყო მიჩნეული მარტივად ხმალ-მშვილდ-ისრით შეიარაღებულ ქვეითთათვის“⁸. როდესაც ისტორიკოსი ვახტანგ გორგასალის შეიარაღებას აღწერს, წერს: „შეკდა (ვახტანგ მეფე, მ. ლ.) ტაიქსა შეჭურვილსა ჭავშნითა, და აღილო ფარი მისი ვიგრის ტყავისა, რომელსა ვერ ჰკუეეთდა მახვილი“⁹. ვახტანგ მეფეს ჭაჭვის პერანგი ემოსა და თავზე რკინის მუზარადი ეხურა. რომ ამ სახის შეიარაღება იმდროინდელ საქართველოში რეალურად არსებობდა, ამას არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი მასალაც ადასტურებს. ამ ტიპის უძველესი ცხენის აკაზმულობა, რკინის ჭაჭვის პერანგი, რკინის მუზარადი I—II საუკუნეებშია არქეოლოგიურად დადასტურებული. ჩვენთვის ფრიად საინტერესოა ის გარემოება, რომ ჯუანშერის მიერ აღწერილი ჭაჭვის პერანგის ტიპის ნაწილები ურბნისის ნაქალაქარზე აღმოჩნდა „იმ დამწვარ და განადგურებულ ნაგებობებში, რომელთა დაქცევის თარიღად V—VI საუკუნეების მიჯნაა მიღებული“¹⁰. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ურბნისის ეს „დაწვა და დანგრევა“ V საუკუნის ბოლოსა და VI საუკუნის დასაწყისში ირანელთა ქართლში შემოსვლი-

სა და ირანელებთან ქართლის ლაშქრის ბრძოლის დროს მოხდა. ამ დროს საომარი ოპერაციები უმთავრესად შიდა ქართლში მიმდინარეობდა და სწორედ სამშობლოს დაცვისათვის დაღუპული მეომრის ჯაჭვის პერანგი შემოგვინახა მიწამ.

„ქართული ჯარი შედგებოდა ქვეითობისა, ჩვეულებრივ მხედრობისა, რჩეულ მხედრობისა, სპეციალურ სამხედრო ნაწილის, რომელსაც ჯავშნიანი ცხენები ჰყავს, და, დასასრულ, რჩეულ მხედრობის, ალბათ მცირე რაზმისაგან, რომელიც, როგორც ჩანს, მეფის მცველია. ბრძოლის პროცესში ჯავშნიანი ცხენოსნები ავანგარდს შეადგენდნენ, მათს უკან ქვეითობა დგას, არიერგარდში-კი ჩვეულებრივი მხედრობა“¹¹.

როგორც აღვნიშნეთ, იმდროინდელი ქართლის სამეფო ადმინისტრაციულად საერისთავოებად იყო დაყოფილი, რომელთა სათავეში მემკვიდრეობით მდგომი ერისთავები ახორციელებდნენ როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო ხელისუფლებას.

ერისთავის თავდაპირველი დანიშნულება ლაშქრის უფროსობა იყო¹². მას უნდა გამოეყვანა სამმართველოდ გადაცემული ქვეყნიდან სათანადო ლაშქარი და ჩასდგომოდა მას სათავეში. ქართლის სამეფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა ლაშქრის ორგანიზაციის პრინციპს ემყარებოდა¹³.

როდესაც ქართლის პირველმა მეფემ ფარნავაზმა („მეფეთა ცხოვრების“ თანახმად) სამეფო სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულებად, საერისთავოებად დაჰყო, მაშინ ქართლის სამეფოში შეიდი საერისთავო იყო; 1. მარგუს, 2. კახეთის, 3. ხუნანის, 4. სამშვილდის, 5. წუნდის, 6. ოძრხის, 7. კლარჯეთის; მერვე საერისთავო საგანგებო პირობით შემოსული ქართლის მეფის ქვეშევრდომობაში, იყო ქუჯის სამფლობელო—ეგრისის საერისთავო. შიდა ქართლის სამხედრო-ადმინისტრაციული მმართველი სპასპეტად იწოდებოდა¹⁴. ასეთი სახის ადმინისტრაციაა წარმოდგენილი ვახტანგის ისტორიკოსის მიერ V საუკუნის ქართლშიც.

ვახტანგ მეფე ირანს წასასვლელად ემზადებოდა და ალბათ ამიტომ ჩქარობდა თავისი მცირეწლოვანი შვილის გამეფებას. დაჩი, უფლისწული. ამ დროს ხუთი წლისა უნდა ყოფილიყო. როდესაც ისტორიკოსი დაჩის გამეფებაზე მოგვითხრობს, აღნიშნავს, თუ რა ფარგლებში იყო მოქცეული ის ქვეყანა, რომელსაც ვახტანგ მეფე შვილს უმტკიცებდა, და ჩამოთვლის საერისთავოებს. იმდროინდელ ქართლის სამეფოში ათი მსხვილი ადმინისტრაციული ერთეულია, რომელთაგან ერთი შიდა ქართლის, რომლის მმართველი ჭუანშერ

სპასპეტია და „მფლობელი ყოველთა ერისთავთა“¹⁵. ამის შემდეგ ისტორიკოსი ჩამოთვლის დანარჩენ ცხრა საერისთავოს და პიროვნულად ასახელებს ყველა ერისთავს. ესენი არიან: „დემეტრე, ერისთავი კახეთისა და კუხეთისა; გრიგოლი, ერისთავი ჰერეთისა; ნერსარან ერისთავი ხუნანისა; ადარნასე, ერისთავი სამშვილდისა; საჰნალირ ერისთავი შიდა ეგრისა და სუანეთისა; ბაკურ, ერისთავი მარგუსა და თაკურისა; არტავაზ, ერისთავი კლარჯეთისა; ნასარ, ერისთავი წუნდისა და ბივრიტიან, ერისთავი ოძრხისა“¹⁶. საერისთავოებად, ადმინისტრაციულ ერთეულებად ქვეყნის დაყოფის ასეთი სისტემა, როგორც ვნახეთ, ტრადიციული იყო ჩვენში და უძველესი დროიდან მომდინარეობდა¹⁷. მაგრამ ფარნავაზის დროინდელ საერისთავოებს ვახტანგის დროს ემატება ერთი—ჰერეთის საერისთავო, რაც ვახტანგ გორგასალის იმ აღმოსავლური პოლიტიკის შედეგად უნდა იყოს წარმოშობილი, რომლის შესახებ გვქონდა საუბარი.

ჯუანშერის საერისთავოების ეს სია თავთავისი ერისთავებითურთ იმდენად კონკრეტულია, რომ მასში ექვსი შეტანა ძნელია, თუმცა ამასთან დაკავშირებით დგება საკუთრივ სამშვილდის საერისთავოს საკითხი. როგორც ვაჩუქდობენ, ჯუანშერის ერისთავთა სიის „სამშვილდის ერისთავი“ „ქართლის პიტიახშის“ შესატყვისი უნდა იყოს, მაგრამ V საუკუნის „60—80-იან წლებში ქართლის პიტიახში (რომელიც ამ სიის სამშვილდის ერისთავს უნდა შეესატყვისებოდეს) ცნობილი ვარსკენია, ხოლო მის წინ, 30—40-იან წლებში მისივე მამა არშუშა ჩანს“¹⁸. ამ დაბრკოლებას თუ შეუსაბამობას, რომელმაც შეიძლება ექვსი ქვეშ დააყენოს ჯუანშერის ერისთავთა ამ სიის სანდობის საკითხი, შეიძლება თავისი ახსნა აქვს. სახელდობრ: ქართლის პიტიახშთან დაკავშირებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჯუანშერის თუ მისი წყაროს ცნობამ ნაგვიანვე ხანაში რედაქცია განიცადა.

აღნიშნულ ვითარებასთან დაკავშირებით დგება „ქართლის პიტიახშის“ რაობისა და მისი სამფლობელოს ფარგლების და აგრეთვე საკუთრივ ვარსკენ პიტიახშის ხელისუფლების ხასიათის საკითხი.

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში პიტიახში დიდი ოლქის მმართველს ეწოდება. ის შეიძლება უცხოელიც იყოს და ადგილობრივი წარჩინებული სახლის წარმომადგენელიც. ასეთი პიტიახშები მრავლად არიან ცნობილი ანტიკური ხანისა და ადრეშუასაუკუნეების მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიაში. ჩვენთვის საინტერესო ეპოქაში საქართველოს სინამდვილეში გვხვდებიან ირანელი პიტიახშები, მაგ., ქრამ-ხუარ-ბორზარდ, სპარსთა მეფისა პიტიახში,

რომელიც ირანის შაჰის მოხელე იყო ამიერკავკასიაში IV საუკუნის მეორე ნახევარში; ქართლის მეფე მითრიდატე VI-ის თანამედროვე (V საუკუნის დასაწყისი) ირანელი პიტიახში ვარაში; ქართლის მეფე მითრიდატე VII-ის (V საუკუნის შუა წლები) თანამედროვე პიტიახში ბარზაბოდი, რომელმაც ქართლისა და ერეთის ერისთავად დანიშნა მთავარეპისკოპოსი გლონოქორი. ამ ირანელი პიტიახშების პარალელურად წყაროებში იხსენიებიან ადგილობრივი პიტიახშები. ქართლთან მიმართებით იმდროინდელ წყაროებში. დამოწმებულნი არიან არშუშა პიტიახში V საუკუნის შუა წლებში, პიტიახში ვარსკენი იმავე საუკუნის მეორე ნახევარში და ისევე არშუშა VI საუკუნის პირველ ნახევარში. როგორც ჩანს, ამიერკავკასიაში არსებობდა ადგილობრივ პიტიახშთა ინსტიტუტი. ამ ქართველ პიტიახშებს ქართულ და სომხურ წყაროებში ეწოდებათ: „ქართლის პიტიახში“, „ტაშირის მთავარი“, „გუგარქის პიტიახში“. ისინი „სომხითის მთავართა“ სახლის წარმომადგენლებად არიან დასახელებულნი¹⁹. ეს „ქართლი“ ამ შემთხვევაში მოიცავს საკუთრივ ქვემო ქართლს და შეესატყვისება ბერძნული წყაროების „გოგარენეს“ და სომხური წყაროების „გუგარქს“. ამდენად „ქართლის პიტიახში“ სინამდვილეში ქვემო ქართლის მთავარია და მისი სამფლობელო ქვემო ქართლით შემოიფარგლება²⁰.

ქვემო ქართლის ნაწილი გარკვეული დროის მანძილზე (ძვ. წ. II—I სს.) სომხეთს ჰქონდა დამორჩილებული. ამ ისტორიულად ქართულ მხარეში, ნარევი ქართულ-სომხური მოსახლეობით, ძლიერი იყო ირანის პოლიტიკური გავლენა, რამაც შეიძლება განაპირობა ქვემო ქართლის მმართველთა სახლში პიტიახშის ტიტულის დამკვიდრება²¹. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქართული საისტორიო ტრადიციის თანახმად (ლეონტი მროველი, ჯუანშერი) ქვემო ქართლის პიტიახშთა საგვარეულოს დამაარსებელი ფეროზი წარმოშობით სპარსელი იყო²².

ამგვარად, არშუშას სახლის პიტიახშები (არშუშა, ვარსკენი, არშუშა) ადგილობრივი ქართველი ფეოდალები არიან, და როგორც ქვემო ქართლის პიტიახშები, ისინი არ არიან ირანის შაჰის მოხელეები, ისინი ადგილობრივი მმართველობის აპარატის წარმომადგენლები, ქართლის მეფის მოხელეები არიან²³. ამ კელს ისინი ტრადიციულად, მემკვიდრეობით ფლობენ და მათი საკელოს ადგილობრივი ეკვივალენტია „ქართლის პიტიახში“, ან „ერისთავი“.

ამასთანავე ანგარიშგასაწევეია ის ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება, რომ „სპარსთა მეფემან წარმოგზავნა იგი (ვარსქენ, მ. ლ.) ნიჭითა დიდითა ერისთავად რანისა“²⁴. აშკარაა, რომ სწორედ ეს „რანის ერისთავობა“ არის ის, რაც ვარსქენმა ქვეყნისა და სჯულის დალატისათვის მიიღო შაჰისაგან. აღნიშნულის საფუძველზე, ვფიქრობთ, მართებული უნდა იყოს მოსაზრება, რომ ვარსქენი „რანის ერისთავია“ არა იმიტომ, რომ ქვემო ქართლის საპატიახშოს შემადგენლობაში პერთი (ან მისი ნაწილი) შედიოდა, როგორც ზოგი მკვლევარი ვარაუდობს, არამედ იმიტომ, რომ ვარსქენი არის არა მხოლოდ ქვემო ქართლის პატიახში, არამედ აგრეთვე შაჰის უშუალო მოხელე, რანის ერისთავი²⁵.

ვარსქენის, როგორც რანის ერისთავის, ერთ-ერთ მოვალეობას შეადგენდა იმპერიის ჩრდილო საზღვრების დაცვა იმიერკავკასიელი მომთაბარე ტომებისაგან, ჩრდილო კავკასიაში გარდამავალი იმ გადასასვლელების გამაგრება, რომელნიც რანის საერისთავოს ფარგლებში მდებარეობდნენ. ვარსქენის ეს თანამდებობრივი. მდგომარეობა განაპირობებს მის „ჰონთა ზედა“²⁶, ან „ჩორდ“²⁷ სალაშქროდ გამგზავრებას.

ვარსქენის ისეთი მდგომარეობა, როგორიც იაკობ ხუცესის თხზულებითაა დადასტურებული, განპირობებულია იმ დიდი სამოხელეო თანამდებობით ირანის შაჰის კარზე, რომელიც მას უპყრია ვითარცა რანის ერისთავს. ვარსქენის „რანის ერისთავობა“ (ალბანეთის მარზპანობა) განსაზღვრავს იმ გარემოებას, რომ ის თვითონ არ ცნობს ქართლის მეფის ვახტანგ გორგასალის ხელისუფლებას, რომ მეფის ხელისუფლება იმდროინდელ ქვემო ქართლის საპატიახშოში საერთოდ უგულვებელყოფილია. თუმცა, როგორც ქვემო ქართლის ერისთავი, ვარსქენი ქართლის მეფის მოხელეა. ვახტანგ მეფეს არ ახსენებს არც „შუშანიკის მარტვილობის“ ავტორი, ქართლის მეფე არც ბოლნისის წარწერებშია მოხსენიებული. ვარსქენი იმისათვის „წარემართა კარად სამეუფოდ“, ეახლა შაჰ პეროზს, „განაგდო სანატრელი სასოება ქრისტჳსი“, „ცოლსა ითხოვდა სპარსთა მეფისაგან“ და ამასთანავე სიტყვას აძლევდა: „რომელი-იგი ბუნებითი ცოლი არს და შვილნი, იგინიცა ესრევე მოვაქცინე შენსა სჯულსა, ვითარცა ესე მე“, „რამთამცა სათნო ეყო მეფესა“ (ირანის შაჰს) და მიედლო მისგან მაღალი თანამდებობა, რანის ერისთავობა და მოეპოვეზინა საკუთარ საერისთავოში (ქვემო ქართლის საპატიახშოში) ქართლის მეფის ვახტანგ გორგასალისაგან რეალურად დამოუკიდებელი მდგომარეობა. ყოველივე ამას ვარსქენმა მიაღწია. განსხვავებით

ვარსკენის მამის არშუშასაგან, რომელიც იძულებით გაიწვიეს ირანს, შაჰთან ხლების ინიციატივა თვით ვარსკენისაგან მომდინარეობს (ქართველი ფეოდალების ასეთი ინიციატივა არაერთი იცის შუასაუკუნოვანმა საქართველომ) და იაკობის სიტყვები, რომ ვარსკენს „არცა ჭირი ეხილვა, არცა შიში, არცა მახული, არცა პყრობილებაჲ ქრისტჳსათჳს“ ამ თვალსაზრისით ქვეშარიტებას გამოხატავს. ამდენად, ვარსკენ არშუშას ძე ირანის შაჰის მოხელეა, მაგრამ მოხელეა არა როგორც „ქართლის პიტიახში“, არამედ როგორც რანის ერისთავი (ალბანეთის მარზპანი) და ამიტომ არ იქნებოდა სწორი, მისი მაგალითით ირანის შაჰის მოხელეებად მივიჩნიოთ მისი წინამორბედი ან მომდევნო ხანის ქვემო ქართლის სხვა პიტიახშებიც (არშუშა, ვარსკენის მამა, ან რომელიმე სხვა). როგორც უკვე აღინიშნა, როგორც ქვემო ქართლის პიტიახში ვარსკენ არშუშას ძე ერთ-ერთი ქართველი ფეოდალი და ქართლის მეფის მოხელეა, მისი ერისთავია. საკითხის სხვა მხარეა, თუ ფაქტიურად როგორ ცნობს ის ვახტანგს თავის პატრონად. ვარსკენი ძლიერი და შაჰისაგან ზურგამაგრებული ხელისუფალია. მეფე ვახტანგსა და პიტიახშს შორის დაძაბული ურთიერთობაა, მოხელე-ერისთავი მეფეს არ ექვემდებარება. აღნიშნული ვითარება, ქართლის სამეფოს შიგნით ფაქტიურად მეფისაგან დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ერთეულის საპიტიახშოს (საერისთავოს) არსებობა ირანის მძლავრებითაა განპირობებული.

ვახტანგ გორგასალის მოღვაწეობის ხანაში რანის ორი ერისთავია ცნობილი—ბარზაბოდი, ვახტანგის დედის საგდუხტის მამა, და ვარაზბაკური, ვახტანგის დედის ძმა, ბარზაბოდის შვილი. ვახტანგის ისტორიის თანახმად, ვარაზ-ბაკური 467—8 წწ. ბრძოლაში იღუპება²⁸. ამის შემდეგ V საუკუნის მანძილზე ჩვენთვის რანის სხვა ერისთავი, გარდა ვარსკენისა, ცნობილი არაა. ვარსკენის ირანს გამგზავრებას და უკან დაბრუნებას 467—8 წლებში ვარაუდობენ²⁹. თუ ეს ქრონოლოგიური დამთხვევა სინამდვილეს შეეფერება, მაშინ მოვლენათა ლოგიკა თითქოს ადვილად იხსნება. რანის პიტიახში ვარაზ-ბაკური იღუპება და ვარსკენი ირანს მემგზავრება. შაჰისათვის ერთგულების დასამტკიცებლად ის მაზდეანობას იღებს და დიდ დაპირებებს აძლევს მას, პიტიახშის სახლის წყურთა გამაზღვანებას პირდება. ვარსკენი მიიღებს სანუკუვარ თანამღებობას და ამიერიდან, როგორც რანის ერისთავს, შაჰის უზენაეს მოხელეს აპიერკავკასიაში, ექვემდებარება ქართლი. ვახტანგ მეფის მოხელე, ქვემო ქართლის პიტიახში ვარსკენი, როგორც სასანიანთა ირანის მოხელე რანის ერ-

ისტორიული ვითარება. აღნიშნული გარემოება აპირობებს ვარსკენის განუსაზღვრელ უფლებებს ქვემო ქართლში და მის სამფლობელოში ვახტანგის იგნორირებას.

როგორც ცნობილია, ვახტანგ მეფე იგნორირებულია არა მხოლოდ „შუშანიკის მარტილობაში“, ის არც ბოლნისის წარწერებშია მოხსენიებული. აღნიშნული გარემოება რიგ საკითხებს აყენებს.

ბოლნისის სიონის სამშენებლო წარწერის ამოკვეთის დროს ვარსკენ პიტიახში ცოცხალი აღარაა. შეიძლება გვეფიქრა, რომ ვარსკენის მოკვლის შემდეგ ვახტანგმა იქ თავის სასურველი პიტიახში დასვა. მაგრამ 484 წელს ირანთან ომში ვახტანგ მეფე დამარცხდა და ასეთ ვითარებაში საეჭვოა, რომ ირანის ხელისუფლებას მისთვის ქვემო ქართლის საპიტიახშოს საქმეებში ჩარევის უფლება მიეცა. რომ ვახტანგ გორგასალის მიერ მოკლული ვარსკენის შემდეგ ქვემო ქართლის პიტიახშობა ისევ იმავე სახლის ხელში რჩება, ამის დასტური უნდა იყოს VI საუკუნის შუა წლებში „ევსტათე მცხეთელის მარტილობაში“ მოხსენიებული ქართლის პიტიახში არშუშა³⁰, ეს მეორე არშუშა ჩანს ქვემო ქართლის პიტიახშოთა სავგარეულოს წარმომადგენელი და ჩვენი ვარსკენის ჩამომავალია.

ამ ქვემო ქართლის საპიტიახშოს საზღვრების ზუსტი დადგენა არ ხერხდება. ქვემო ქართლის საპიტიახშოს ძირითადი ტერიტორია სამშვილდისა და ბოლნისის რაიონები უნდა იყოს³¹. აღმოსავლეთით სადამდე გავრცელდა საკუთრივ ვარსკენის ხელისუფლება, ეს, როგორც აღვნიშნეთ, კონკრეტული ისტორიული ვითარებითაა შეპირობებული. ქვემო ქართლის საპიტიახშო ესაა დაახლოებით თბილისის სამხრეთით მდებარე ტერიტორია; აღმოსავლეთით მას მტკვარი უნდა საზღვრავდეს ისტორიული ჰერეთიდან, სამხრეთით—კანგარის მთები სომხეთიდან და დასავლეთით — თრიალეთი და ჭავჭავთი (იხ. ივ. ჭავჭავიძის მიერ შედგენილი ისტორიული რუკა). საპიტიახშოს ცენტრად ცურტავს ვარაუდობენ, სადაც „არის პიტიახშის ტაძარი, ანუ სასახლე, სასახლის საეპისკოპოსო და მასზე დაცილებით კიდევ აგრეთვე ციხეც“³². იმავე ცურტავს ასახელებს პიტიახშის „სახლის კარად“ მოსე ცურტავის ეპისკოპოსი³³.

სამწუხაროდ, გეოგრაფიული სახელი ცურტავი ადრე დაიკარგა. X საუკუნეში უკვე აღარ არსებობს გეოგრაფიული პუნქტი ასეთი სახელწოდებით და უხტანესი წერს, რომ „ცურტავი ეს სახელი, რომელსაც ისტორიაში მუდამ და ყოველთვის ვახსენებდით და აქაც მოვიხსენებთ, მაშინ ერქვა, ხოლო ეხლა ეწოდება გაჩიანი“³⁴. იმავე

თხზულებაში აღნიშნულია, რომ ცურტავი „მაშინ სავსე და ვრცელი, დიდი და სახელოვანი დედაქალაქი [იყო], ხოლო ეხლა შემცირებული და ზომიერი დაბა ქალაქია... ცურტავი სამკვიდრებელი იყო გუგარელთა დიდი პიტიახშის“³⁵. მოტანილი ცნობის საფუძველზე მკვლევართა დიდი ნაწილი ცურტავს გაჩიანთან აიგივებს, თუმცა არის მოსაზრება, რომელიც მას ჭაბალას ციხეში ეძებს³⁶. ნ. ბერძენი-შვილს შესაძლებლად მიაჩნია, „რომ ბოლნისი იყო იგივე ცურტავი“³⁷. უბტანესისეული განმარტება, რომ ცურტავს ახლა გაჩიანი ჰქვია, არაფერს გვაძლევს, რადგან ჩვენთვის არც გაჩიანის ადგილმდებარეობაა ცნობილი.

ბოლნისი საპიტიახშოს მნიშვნელოვანი პუნქტი იყო, სადაც V საუკუნის მეორე ნახევარში ვახტანგ გორგასალი საეპისკოპოსოს აარსებს და სადაც V საუკუნის ბოლოს დიდი კათედრალური ტაძარი შენდება. სავარაუდოა, რომ ბოლნისის საეპისკოპოსოს მეფე ვახტანგი ცურტავის (პიტიახშის კარის?) საეპისკოპოსოს საპირისპიროდ აარსებს (იმ შემთხვევაში, თუ ბოლნისი იგივე ცურტავი არაა) მათი გავლენისა და ხელისუფლების დასუსტების მიზნით. როგორც ცნობილია, ბოლნისის წარწერებში ქართლის მეფე არ იხსენიება. ეს იმით შეიძლება აიხსნას, რომ ეს მხარე და მისი გამგებელი (ვარსკენი და მის შემდეგ მისი მემკვიდრენი) მკვიდროდ არიან დაკავშირებული ირანთან. 482—4 წლების აჯანყების შემდეგ ვახტანგ გორგასალი იძულებულია ისევ აღიაროს შაჰის უზენაესობა და ასეთ ვითარებაში გამართლებული ჩანს ბოლნისის მშენებლობის დათარიღების ირანის შაჰის ზეობით განსაზღვრა. ვახტანგი ოფიციალურად ირანის შაჰის ვასალია ისევ. ქვემო ქართლის საპიტიახშოს საშინაო საქმეებში ქართლის მეფის ჩარევა განსაკუთრებით არასასურველი უნდა იყოს ირანის შაჰისათვის. შაჰი იძულებულია მოითმინოს აქ საეპისკოპოსო კათედრალის მშენებლობა, მაგრამ ურთიერთობის გამწვავების თავიდან აცილების მიზნით იქნებ საგანგებოდ არ ახსენებენ ტაძრის წარწერებში მეფე ვახტანგს, რათა არ გამოჩნდეს მისი ჩარევა საპიტიახშოს საქმეებში.

როგორც ცნობილია, ამ წარწერებში არც ქვემო ქართლის პიტიახშია მოხსენიებული. მშენებლობის დამთავრების დროისთვის ვარსკენი ცოცხალად აღარაა. ამ დროს აქ მისი რომელიმე მემკვიდრე უნდა იყოს, მაგრამ ის ალბათ მაზღდენია და ამიტომ მას ვერ ახსენებენ ტაძრის წარწერაში. შეიძლება სწორედ მდგომარეობის განეიტრალების მიზნით საეპისკოპოსო საყდარი საკუთრივ ეკლესიის, ეპისკოპოსისა და მისი კრებულის სახელით შენდებოდა. საერო ხელი-

სუფალთაგან არც პიტიახშია მოხსენიებული და არც მეფე, მხოლოდ უზენაესი ხელისუფალის, ირანის შაჰის ზეობითაა მოცემული დათარიღება³⁸.

ბოლნისის სიონის მშენებლობისა და მის წარწერებთან დაკავშირებით საკითხის სპეციალურ ლიტერატურაში სხვადასხვა მოსაზრებებია გამოთქმული. ტაძრის მშენებლობას კრებულითურთ ახორციელებს დავით ეპისკოპოსი. წარწერებში მოხსენიებული არიან ფარნევანი და აზარუხტ, ვ(არსქე)ნ (ვარდან? ნ(აპა)პ(ეტ), ჩორან... როგორც გიორგი ჩუბინაშვილი ვარაუდობს, წარწერებში მოხსენიებული არიან ადგილობრივი ფეოდალური არისტოკრატიის ის წარმომადგენლები, რომელთაც შემწეობა აღმოუჩინეს დავით ეპისკოპოსს ტაძრის მშენებლობაში. ხოლო წარწერაში მეფე ვახტანგისა და პიტიახშის მოუხსენებლობას გ. ჩუბინაშვილი ირანის პოლიტიკური დაწოლით ხსნის, რომლის შიშით არაა წარწერაში მოხსენიებული არც ქართლის მეფე და არც პიტიახში და მშენებლობის დაწყება პეროზის მეფობის დაწყებითაა დათარიღებული³⁹.

შალვა ამირანაშვილმა გადაათარილა ბოლნისის სიონის მშენებლობა და ტაძრის აშენება 462—477 წლებით დაათარილა, ხოლო ქართლის მეფის მოუხსენებლობა სიონის წარწერაში მეფე ვახტანგ გორგასალის ამ დროის ირანში ყოფნით ახსნა⁴⁰. ტაძრის აგების დათარიღების საკითხზე დავა ჩვენი საქმე არ არის, მაგრამ რაც შეეხება ტაძრის წარწერებში ქართლის მეფის მოუხსენებლობის ახსნას ბოლნისის მშენებლობის დროს ვახტანგის ირანში ყოფნით, ეს სადავოდ მიგვაჩნია. ვახტანგ მეფე ირანს იყო გაწვეული თუ არა, ის თუ ქართლის მეფე იყო, ნორმალურ პოლიტიკურ სიტუაციაში ბოლნისის სიონის სამშენებლო წარწერაში უნდა ყოფილიყო მოხსენიებული, მით უმეტეს, რომ საეპისკოპოსო ბოლნისში მისი დაარსებული ჩანს. ბოლნისის ორ ქვაჭვარს წარწერით „ესე ჳი ვნ ნჳჲ“ და „ესე ჳოვარი შო შანიკისი“ შ. ამირანაშვილი ჩვენთვის კარგად ცნობილ ვარსქენს და შუშანიკ დედოფალს აკუთვნებს და წერს: „ბოლნისის სიონში დაცული ორი წარწერიანი ქვა „ბოლნური“ ტიპის ჳვრის გამოსახულებით, ჩემის აზრით შეწირულია შუშანიკ დედოფლის მიერ და ვარსქენ პიტიახშის მიერ, რომელიც ატარებდა პატივს „ნაპარაპეტის“ (როგორც ეს წარწერაში არის მოხსენიებული). ჳერ კიდევ იმ დროს, როდესაც ტაძარი შენდებოდა, ვარსქენ პიტიახში არ ყოფილა გაწვეული სპარსეთში და მას ჳერ კიდევ მაზღედანობა არ ქონდა მიღებული“⁴¹.

ბოლნისში აღმოჩენილ ძეგლთაგან დიდი მნიშვნელობა ენიჭება რელიეფურ სტელას, რომლის ერთ მხარეზე ამოკვეთილია შესანიშნავი ბოლნური ჯვარი, ხოლო მეორეზე წარჩინებული მამაკაცის გამოსახულება, რომელსაც ერთ ხელში სატევარი უჭირავს, ხოლო მეორეში ქარქაში. ამ სტელის შენსწავლელი ჯუანშერ ამირანაშვილი ვარაუდობს, რომ „ბოლნისის რელიეფზე გამოსახულია საზეიმო ვითარებაში ქვემო ქართლის, ამ შემთხვევაში გუგარქის პიტიახში, რომელსაც ინსიგნიის სახით სატევარი აქვს ხელში, აცვია საზეიმო ტანსაცმელი“⁴². ხოლო იმის გამო, რომ სტელის ზურგზე ამოკვეთილია ქრისტიანული ემბლემა — ჯვარი, ავტორი ვარაუდობს, რომ „აქ გამოსახულია ვარსკენ პიტიახში მაშინ, როდესაც ის ჭერ კიდეც მისდევდა ქრისტიანულ მოძღვრებას“⁴³.

თუ ზემოთხსენებულ ბოლნურ ქვაჯვარზე ამოკვეთილი წარწერა ვარსკენს ეკუთვნის, მაშინ შეიძლება მართებული იყოს ვარაუდი, რომ ის ატარებდა ნაჰაპეტის ტიტულს და მონაწილეობდა ტაძრის მშენებლობაში, „ხოლო მშენებლობის დამთავრების შემდეგ, როცა ამოკვეთეს მთავარი საამშენებლო წარწერა, მაშინ ვარსკენ პიტიახშს ალბათ უკვე მიღებული ჰქონდა მახლდებობა“⁴⁴.

ამ წარწერის გარდა ამ ტიტულს (ნაჰაპეტი) იმდროინდელ ქართლში არ ვიცნობთ, თუმცა ეს დიდ დაბრკოლებას არ უნდა ქმნიდეს, რადგან ჩვენთვის ბევრი რამაა უცნობი ამ პერიოდის ქართლის ისტორიიდან. მიუხედავად მრავალი სიძნელისა, მოტანილი ვარაუდი, რომ ბოლნისის სტელაზე შეიძლება ვარსკენ პიტიახში იყოს ამოკვეთილი, ყურადსაღებია. ამ თვალსაზრისით გარკვეული მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ „ნაჰაპეტი“ და „პიტიახში“ უკავშირდებიან ერთმანეთს გოგარენეს საპიტიახშოს მაგალითზე⁴⁵.

როგორც ჩანს, ბოლნისი ამ ადმინისტრაციული ერთეულის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტია, რომლის შემდგომი დაწინაურებისათვის ხელი უნდა შეეწყოს აქ საეპისკოპოსოს დაარსებას. ბოლნისის ასეთი სიმდიდრე ძეგლებით ხომ არ უჭერს მხარს მოსაზრებას, რომ აქ იყო საპიტიახშოს ცენტრი ცურტავი?

ამგვარად, ქვემო ქართლის საერისთავო (ქართლის საპიტიახშო) მნიშვნელოვანი ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ერთეულია ქართლის სამეფოში, სადაც V საუკუნის მეორე ნახევარში მკვეთრად უპირისპირდება ერთმანეთს ქართლის მეფისა და სასანიანთა ხელისუფლება. ქართლის მეფის მოხელე პიტიახშები მოიპოვებენ აზიურკავკასიაში ირანის შაჰის ნაცვლის, ალბანეთის მარზპანის //რანის ერისთავის მაღალ სამოხელეო თანამდებობას. ეს კომბინაცია ირანის

შპსსაც აწყობდა, რადგან ამით ის ქართლის ძლიერ მეფეს მისსავე მოხელეს უპირისპირებდა. ქართლის მეფე ქრისტიანობაზე დაყრდნობით უპირისპირდება მაზღეან ერისთავს და მის სამფლობელოში საეპისკოპოსოს აარსებს, რომელიც მეფის დასაყრდენი უნდა იყოს რჯულისა და სამშობლოს მოღალატე ერისთავის წინააღმდეგ ბრძოლაში.

§ 3. სახელმწიფო და ეკლესია

ხელისუფლების ცენტრალიზაციისა და სახელმწიფოს ძლიერების განმტკიცებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოსა და ეკლესიის დამოკიდებულების საკითხს. ქართული სახელმწიფო თავიდანვე ქრისტეს ჯვარზე დაყრდნობით ავრცელებდა თავის ხელისუფლებას განაპირა რაიონებზე, კავკასიის მთიანეთში. სახელმწიფოსა და ეკლესიის ერთიანობა ქვეყნის სიძლიერის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო. როდესაც ქრისტიანული ეკლესია საქართველოში ახალი ძალა იყო, მაშინ ის თვითონ საჭიროებდა სახელმწიფოს დხმარებას და ქრისტიანობის საქადაგოდ გამგზავრებულ წინოს მეფე მირიანი ერისთავს გააყოლებს სამხედრო რაზმითურთ. ქართლის მეფეები ენერგიულად იბრძოდნენ ერთიანი რელიგიისათვის, ერთიანი რელიგია პოლიტიკური ერთიანობის მტკიცე საყრდენი იყო.

უაღრესად მნიშვნელოვანი ღონისძიებანი ტარდება ვახტანგ გორგასალის მეფობაში ქართლის სახელმწიფო და საეკლესიო ხელისუფლების ინტერესთა გაერთიანების და მათი საერთო საქმის, ქვეყნის გაძლიერებისა და უცხო დამპყრობთაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლაში გამოყენების მიზნით.

ის მნიშვნელოვანი რეორგანიზაცია, რომელიც მეფე ვახტანგმა ქართლის ეკლესიაში გაატარა, ფორმალურად დასაბამს მეფესა და მთავარეპისკოპოსს შორის მომხდარი კონფლიქტით იღებს. ალბათ არ იქნება მართებული ვიფიქროთ, რომ ამ კონფლიქტის გარეშე მეფე არ მოახდენდა ეკლესიის რეორგანიზაციას. ის ღონისძიებანი, რაც მან ეკლესიაში გაატარა, ვახტანგ მეფის დიდი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. ამ ღონისძიების გეგმა ალბათ ხანგრძლივი დროის მანძილზე მუშავდებოდა და მომხდარი კონფლიქტი მეფის მიერ გამიზნული რეორგანიზაციითაც იყო ალბათ გამოწვეული.

როგორც ცნობილია, რეორგანიზაციის შედეგად ქართლის ეკლესიამ მოიპოვა მეზობელი სომხეთისა და ალბანეთის ეკლესიების მსგავსად ავტოკეფალია, დამოუკიდებლობა და ქართლის ეკლესიის მეთაურად ამიერიდან მთავარეპისკოპოსის მაგიერ კათალიკოსი გვევლინება. ეს რეორგანიზაცია 472—482 წლებს შორის უნდა იყოს გატარებული¹. კათალიკოსობის დაწესებასთან ერთად ზღედა 13 ახალი ეპისკოპოსის დადგინება. არაა სავალდებულო, რომ ყველა ეს ეპისკოპოსი ახლად დაარსებულ სამწყობებში ყოფილიყვნენ დადგენილი. ალბათ მართებულია ვარაუდი, რომ მათგან ნაწილი თვით ვახტანგის მიერ დაარსებულ ახალ საეპისკოპოსო კათედრებზე იქნენ განწესებულნი, ხოლო ნაწილმა (და როგორც ჩანს დიდმა ნაწილმა) არსებულ კათედრებზე მყოფი ძველი ეპისკოპოსები შეცვალეს.

ეკლესიაში გატარებული ასეთი დიდი რეორგანიზაცია უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენაა ქვეყნის ცხოვრებაში და, ბუნებრივია, რომ მან აღრიდნავე მიიპყრო საქართველოს ისტორიის მკვლევართა ყურადღება. აღნიშნული საკითხი აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. დგება საკითხთა მთელი წყება: იყო ეს რეორგანიზაცია მეფესა და მთავარეპისკოპოსს შორის არსებული კონფლიქტის შედეგი, თუ მეფის განზრახვამ გაამწვავა ურთიერთობა მათ შორის; ეს კონფლიქტი კონფესიურ ნიადაგზე აღმოცენდა, თუ მას სხვა საფუძველი ჰქონდა; და თუ კონფესიურ ნიადაგზე იყო, რომელი მხარე წარმოადგენდა ქალკედონურ მრწამსს და რომელი მონოფიზიტურს².

ვფიქრობთ, სადავო არ უნდა იყოს ის, რომ ეკლესიის რეორგანიზაციას პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა და კათალიკოსობის დაწესება და ქართული ეკლესიის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვება იმდროინდელი ქართლის სამეფოს პოლიტიკური მდგომარეობით და მისი საერთაშორისო პრესტიჟით იყო პირველ რიგში შეპირობებული. მაგრამ მეფე ვახტანგსა და ქართლის მთავარეპისკოპოსს მიქაელს შორის კონფლიქტური სიტუაცია რომ არ ყოფილიყო, მეფე ალბათ მასვე აღაზრებდა კათალიკოსად. წყაროთა ჩვენებით აშკარად დასტურდება, რომ როდესაც მიქაელმა გაიგო ვახტანგის განზრახვა კათალიკოსობის დაწესებისა და ამ მიზნით კონსტანტინოპოლიდან პეტრეს მოწვევის შესახებ, განრისხებულმა მთავარეპისკოპოსმა მეფეს ქრისტიანობის დატეხება და ცეცხლთაყვანისმცემლობის აღიარება დასდო ბრალად და „კრულ ყო მეფე და ყოველნი სპანი მისნი“³. ნიშანდობლივია, რომ ვახტანგ მეფემ არ მოინდომა კონფლიქტის გამწვავება, ეახლა მიქაელს, და არსებული ტრადიციის თანახმად „შეემთხვა ფერჯთა ეპისკოპოსისათა“, მაგრამ „გან-

ძრა მან (ეპისკოპოსმა, მ. ლ.) ფერჯი, და მიამთხვა პირსა მეფისასა ფანდაკთა და შემუსრა კბილი მისი“. მეფის შეურაცხყოფელი ეპისკოპოსი ვახტანგმა კონსტანტინოპოლს გაგზავნა პატრიარქთან, რათა მას განეკითხა „ვითარცა ჯერ იყოს“. ეპისკოპოსი, რომელსაც ჩაღენილი დანაშაულის გამო სიკვდილით დასჯა ეკუთვნოდა, შეიწყალეს და მღვიძარეთა მონასტერში გაამწყესეს.

მკვლევართა ერთ წყებას მიაჩნია, რომ მიქაელ მთავარეპისკოპოსს, რომელიც ქართული საისტორიო ტრადიციის თანახმად ჭეშმარიტი მართლმადიდებელი იყო, ვახტანგი მონოფიზიტური პოზიციებიდან დაუპირისპირდა. არსებობს საწინააღმდეგო თვალსაზრისიც, რომ ვახტანგი ვითარცა ირანის წინააღმდეგ მებრძოლი ბიზანტიურ ორიენტაციას უნდა უჭერდეს მხარს და შესაბამისად, იმპერიაში გაბატონებულ ქალკედონურ მრწამსს. მაგრამ წყაროთა მდგომარეობის გამო ორივე ეს მოსაზრება ვარაუდების ფარგლებს ვერ სცილდება. ზოგი მკვლევარი საერთოდ ექვის ქვეშ აყენებს მეფემთავარეპისკოპოსის კონფლიქტში მრწამსის მონაწილეობის შესაძლებლობას და გამოითქვა მოსაზრება, რომ „ვახტანგ გორგასალი ქართლის ეპისკოპოსს საეკლესიო ქონების მითვისებას სდებს ბრალად. ეპისკოპოსი და მეფე ერთმანეთის მიმართ ბრალდებათა წაყენებაში უკან არ იხევენ. მეფეს ეპისკოპოსი საერთოდ ქრისტიანობიდან განგდომას სწამებს, საპასუხოდ მეფე მას „ვეცხლის მოყვარეს“ და „მეგუადრუცეს“, ე. ი. საეკლესიო ქონებათა მიმტაცებელს უწოდებს“⁴.

წყაროებში („მოქცევა“, ჯუანშერი) არაფერია ნათქვამი მრწამსის გამო დაპირისპირებაზე. მაგრამ ამაზე მინიშნებას შეიძლება იძლეოდეს ჯუანშერის ცნობა, რომ იმპერატორმა (თუ მიღებულ ქრონოლოგიას გავიზიარებთ, ზინონმა, რომელიც 474—491 წლებში იჯდა ტახტზე) და კონსტანტინოპოლის პატრიარქმა (აკაკიუსმა 472—489) პეტრე მღვდელი და სამოელი, რომელთაგან პირველი ქართლის კათალიკოსად, ხოლო მეორე ეპისკოპოსად იყო გამიზნული, ანტიოქიას წარგზავნეს პატრიარქთან სათანადო წერილით და თავის მართლებით, რომ თავდაპირველად, ნინოს მიერ ქარაღის მოქცევის დროს, სპარსთა და ბერძენთა შორის არსებული შფოთვის გამო „ვერ მოაწიეს საქმე ესე ჯერისაებრ სჯულისა“ და ეპისკოპოსნი ქართლში კონსტანტინოპოლით იყვნენ წარგზავნილნი, მაგრამ მათ კარგად იციან, რომ „ქართლი და აღმოსავლეთი და ჩრდილო მაგის (ანტიოქიის, მ. ლ.) წმიდისა საყდრისანი არიან“. ამიტომ ახლა ისინი კანონის თანახმად მოქმედებენ და თხოვენ ანტიოქიის პატრიარქს,

რათა მან „ორნი ესე მათნი (ვახტანგის მიერ, მ. ლ.) თხოილნი (პეტრე და სამოელ, მ. ლ.) აკურთხენ, სხუანი თორმეტნი ვინცა-ვინ შენ გენებოს, იგინი აკურთხენ და ჩუენდა წარმოვიდნენ, რათა ჩუენ ნიქითა და სავმრითა ყოელითა განუტევენთ“⁵. თუ ჭუანჭერის ეს ცნობა სანდოა, მაშინ ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ქართლში კათალიკოსობის დაწესების საკითხი მაშინ წყდება კონსტანტინოპოლში, როდესაც კონსტანტინოპოლის პატრიარქი, იმპერატორი და ანტიოქიის პატრიარქი მრწამსის საკითხში ერთ პოზიციაზე დგანან და ქართლის მეფის მიერ კათალიკოსად შერჩეულ კანდიდატს კონსტანტინოპოლიდან ანტიოქიაში აგზავნიან საკურთხებლად და იქ ნაკურთხს შემდეგ კონსტანტინოპოლიდან სათანადო „ნიქითა და სავმრით“ აღკურვილს ქართლში ისტუმრებენ. აღნიშნული გარემოება ზოგიერთ საკითხზე დაფიქრების საფუძველს იძლევა. მიუხედავად 451 წლის ქალკედონის კრების გადაწყვეტილებისა, ბიზანტიის იმპერიაში V საუკუნის მეორე ნახევარში მონოფიზიტები შემტევ ძალას წარმოადგენდნენ და აგრძელებდნენ ბრძოლას. 474 წელს ტახტზე ასული ზინონი, მიუხედავად მონოფიზიტებისადმი პირადი სიმპათიებისა, აგრძელებდა მისი წინამორბედის ლეონ I კურსს და მხარს დიოფიზიტებს უჭერდა. 475 წლის 9 იანვარს ზინონი ჩამოაგდეს და ტახტი დროებით ვასილისკმა დაიკავა, რომელმაც გადააფასა მონოფიზიტთა შესაძლებლობანი და მათი მიმხრობის მიზნით აშკარად დაიკავა მონოფიზიტთა მხარე. საქმე იქამდე მივიდა, რომ გამოიცა ბრძანება ქალკედონის საეკლესიო კრების დადგენილების გასაუქმებლად. მაგრამ იფეთქა აჯანყებამ და 476 წლის აგვისტოში ტახტი ისევ ზინონმა დაიკავა. უალრესად მძიმე მდგომარეობა შეიქმნა იმპერიაში. გამწვავდა ბრძოლა მონოფიზიტებსა და დიოფიზიტებს შორის. ალექსანდრიასა და ანტიოქიაში გამუდმებული შფოთი იყო. იმპერიას საფრთხე ემუქრებოდა გარედან, კონსტანტინოპოლის კედლებთან გერმანელები იდგნენ. იმპერატორმა ზინონმა და პატრიარქმა აკაკიუსმა კომპრომისული კურსი შეიმუშავეს და 482 წელს „ჰენოტიკონი“ (ორივე მიმდინარეობის გაერთიანება-შეროგება) გამოაცხადეს⁶. ჩვენთვის არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რეალურად რა მოჰყვა ამ „ჰენოტიკონს“ იმპერიისათვის. ამჯერად ჩვენ გვსურს მივაქციოთ ყურადღება იმ ფაქტს, რომ 472—482 წლები, როდესაც უნდა გატარებულიყო ქართლის ეკლესიის რეფორმა, ის პერიოდი, როდესაც აღმოსავლეთის პროვინციებისა და, კერძოდ, ანტიოქიის პოზიციები იმპერიაში ძლიერია და იმპერატორი და კონსტანტინოპოლის პატრიარქი იძულებული არიან ანგარიში გაუწიონ ანტიოქიას.

ამიტომ იმპერატორი და პატრიარქი არ ამწვავებენ ანტიოქიასთან საკითხს ქართლის გამო, და მართლაც თავიდანვე ანტიოქიის სამწყსო იყო ქართლი თუ არა, ანგარიშს უწევენ უკვე ისტორიულად არსებულ პრეტენზიებს და ქართლის მომავალ კათალიკოსს დასამტკიცებლად იქ გზავნიან. როდესაც ივ. ჭავჭავაძის შვილი გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ ვახტანგ გორგასალი მონოფიზიტობით დაუპირისპირდა მართლმორწმუნე მიქაელს, ის ვარაუდობდა, რომ ანტიოქიაში კურთხევა შეიძლებოდა პატრიარქად მონოფიზიტი პეტრე ფულონის ყოფნის დროს მომხდარიყო. ივ. ჭავჭავაძის მიერ გაზიარებული ქრონოლოგიის თანახმად პეტრე ფულონი პატრიარქად სამკურ იყო — 471, 475—478 წლებში და 485—488 წლებში. ამდენად ქართლის ეკლესიის რეფორმა ივ. ჭავჭავაძის თვალსაზრისით პეტრე ფულონის მეორედ პატრიარქობის დროს შეიძლებოდა გატარებულყო⁷. ამჟამად დაზუსტებულია პეტრე ფულონის მეორედ პატრიარქობის წლები და მიღებულია არა 475—478, არამედ 475 წ. იანვარი—476 წლის აგვისტო, და ამასთან დაკავშირებით ეკვიის ქვეშა დაყენებული ივ. ჭავჭავაძის ეს მოსაზრება⁸.

472—482 წლებში ქართლის ეკლესიის მესვეურთა მონოფიზიტურ საფუძველზე კურთხევა, კონსტანტინოპოლისა და ანტიოქიის თანხმობის პრობლემაში, მხოლოდ 475 წ. I—476 წ. VIII. იმპერატორ ვასილესკისა და ანტიოქიის პატრიარქ პეტრე ფულონის დროს შეიძლებოდა მომხდარიყო, ხოლო დანარჩენი დრო, მიუხედავად შეწირიგებლური კურსისა, მაინც დიოფიზიტობის უნდა ჰქონოდა უპირატესობა. ასე რომ, თუ რეორგანიზაცია მაინცდამაინც ამ მოკლე ხანში არ მომხდარა (475, I—476, VIII), რის მიმართ ეკვი ჩვენც მართებულად გვეჩვენება, მაშინ შეიძლება გავიზიაროთ მოსაზრება ვახტანგ მეფის პროდიოფიზიტური კურსის შესახებ, რაც სიმონ ჭანაშიას მიერ ლოგიკურად არის დასაბუთებული და ახსნილი ვახტანგ გორგასალის პრობიზანტიური პოლიტიკით.

საკითხის ამგვარი გადაწყვეტა რიგ სიძნელეებს აწყდება. მთავარი სიძნელე მაინც იმაშია, რომ ქართული წყაროები არაფერს ამბობენ მეფე-მთავარეპისკოპოსის დაპირისპირებაში მრწაშის შესახებ და ქართული საისტორიო ტრადიცია მიქაელ მთავარეპისკოპოსს მართლმორწმუნე მართლმადიდებლობის დამცველად თვლის.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ იმპერიაში მეტ-ნაკლებად შემრიგებლური რელიგიური პოლიტიკის ვითარებაში, ქართული წყაროები შეიძლება შეგნებულად არიდებენ თავს ამ საკითხს. მათთვის მთავარი ის დიდი შეურაცხყოფაა, რომელიც მიაყენა მეფეს

მთავარეპისკოპოსმა (რატომ?), რითაც ფაქტიურად დაგვირგვინდა კონფლიქტი. იმპერიაში ასეთი გართულებული კონფესიური ბრძოლის პირობებში ქართლი ამ ბრძოლის გარეშე, მაყურებლად ვერ დარჩებოდა. პრობიზანტიური საგარეო პოლიტიკის პირობებში ქართლის მეფე სარწმუნოების საკითხშიც კერძო იმპერიაზე აღებდა. შეიძლება ქართლის მეფე ამ დროის ბიზანტიაში არსებულ შემრიგებლურ პოლიტიკას უჭერდა მხარს? მეფესა და მთავარეპისკოპოსს შორის თანხმობის არსებობის პირობებში ლიგიკური იყო ვახტანგს კათალიკოსად მთავარეპისკოპოსი აღეზევებინა. ნიშანდობლივია სიტყვები, რომლითაც, ვახტანგის ისტორიკოსის თანახმად, კონსტანტინეპოლის პატრიარქი მიმართავს მიქაელს: „ვინათგან დაითხია სისხლი შენ მიერ ქუეყანასა ზედა, არღარა ღირს ხარ შენ ეპისკოპოსად, და კადრებისათვის მეფისა თანაგაც შენ სიკუდილი“⁹. მიქაელი სისხლის დათხევისა და მეფის შეურაცხყოფისათვის ისჯება. ამ კონფლიქტთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ერთი გარემოება. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს შატბერდული ნუსხა წერს: ეპისკოპოსმა „მიამთხვა ფერჯი პირსა მეფისასა ვახტანგ“¹⁰. ხოლო პელიშური უმატებს: „მიამთხვა ფერჯი გორგასალსა რომლისათვის მიზეზისათვის, და განძო ეკლესიისაგან. მაშინ მეფე აღივსო გულისწყრომითა ზრავლითა და ექცა ფერი პირისა მისისაჲ და და განიზრახვიდა მრავალთა ბოროტთა დამხობად ქრისტიანობისა“ (ძეგლები, 1,93). ვახტანგ გორგასალის ისტორიკოსის თანახმად კი განრისხებული მთავარეპისკოპოსი მეფეს ეუბნება: „შენ დაგიტევებიეს ქრისტე და ცეცხლსა ესავ“ (ქართლის ცხოვრება 1,196). როგორც ვხედავთ ორივე წყაროში აიის მინიშნება მეფის მიერ რჯულის გამოცვლაზე. გადაჭრით რაიწეს თქმა ძნელია, მაგრამ ირანში ყოფნის დროს მეფის მიერ იძულებით და მხოლოდ ფორმალურად რჯულის გამოცვლის შესაძლებლობა გამოიციხული არ უნდა იყოს. ვახტანგ მეფე სამშობლოში უნდა დაბრუნებულიყო, რათა თავისი დიდი გეგმები განეხორციელებინა. ასევე გარეგნულად და იძულებით მიიღეს მახდენობა ვარდან და ვაჰან მამიკონიანებმა, რომელნიც შემდეგ ირანელთ წინააღმდეგ ბრძოლას ხელმძღვანელობდნენ. როგორც აღვნიშნეთ, ამას არც თანავეღროვნე და არც ისტორია ეწიასა და რჯულის ღალატად არ თვლის.

ქართლის მეფემ გაატარა საეკლესიო რეფორმა და იმპერიის ხელისუფლებამ მას ამ საქმეში მხარი დაუჭირა. იმპერიის ხელისუფლება ქართლის მეფეს პირველ რიგში იმიტომ უჭერს მხარს, რომ

ვახტანგ გორგასალი არის ამ დროს მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურა, რომლის მხარდაჭერას ბიზანტია-ირანის გართულებული ურთიერთობის პირობებში თითქმის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმპერიის პოზიციებისათვის ამიერკავკასიაში. ამდენად ჩვენ არ გამოვრაცხავთ მრწამსის პრობლემას ამ კონფლიქტში, და ამასთანავე მიგვაჩნია, რომ ვახტანგის მიერ საეკლესიო რეფორმის გატარების საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება საკითხის პოლიტიკურ მხარეს. სათანადო ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ კონსტანტინეპოლი და ანტიოქია არ ეწინააღმდეგებიან ქართული ეკლესიის თვითმყოფობის პრეტენზიებს. აღნიშნული გარემოება, დოგმატურ უფლებასთან ერთად, როგორც აღვნიშნეთ, მიუთითებს ქართლის სამეფოს პოლიტიკურ პოტენციალზე და როლზე.

ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა ერთი გარემოება. ორივე ქართული წყარო, რომელიც ამ საკითხზე მოგვითხრობს მიუთითებს, რომ მეფემ მოციქული კონსტანტინეპოლს გაგზავნა. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ავტორი წერს: „მეფემან (ვახტანგ, მ. ლ.) წარავლინა მოციქული საბერძნეთად და ითხოვა მეფისაგან (ბიზანტიის იმპერატორისაგან, მ. ლ.) და პატრეაქისაგან კათალიკოზი“¹⁰. ამ ცნობას მთლიანად ეთანხმება ჯუანშერი, რომელიც აღნიშნავს, რომ ქართლის მეფემ დამნაშავე მიქაელი გაგზავნა „პატრიარქისა კონსტანტინეპოლედ“¹¹. მიქაელს კონსტანტინოპოლის პატრიარქი სჯის. ჯუანშერის თანახმად, კათალიკოსად და ეპისკოპოსებად დასამტკიცებელთ კონსტანტინოპოლის პატრიარქი და იმპერატორი ანტიოქიას გზავნიან და წერენ: „პირველად, დასაბამსა ქართლის მოქცევისასა დედაკაცისა პრომაელისა ნინოს მიერ, განივლინა აქათ ეპისკოპოსი, რამეთუ შორის სპარსთა და ბერძენთა შფოთი იყო, და მით ვერ მოაწიეს საქმე ესე ჭერისაებრ სჯულისა: რამეთუ ჩუენ უწყით, ვითარმედ ქართლი და აღმოსავლეთი და ჩრდილო მაგის წმიდისა საყდრისანი არიან, ვითარცა განაწესეს მოციქულთა. სახარებასა შინა, რომელ არს უწინარესობა“¹². თუ ჯუანშერის ეს ცნობა სინამდვილეს ასახავს, მაშინ უნდა გავიზიაროთ თვალსაზრისი, რომ ქართლის ეკლესია ანტიოქიას ექვემდებარებოდა იერარქიულად. თუმცა ამას მხარს არ უნდა უჭერდეს უძველესი ეროვნული წყარო, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, სადაც ამ მოვლენებთან დაკავშირებით ანტიოქია არ არის მოხსენიებული და საკითხი კონსტანტინოპოლში წყდება¹³. ასეთ ვითარებაში მოიხსნება ანტიოქიის ამ საქმეში ჩარევის საკითხი და მრწამსის პრობლემაც დიოფიზიტიზმის სასარგებლოდ გადაწყდება.

არც ის შესაძლებლობა გამოიციხული, რომ კონსტანტინოპოლს მიმართავენ როგორც უპირველესს მსოფლიო პატრიარქთა შორის, ხოლო ანტიოქიის ჩარევას განაპირობებს ქართლის ეკლესიის იერარქიული დაქვემდებარება ანტიოქიისადმი. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მრავალი სადავო პრობლემა იჩენს თავს: ქართული ეკლესიის სტრუქტურის, მისი იერარქიისა და სხვა საკითხები, რომელთა შესახებ მსჯელობა ამჟამიდელ ჩვენს მიზანს სცილდება.

უდავოა ერთი რამ, ქართლის მეფის მოთხოვნას ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მინიჭების შესახებ კანონიკური საფუძველი უდავოდ ჰქონდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს საკითხი ვერ დადგებოდა. მაგრამ კონსტანტინოპოლის საპატრიარქო ამაზე თანხმობას იმიტომ აცხადებდა, რომ იძულებული იყო ანგარიში გაეწია ქართლის სამეფოსათვის. V ს. მეორე ნახევარში მახლობელი აღმოსავლეთის ქრისტიანულ სამყაროში ქართლი გამოდიოდა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ძალად, რომელსაც შეეძლო ქრისტიანობის პოზიციების დაცვა. კონსტანტინეპოლი იძულებული იყო ანგარიში გაეწია ამ ფაქტისათვის და დაეკმაყოფილებინა ქართლის მეფის მოთხოვნა, კათალიკოსობის დაწესებას და ავტოკეფალიის მოპოვებას კანონიკურ საფუძველთან ერთად რეალური პოლიტიკური პოტენციალი ესაჭიროებოდა. მეფე ვახტანგ გორგასალმა კარგად შეაფასა მახლობელ აღმოსავლეთში არსებული ვითარება და ის მაქსიმალურად გამოიყენა ქართული სახელმწიფოს პოზიციების გაძლიერებისა და განმტკიცებისათვის.

ქართლის მეფის მოთხოვნით ქართლში თოთხმეტი სასულიერო პირი მოვიდა, რომელთაგან პეტრე კათალიკოსად დასვეს, სამოელ მცხეთის ეპისკოპოსად, „ერთი ეპისკოპოსად კლარჯეთს, ეკლესიასა ახიზისასა; ერთი არტანს ერუშეთს; ერთი ჭავჭავთს წუნდას; ერთი მანგლისს; ერთი ბოლნისს; ერთი რუსთავს; ერთი ნინოწმინდას, უჯარმის კარსა, რომელი გორგასალსა აღეშინა, ერთი ჳერემს, მისსავე აღშენებულსა, და მუნ ქმნა ქალაქი ერთი შორის ორთავე ეკლესიათა, რომელი-იგი მანვე აღაშენა; ერთი ჩელეთს, რომელი სოფელსა შუა აღაშენა; ერთი ხორნაბუჯს და ერთი აგარაკს, რომელ არს ხუნანას გამართებით.

შემდგომად მისსა აღაშენა ეკლესია ნიქოზისა საგზებელსა თანა ცეცხლისასა და დასუა ეპისკოპოსი“¹⁴.

როგორც აღნიშნულია, ამ ეპისკოპოსების დადგინება არ უნდა ნიშნავდეს ყველგან ახალი საეპისკოპოსო კათედრების დაარსებას. ამათგან ნაწილი მართლაც ახლად დაარსებულა. ასეთი უნდა იყოს ნინოწმინდის კათედრა, ჳერემის, ნიქოზის, ხოლო რიგ შემთხვევებში

ქველი ეპისკოპოსები, რომელნიც ალბათ მიქელის დასიანი იყვნენ, ახლებითაა შეცვლილი. უდავოა, რომ ამათ გარდა სხვა საეპისკოპოსოებიც არსებობდა ქართლის სამეფოში, მაგრამ ჭუნაშვირის სიაში ისინი ვერ მოხვდნენ, რაღვან, ჩანს, ვახტანგს აქ ცვლილება არ მოუხდენია.

ნიშანდობლივია ისტორიკოსის საგანგებო მითითება, რომ ვახტანგ მეფემ ნიქოზის ქრისტიანული ტაძარი ცეცხლის საგზებლის ადგილას ააგო და იქ ეპისკოპოსი დაადგინა. ჩვენში, ისევე როგორც მთელს ქრისტიანულ სამყაროში, ქრისტიანული ეკლესიების ძველი სალოცავების ადგილზე დაფუძნება სრულიად გარკვეულ მიზანს ემსახურებოდა. ხალხი ძნელად თმობდა თავის ტრადიციულ სალოცავ ადგილებს და ასეთი გზა აადვილებდა ახალი კულტის შედარებით უმტკივნეულოდ დამკვიდრებას.

ჭუნაშვირის მიერ ჩამოთვლილი საეპისკოპოსოები განლაგებულია: კლარჯეთში (ახიზის), არტაანს (ერუშეთის), ჭავჭავთაში (წუნდის), ქვემო ქართლში (მანგლისი და ბოლნისი), კუხეთში (რუსთაველი), სუჯეთში (ნინოწმინდა), ჰერეთში (ჰერეთი), კახეთში (ჩელეთი), კამბეჩანში (ხორნაბუჯი), გარდაბანში (აგარაკი), შიდა ქართლში (მცხეთა, ნიქოზი).

ჭუნაშვირის ამ სიის, ეპისტოლეთა წიგნის და სხვა მონაცემთა საფუძველზე დგინდება, რომ V საუკუნის დასასრულისათვის ქართლის სამეფო კლარჯეთიდან ჰერეთამდე საეპისკოპოსოებად იყო დაყოფილი. ეს საეპისკოპოსოები ახლად დადგენილი კათალიკოსის საწყისოს შეადგენდნენ. საეპისკოპოსოები, როგორც ცნობილია, დიდ ადმინისტრაციულ ერთეულებს, საერისთავოებს თანაემთხვეოდნენ.

ვახტანგის ისტორიკოსის ცნობით, V საუკუნის მეორე ნახევრის ქართლის სამეფოში დასავლეთ საქართველოც შემოდოდა პოლიტიკურ-ადმინისტრაციულად რამდენიმე საერისთავოს სახით, მაგრამ ამავე ხანის მცხეთის ტანტისადმი დაქვემდებარებულ საეპისკოპოსოთა ნუსხაში, დასავლეთ საქართველოს არც ერთი ეპარქია მოხსენიებული არ არის. აღნიშნული გარემოება დასავლურ-აღმოსავლური საქართველოს საეკლესიო ურთიერთობის საკითხს აყენებს.

ქართლის პოლიტიკური ჰეგემონობის დამყარებას, V საუკუნის მეორე ნახევრის ეგრისში, არ არის სავალდებულო, რომ ეგრისის ეკლესიის მცხეთის კათალიკოსისადმი დაქვემდებარება მოჰყოლოდა. კონსტანტინოპოლის საპატრიარქო ადვილად არ თმობდა თავის პოზიციებს და არსებულ ვითარებაში ეს საკითხი ალბათ ვერც დადგე-

ბოდა. დასავლურ და აღმოსავლურქართული ეკლესიების ასეთი ერთიანობის დამყარებას მკვლევართა ნაწილი VII საუკუნის დასაწყისისათვის ვარაუდობს, ნაწილი უფრო გვიან—IX—X საუკუნეებში¹⁵. თუმცა ზოგს არც ის მიაჩნია გამორიცხულად, რომ „ვახტანგ გორგასალს დასავლეთ საქართველო, ან, ყოველ შემთხვევაში მისი ნაწილი, ეკლესიურადაც ქართლის კათალიკოსისათვის“ დაქვემდებარებინა¹⁶.

V საუკუნის მეორე ნახევარში ვახტანგ გორგასალის მიერ ეკლესიის რეორგანიზაციის შედეგად გატარებულმა ღონისძიებამ განამტკიცა სამეფო ხელისუფლების გავლენა ეკლესიაზე, ხოლო საეპისკოპოსოთა ქსელის გაფართოებამ და მეფის მიერ ეპისკოპოსებად თავისი კანდიდატების დაყენებამ ხელი შეუწყო ქართლის სამეფოს პოლიტიკური ხელისუფლების განმტკიცებას კახეთ-ჰერეთსა და ჩრდილო კავკასიაშიც, დვალეთზე, ოსეთზე, დურძუკეთზე, დიდოეთსა და წუქეთზე, ჰერეთ-კამბეჩანში. კავკასიონის მთიანეთში ქრისტიანობის ქართლიდან გავრცელებას და იქ ქართული ეპარქიების შექმნას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საერთოდ ამ მხარეთა ქართულ კულტურულ სამყაროში შემოყვანის თვალსაზრისით, რადგან აღმოსავლეთ საქართველოში ქრისტიანული ეკლესიის ენა თავიდანვე ქართული იყო¹⁷.

ახალი ეპარქიების დაარსება დიდ საეკლესიო მშენებლობას გულსხმობს, ახალი ტაძრების მშენებლობა იწყება დიდი მასშტაბით. რიგ შემთხვევებში საერთოდ პირველად იგებოდა ქრისტიანული ტაძრები, მაგ., ნეკრესში, ნიქოზში, ხშირად კი, ეტყობა, არსებული მცირე ეკლესიების ადგილას შედარებით უფრო დიდ ეკლესიებს აგებდნენ. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მცხეთის სვეტიცხოველის კათედრალის მშენებლობას, რაც აქ კათალიკოსის რეზიდენციის დამკვიდრებასთანაა დაკავშირებული.

როგორც ცნობილია, პირველი ქრისტიანული სამლოცველო ქართლში სწორედ აქ იქნა აგებული ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებასთან ერთად. მაგრამ პირველი ეკლესიები მცირე ზომისანი იყო, ისინი მინიატურულ სამლოცველოებს წარმოადგენდნენ და დიდი ზომის ეკლესიების მშენებლობა უფრო გვიან იწყება. ვახტანგ მეფემ მცხეთას „აღაშენა ეკლესია მოციქულთა სუეტი ცხოველი“¹⁸. ფრიად მნიშვნელოვანი უნდა იყოს ის გარემოება, რომ ამ პერიოდში აქ დიდი კათედრალური ტაძრის მშენებლობა სადღეისოდ კარგადაა დადასტურებული არქეოლოგიური შესწავლის შედეგად. ვახტანგის მიერ დიდი სამშენებლო სამუშაოების წარმოების შესახებ ჭუანჭერთან დაცული ცნობები რიგ შემთხვევებში დას-

ტურდება (უჯარმა, ნინოწმინდა, ნეკრესი...). აღნიშნული გარემოება, სხვა მონაცემებთან ერთად, მნიშვნელოვანი არგუმენტია ჭუანშერის როგორც წყაროს მნიშვნელობის საკითხზე მსჯელობისათვის.

ამგვარად, ვახტანგ გორგასალის ეპოქაში ქართლის ეკლესიამ დამოუკიდებლობა მოიპოვა, ეკლესიის სათავეში კათალიკოსად და ეპისკოპოსებად მეფემ თავისი პოლიტიკის მომხრე პირები დააყენა და ეკლესია სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალიზაციისა და ქართლის პოლიტიკური და კულტურული გავლენის გავრცელების დიდ ეროვნულ იარაღად გამოიყენა. ქართული ეკლესიის მიერ ავტოკეფალობის მოპოვებას იმ გარემოებამაც შეუწყო ხელი, რომ V საუკუნის მეორე ნახევარში ქრისტიანობას ამიერკავკასიაში საფრთხე ექმნებოდა. სასანიანთა ირანის შემოტევა მისი იდეოლოგიითა და ცეცხლმსახურების პოზიციების გაძლიერება კონსტანტინოპოლისათვის სასურველს ხდიდა ირანს დაპირისპირებოდა ადგილობრივი ძალა..

§ 4. შრთიერთობა ირანთან

V ს. მეორე ნახევარში ქართლის სამეფო, როგორც აღნიშნულია, სასანიანთა ირანის ვასალი იყო. ქართლის მეფე სამეფო გვირგვინს („გვრგვინი ანთრაკოვანი“) ირანის შაპისაგან იღებდა, ქართლის მეფე სამხედრო ბეგარას უხდიდა ირანს. ის ვალდებული იყო სასანიანთა იმპერიის მომთაბარეთაგან დაცვის მიზნით გაემაგრებინა ქართლის საზღვრებში შემავალი ჩრდილო კავკასიის გადასასვლელები, მონაწილეობა მიეღო თავისი ლაშქრით იმპერიის სამხედრო ოპერაციებში, გადაეხადა იმპერიისათვის ხარკი.

ირანის პოლიტიკური ბატონობისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა სასანიანთა იდეოლოგიის — მაზდეანობის პოზიციებს ქართლში. V ს. შუა წლებში მაზდეანობას აქ საკმაოდ ძლიერი პოზიციები ეკავა, ფაქტიურად ის ქრისტიანობის გვერდით არსებობდა, როგორც კანონით დაშვებული რელიგია. V ს. პირველ ნახევარში „მოგუნი მოგუთას მოგობდეს ცეცხლისა მსახურებასა ზედა“¹.

ვახტანგის გამეფების უამს, როდესაც მისმა დედამ, დედოფალმა საგდუხტმა შვილისათვის ტახტის შენარჩუნებისა და მშვიდობის დამყარების მიზნით თავისი მამის, ირანის დიდმოხელის, რანის ერისთავის ბარზბოდის მეშვეობით დიპლომატიური მოლაპარაკება აწარმოვა შაპის კართან, სასანიანთა ხელისუფლებამ შეთანხმების მთავარ პირობად ცეცხლმსახურებისათვის ქრისტიანობის თანასწორი უფლებები მოითხოვა. „იძულებით არცა-ვის ქართველსა სხუასა დაგაგ-

დებინებ სჯულსა ქრისტესსა არამედ მივგზავნე ცეცხლისმსახურნი ქალაქსა თქუენსა და იყენენ მუნ ეპისკოპოსნი მათ ზედა სჯულსა ჩუენისანი“. ირანის ხელისუფლება ფაქტიურად მაზდენანობის პროპაგანდის თავისუფლებას მოითხოვდა „ვინცა ქართველთა ნებითა თვისითა აღირჩევედეს სჯულსა ჩუენსა, ნუ აყენებთ“. მიღწეული შეთანხმების თანახმად „ბარზაბოდ წარმოგზავნა ცეცხლის მსახურნი მცხეთას და მათ ზედა ეპისკოპოსად ბინქარან, და დასხდეს მოგუთას“².

ამგვარად, მოგვთას, მცხეთის ერთ-ერთ უბანში ზის „ბინქარან ეპისკოპოსი“ რომელსაც აქ თავისი მსახურნი ჰყავს და ეს ბინქარან ეწევა თავისი რელიგიის პროპაგანდას. „ბინქარან ეპისკოპოსი ცეცხლის-მსახურთა ასწავებდა ქართველთა სჯულსა თვისსა“ და მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში ამ პროპაგანდას შედეგიც ჰქონდა „შერიოა ქართლს წვრილსა ერსა ცეცხლის-მსახურება“³. ქართლის არც საერო (მეფე) და არც საეკლესიო (ქრისტიანი ეპისკოპოსი) ხელისუფლებას ამის წინააღმდეგ ბრძოლის უფლება არა აქვს.

არსებობს ვარაუდი, რომ ჯუანშერის ეს „ბინქარან ეპისკოპოსი“ უნდა იყოს „ქართლის მოქცევის“ გლონოქორ მთავარეპისკოპოსი, რომელიც „ერისთავადცა იყო ბარზაბოდ პიტიახშისაგან ქართლსა და ერეთს“⁴.

მიუხედავად იმისა, მართებულია თუ არა ვარაუდი ბინქარანისა და გლონოქორის იგივეობის შესახებ (რაც თითქოს შესაძლებელი უნდა იყოს), ფრიად ნიშანდობლივი ფაქტია ცნობა „ცეცხლმსახურთა ეპისკოპოსისათვის“ მაღალი საერო თანამდებობის შეთავსების შესახებ. აღნიშნული გარემოება ქართლში „ცეცხლმსახური ეპისკოპოსის“ პოზიციების გაძლიერებას უნდა ისახავდეს მიზნად. „ცეცხლმსახურ ეპისკოპოს“ ბინქარანს კი ქართლის სამეფოში ქრისტიანი მთავარეპისკოპოსის ტოლი მდგომარეობა უკავია, როდესაც მეფე ვახტანგი სამეფო საბჭოს იწვევს დიდი მნიშვნელობის სახელმწიფო საკითხის გადასაწყვეტად და დაჯდა მეფე მაღალ საყდარზე (ტახტზე) მასთან ერთად „ჯუანშერ სპასპეტი და ორნივე ეპისკოპოსნი (ე. ი. ქრისტიანი და ცეცხლმსახური, მ. ლ.) დასხდეს საყდარსვე“⁵.

მეფე ვახტანგი ფრიად შეწუხებულია „რამეთუ შემორეოდა ქართლს ცეცხლისმსახურება“, მაგრამ „მძლავრებისაგან სპარსთასა ვერ იკადრებდა გამოცხადებად“⁶.

რიგი წყაროების, კერძოდ, იაკობ ხუცესის „შუშანიკის მარტვილობის“ და ანონიმი ავტორის „რაქდენის მარტვილობის“ საფუძველზე შეიძლება შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ ირანელები ქართლში ქრისტიანობას სდევნიან და ხალხს ძალით აღებინებენ თავის სარწმუნო-

ნობას. მაგრამ პირველ რიგში გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ შუშანიკი ირანელებს არ უწამებიათ და ისინი მას ვერც აწამებდნენ. ყველაფერი, რაც მოხდა, არის ვარსკენსა და შუშანიკს შორის ზომხდარი კონფლიქტის შედეგი. შუშანიკი წინააღმდეგ ვარსკენს იმ ზარახვებს, რომელთა განხორციელების პირობა მან შაჰს მისცა, რათა უზრუნველყო თავისი აღზევება პოლიტიკურ სარბიელზე და განემტკიცებინა თავისი მდგომარეობა, როგორც სასანიანთა სახელმწიფოს დიდმოხელისა. ასე რომ, შუშანიკის მარტვილობა არ შეიძლება გავიგოთ როგორც ქრისტიანთა დევნა ამ დროის ქართლში. და რომ ქრისტიანებს ამ დროს ქართლში არავინ არ სდევნის, ამის პირველი და საუკეთესო დადასტურებაა სწორედ იაკობ ხუცესის „შუშანიკის მარტვილობა“. ვარსკენის სამფლობელოშიც კი, ქვემო ქართლის საპიტიახშოში, რომელიც ამ დროს მჭიდროდაა დაკავშირებული ირანთან, ქრისტიანობა ოფიციალურად აღიარებული, დაშვებული, კანონიერი სარწმუნოებაა.

ქრისტიანობისათვის წამების საინტერესო ფაქტია დადასტურებული ვახტანგ გორგასალის ეპოქის ქართლში უცნობი აგიოგრაფის თხზულებაში „რაჟდენ პირველმოწამის მარტვილობა“.

რაჟდენის მოღვაწეობისა და მისი წამების შესახებ მოგვითხრობს აგრეთვე ვახტანგ გორგასალის ისტორიკოსი. რაჟდენი მეფე ვახტანგ გორგასალის პირველი ცოლის, ირანის შაჰის ასულის მამამძებე იყო. ის ქართლში მოჰყვა დედოფალს. აქ მან უარყო თავისი თავდაპირველი რწმენა და მიიღო ქრისტიანობა. როდესაც ქართლში ირანელები შემოვიდნენ. ის ქართლის მეფის ვახტანგის ლაშქარში იბრძოდა თავისი თანამემამულეების წინააღმდეგ. ირანელებმა წეიპყრეს და ქრისტიანობის უარყოფა მოსთხოვეს. „ხოლო წმინდამან აღირჩია წარუვალი იგი დიდებაი და იწამა ქრისტესთვის“. რაჟდენი ნიქოზს დაკრძალეს, სადაც ცეცხლის საგზებლის ადგილას აღაშენა ვახტანგმა ეკლესია და დასვა ეპისკოპოსი.

ვახტანგს უჯარმაში წმინდა რაჟდენის სახელობის ეკლესიაც აუშენებია? მართალია, რაჟდენი ირანელებმა აწამეს ქრისტიანობისათვის, მაგრამ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მას სჯიან როგორც რენეგატს, მამული რჯულისა და სამშობლოს მოღალატეს, რომელიც იარაღით ხელში იბრძოდა თავისი თანამემამულეების წინააღმდეგ, თავის რჯულზე დაბრუნებას შემთხვევაში მას არ დასჯიდნენ.

ამდენად, შუშანიკისა და რაჟდენის მარტვილობა არ იძლევა საფუძველს განზოგადებული მსჯელობისათვის V საუკუნის მეორე ნა-

ხვერის ქართლში ქრისტიანობის დევნისა და ქრისტეს სჯულისათვის წამების შესახებ. ორივე შემთხვევა სრულიად კონკრეტული ვითარებითაა განპირობებული.

ამგვარად, ქრისტიანობას და ცეცხლთაყვანისმცემლობას ამ დროს ქართლში ერთნაირი მდგომარეობა აქვთ, ორივე კანონით დაშვებული რელიგიაა და არც ერთის დევნა არ შეიძლება. ქრისტიანი და „ცეცხლმსახური ეპისკოპოსნი“ სამეფო კარზე ოფიციალურად ერთნაირი პატივით სარგებლობენ.

ამასთანავე გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ირანის ხელისუფლება ადგილობრივ მმართველ წრეებში პოლიტიკური ბატონობის დასაყრდენის უზრუნველყოფის მიზნით ყოველ ღონეს ხმარობს, რათა თავისი იდეოლოგია შეიტანოს ქართველ, სომეხ და ალბანელ მთავრებში და პოლიტიკური ზემოქმედების, თანამდებობა-პატივის ბოძებისა თუ სხვა გზებით ცდილობს მათ გამაზღვანებას.

ვახტანგ გორგასალის დროს მნიშვნელოვანი ღონისძიებანი გატარდა ქართლის სამეფოში: სამეფოს შემოუერთდა დიდი მიწა-წყალი, შეიქმნა საფორტიფიკაციო ნაგებობათა მთელი სისტემა ქართლის სამეფოს საზღვრების დაცვა-გამაგრების მიზნით.

ყველა ეს ღონისძიება ქართლის მეფემ გაატარა როგორც ირანის ვასალმა და ქვეშევრდომმა, და რიგ შემთხვევაში ირანის დახმარება-მხარდაჭერაც გამოიყენა. ამის შემდეგ დადგა ირანთან დამოკიდებულების საკითხი. ქართლის მეფე აშკარად იწყებს საშხადისს ირანის წინააღმდეგ საბრძოლველად და პირველ რიგში უტყვის ირანის იდეოლოგიურ საყრდენს ქართლში—ცეცხლმსახურებას. ვახტანგ მეფე „ამაგრებდა ციხეთა და ქალაქთა, და ჰკანშიდა მკედართა და განამზადებდა ბრძოლად სპარსთა. მაშინ შეაგდო საპყრობილესა შინა ბინქარან მაცდური, ეპისკოპოსი ცეცხლის მსახურთა, და მოსრ-ნა და განასხნა ყოველნი ცეცხლის-მსახ-რნი საზღვართაგან ქართლისათა“⁸.

სრულიად კანონზომიერია, რომ ირანელებთან შებმის წინ ქართლის მეფე სპობს ქართლში ირანელთა იდეოლოგიურ საყრდენს. ეს ეპიზოდი ემთხვევა იმ დროს, როდესაც, ვახტანგის ისტორიკოსის კონცეფციის თანახმად, ვახტანგ მეფემ დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა ბიზანტიის იმპერიასთან, დაინიშნა კეისრის ასულზე.

ირანის შაჰმა ქართლის მეფესა და იმპერატორს შორის მიღწეული შეთანხმება გაიგო ისე, „ვითარმედ მიიქცია ვახტანგ ბერძენთა“⁹. რამდენიმე წლის შემდეგ („შემდგომად სამისა წლისა“) ირანის შაჰი მოემართება ქართლში სალაშქროდ.

ქართლის მეფემ მოციქული გაგზავნა ბიზანტიას და იმპერიას

კარსმომდგარი მტრის წინააღმდეგ დახმარება სთხოვა. ამასთანავე შეუთვალა „უკეთუ ჩუენ გუძლოს, განძლიერდეს იგი და შემოვიდეს საზღვართა შენთა“¹⁰.

იმპერიამ დახმარება ვერ აღმოუჩინა. ვახტანგმა შეკრიბა თავისი ლაშქარი და მოემზადა მტრის დასახვედრად. „განძლიერნა ციხენი ქალაქისანი, და ურჩეულესი მბრძოლი ერისა მისისა ვითარ ასი ათასი და ასი ათასი ქვეითი იპყრა მის თანა, და დაებანაკა მათ დიღმით ვიდრე ქართლის კართამდე“¹¹.

ოთხი თვე გაგრძელდა ბრძოლა ირანელებთან. ბრძოლა უმთავრესად მცხეთა-არმაზსა და თბილისის მისაღვომებთან მიმდინარეობდა არაგვსა და მტკვარზე. ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია გადამწყვეტ გამარჯვებას. ოთხი თვის შემდეგ ქართლის მეფეს კეისრის მოციქული მოუვიდა ცნობით 80-ათასიანი დამხმარე ლაშქრის გამოგზავნის შესახებ. დამხმარე ლაშქარი ჭავჭავთს იყო მოსული.

ჩანს, არც ერთ მხარეს აღარ აწყობდა საომარი ოპერაციების გაგრძელება. შიდა ქართლში შემოსული ირანელები ქართულ მიწა-წყალს აჩანაგებდნენ: „რამეთუ ტფილისი სოფელი და კალაიცი მოოკრებულ იყო მაშინ“. ხანგრძლივად მტრის ტერიტორიაზე ყოფნამ ირანელებსაც დიდი ზარალი მიაყენა და „ვითარცა ცნა სპარსთა მეფემან ბერძენთა მოსვლა შეუელად მათდა, იწყო ზრახვად ვახტანგისა“. დაიწყო საზავო მოლაპარაკება. შეუამავლად ქართლის მეფესა და ირანის შაჰს შორის კეისრის დესპანი გამოდის.

ძნელია როგორც ხელალებით უარყოფა, ასევე უკრიტიკოდ მიღება ისტორიკოსის ცნობისა ირანის შაჰისა და ქართლის მეფეს შორის ურთიერთობაში ბიზანტიის ამგვარი ჩარევის შესახებ. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ როგორც საკითხის სპეციალურ ლიტერატურაში კარგადაა ცნობილი, V ს. მეორე ნახევარში სასანიანთა ირანსა და ბიზანტიის იმპერიას იმდენად გართულებული საგარეო და საშინაო მდგომარეობა აქვთ, რომ ერთმანეთს შორის კონფლიქტებს შეგნებულად ერიდებიან. მათ საერთო მტრის საფრთხეც აწუხებთ და საქმე იქამდეც მიდის, რომ ბიზანტიის იმპერატორი აქტიურად მონაწილეობს ჰეფთალებთან ტყვედ ჩავარდნილი შაჰის გამოსყიდვაში. ასე რომ, იმპერიის ჩარევა ირან-ქართლის ურთიერთობის მოგვარებაში შეუძლებელი არ უნდა ყოფილიყო.

ორივე მხარე დათმობაზე წავიდა. ქართლის მეფემ თავი ისევ ირანის ვასალად სცნო და მიიღო შაჰისყვან გვირგვინი. მას ისევ დაევალა სალაშქრო მოვალეობა. შაჰს ხარკი გაუგზავნა—„უძღვნა გორგასალმან მხევალი ათასი, მონა ხუთასი, სტავრა სკარამანგი ხუთასი,

ჯორი სამასი, ზროხა ოთხი ათასი, ცხვარი ათი ათასი“. მაგრამ მოითხოვა, რომ ქრისტიანობა ქართლში ხელშეუხებელი ყოფილიყო „იყოს ცეცხლი ღმერთად შენდა, და იყოს ღმერთად ჩუენდა ქრისტე“¹². რადგან ვახტანგის მეუღლე, შაჰის ასული გარდაცვლილი იყო და ქართლის მეფე უკვე დანიშნული იყო იმპერატორის ააულზე, ზავისა და ვასალობის სიმტკიცის პირობად შაჰმა ვახტანგს და მოსთხოვა ცოლად და ლაშქრით მონაწილეობა ირანის სანხედრო ოპერაციებში¹³.

ამგვარად, მოღვაწეობის ამ ეტაპზე ირანის ვასალი ქართლის მეფე დინასტიურად უნათესავდება სასანიანთა კარს, ყველა ვალდებულებას ვასალისას (სამხედრო ბეგარა, ზეკარების გაწავრება...) ისევე კისრულობს. მაგრამ, ამასთანავე, დიპლომატიურ-დინასტიურ კავშირს ამყარებს ბიზანტიის იმპერიასთან და, რაც მთავარია, გარკვეულ წარმატებებს აღწევს, მოითხოვს შაჰისაგან, რათა იყოს „ღმერთად ჩუენდა ქრისტე“, ე. ი. მღვთმარეობა მაზდეანობისა, რომელიც მას ქრისტიანობის ტოლ უფლებებს აძლევდა, ამოიკვეთა და ქართლში ამიერიდან აღარ არის „ეპისკოპოსი ცეცხლსახურთა“, ე. ი. ცეცხლთაყვანისმცემელთა სასულიერო მსახურნი და მათი ხელისუფალნი გაბეეებული არიან ქართლიდან.

ვახტანგის ისტორიკოსის თანახმად, ამის შემდეგ შაჰი ქართლის მეფეს, როგორც თავის ქვეშევრდობსა და ვასალს, სთხოვს შაჰის ლაშქართან ერთად ირანის მტრების წინააღმდეგ ლაშქრობაში მონაწილეობას.

შაჰი პეროზი (459—484) გამეფებულ ომს აწარმოებდა ჰეთთალებთან, რომელთაც V საუკუნის მეორე ნახევარში ძლიერი სახელმწიფო შექმნეს, დაიმორჩილეს თოხარისტანი და სოლდი. პეროზი ტყვედ ჩაუვარდა ჰეთთალებს და ბიზანტიის იმპერატორმა ზინონმა (474—491) ის გამოისყიდა. ამ დროს იმპერია მას ნაკლებ საშიშ მეტოქედ თვლიდა¹⁴. ჩანს, სწორედ ამ დროს, 474—6 წლებში იღებდა ვახტანგი მონაწილეობას სასანიანთა ბრძოლაში¹⁵ მათი მეტოქის ჰეთთალების წინააღმდეგ.

ქართლის მეფეს კარგად ჰქონდა შეგნებული ამ მოვალეობის მთელი სირთულე, ის მძიმე შედეგი, რაც მას შეიძლება მოჰყოლოდა, და ამიტომ სალაშქროდ გამგზავრების წინ მოაგვარა რიგი საკითხი. პირველ რიგში შეასრულა შაჰის მოთხოვნა და თავისი და მირანდუხტი შაჰს ცოლად გაუგზავნა, სამეფო გვირგვინი თავის ხუთი წლის მემკვიდრეს დაჩის დაადგა, ჩააბარა ის ერისთავებს, რომელთაც მისი ერთგულება დაავალა, წაიყვანა თან სამი ერისთავი — 6. მ. ლორთქიფანიძე

კლარჯეთის, წუნდის, ოძრხის, თავთავისი საერისთავო ლაშქრითა და სამეფო სპით (ჯუანშერის თანახმად, „ათი ათასი მკედლარი, ლაშქრისა მისისა დარჩეული“) და გაემგზავრა სალაშქროდ.

ვახტანგის ისტორიკოსის ჩვენებათა თანახმად, ამ ლაშქრობის დაწყებამდე ბიზანტიის იმპერატორმა (ჩანს, ზინონმა) თავისი მოხელის ანთიატოს ლეონის ხელით მიართვა შაჰს (პეროზს) „ძღუენი მიუწდომელი“, ვახტანგს „ნიჭი მიუწდომელი“ და გამოუგზავნა ლაშქრობაში მონაწილეობის მისაღებად ოცი ათასი მხედარი. თუ გავითვალისწინებთ იმპერატორ ზინონის დამოკიდებულებას ირან-პეფთალეების ურთიერთობის პრობლემისადმი, ჯუანშერის ცნობა აღმოსავლეთში სალაშქროდ პეროზისათვის დამხმარე ძალის გამოგზავნის შესახებ მთლად უსაფუძვლო არ უნდა იყოს¹⁶. ყოველ შემთხვევაში ფაქტია, რომ ჩვენი ისტორიკოსი ინფორმირებულია ბიზანტიის იმპერიის პოზიციის შესახებ ამ საკითხში.

ვახტანგ მეფე ამ ბრძოლაში იმპერიის დამხმარე ძალას, სომეხთა (რომელთაც ქართლის მსგავსად ირანის სამხედრო სამსახური მართებდათ) და ქართველთა მხედრობას სარდლობდა.

ირანმა მარცხი განიცადა. ქართლის მეფე სამშობლოში დაბრუნდა. მისი ინიციატივით 482 წელს იწყება აჯანყება ირანელთა წინააღმდეგ¹⁷. როგორც აღნიშნულია ქართულ ისტორიოგრაფიაში, ჯუანშერი ამ აჯანყების შესახებ არ გვაწვდის ცნობებს. ამ აჯანყების შესახებ მოგვეპოვება ლაზარე ფარპეცის ცნობები, რომლის მიხედვითაც დათარიღებულია ეს აჯანყება და აღნიშნულია, რომ აჯანყებამდე ვახტანგმა მოაკვლევინა ურჯულო პიტიახში ვარსკენი. ჯუანშერი მოგვითხრობს ვახტანგის ირანიდან დაბრუნების შემდეგ მის საქმიანობაზე, კათალიკოსობის დაწესება, ეპისკოპოსთა ცვლა, ახალი საეპისკოპოსოების დაარსება... არაფერს ამბობს ამ აჯანყებაზე, მაგრამ შემდეგ ირან-ბიზანტიის ომთან დაკავშირებით გვაწვდის ცნობებს ვახტანგის მიერ ირანის წინააღმდეგ ომის დაწყებაზე. როგორც აღნიშნულია ქართულ ისტორიოგრაფიაში, ეს ირან-ბიზანტიის 502—506 წლების ომს უნდა ეხებოდეს. ძნელია თქმა, რითია გამოწვეული ჯუანშერის დუმილი 482—4 წლების აჯანყების შესახებ. საერთოდ, „ვახტანგ გორგასალის ცხოვრების“ ეს ბოლო ნაწილი, რომელიც საკუთრივ ვახტანგის მოღვაწეობას შეეხება, ცოტა მოკლე და შეკვეცილი ჩანს თხზულების წინა ნაწილებთან შედარებით. ჩანს, ამ პერიოდისათვის მას სათანადო წყაროები არ ჰქონია, ან იქნებ ჯუანშერმა ან მისმა წყარომ არ ჩათვალა სასურველად იმ ბრძოლებზე მოთხრო-

ბა, სადაც ჰეგემონობა სომხებს აქვთ, სადაც ვახტანგი მარცხდება? მართალია, ჯუანშერის მიერ მოთხოვნილ უკანასკნელ ბრძოლაშიც მარცხდება ვახტანგი, მაგრამ ამ ამბებისათვის გვერდის ავლა უკვე აღარ შეიძლებოდა, რადგან ვახტანგ მეფის სიკვდილი ამ ბრძოლებთანაა დაკავშირებული.

ირანიდან დაბრუნების შემდეგ ვახტანგ მეფე აახლებს ბრძოლას სასანიანებთან. ვახტანგ გორგასალმა მოაკვლევინა „ურჯულო ბდემუხი ვაზგენი“, ვარსკენ პიტიახში¹⁸ და დაიწყო აჯანყება ირანელების წინააღმდეგ. აჯანყების წინ ვარსკენის მოკვლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ამით ვახტანგი აშკარას ხდის თავის პოზიციას. ის ებრძვის სჯულისა და ქვეყნის მოღალატეს და გამოდის ქრისტიანობის დამცველად. ამასთანავე, ვარსკენის, როგორც შუშანიკის დამლუპველის მოკვლით ვახტანგი სომეხთა, კერძოდ, მამიკონიანთა გულის მოგებასაც ცდილობდა ალბათ. აღსანიშნავია, რომ სომხების მხარდაჭერას თითქმის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქართლის აჯანყებისათვის, ვაჰან მამიკონიანის აზრს კი ამ საქმეში დიდი ფასი ჰქონდა. დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ ვარსკენის მოკვლით ვახტანგმა ირანელთა ერთგული მოკავშირე და დიდი დასაყრდენი ძალა მოსპო ქართლში.

ვახტანგის მიერ კარგად იყო შერჩეული აჯანყების დრო. პირველ რიგში, მან დაამთავრა ძირითადი საზღადისი აჯანყებისათვის ქვეყნის შიგნით გატარებული ღონისძიებებით. ამასთანავე, ირანს მძიმე მდგომარეობა აქვს აღმოსავლეთში. პეროზის ლაშქრის მთავარი ძალა ჰეფთალებს ებრძვის, საბოლოოდ 484 წელს პეროზი მათთან ბრძოლაში იღუპება. ამ დროს უკვე დაწყებულია ირანელთა წინააღმდეგ აჯანყება ალბანეთში და მათ წინააღმდეგ საბძოლველად ირანის ხელისუფლებას ძალით გაყვანილი ჰყავს სომეხთა ლაშქარი. არც სომხების განწყობილებაა საიმედო ირანელებისათვის. ვახტანგმა ჩრდილოეთის გადასასვლელები შეჰკრა და იქიდან ჰუნთა მოსვლა მასზეა დამოკიდებული. ის მოლაპარაკებასაც აწარმოებდა ჰუნებთან და მათი დამხმარე სამხედრო რაზმის მოსვლის იმედიც ჰქონდა. საფიქრებელია, რომ ვახტანგი ბიზანტიელთა დახმარების მიღებასაც ეცდებოდა, მაგრამ იმპერიას თვითონ უჭირს და ის რეალურ დახმარებას მას ვერ აღმოუჩინს. იმპერიას ფრიად გართულებული მდგომარეობა აქვს გუთებთან გამუდმებული ბრძოლის გამო. იმპერია იძულებულია გუთთა სარდლების ერთმანეთზე დაპირისპირებით დაიცვას საკუთარი ქვეყანა¹⁹.

ქართლის მეფემ სომხებს ერთობლივი ბრძოლა შესთავაზა. ვახ-

ტანგის მიერ ირანელთა წინააღმდეგ აჯანყების ამბავმა დიდი აღფრთოვანება გამოიწვია სომეხთა შორის. ამ დროს ძალით აღბანთა წინააღმდეგ წაყვანილი სომეხები „გამხნევდნენ ამ ამბისაგან და მოელოდნენ თავისთვისაც სარგებლისა და კეთილმოწყალების პოვნას“²⁰. სახელოვანმა სომეხმა სარდალმა, ვაჰან მამიკონიანმა, თავდაპირველად თავი შეიკავა აჯანყებაში მონაწილეობაზე და ვინც მას აჯანყებაში მონაწილეობასა და ქართლის მეფე ვახტანგისათვის მსარდაჭერას სთავაზობდა, უპასუხა: „შევუერთლე თქვენს გადაწყვეტილებას, რომელიც განგიზრახავთ, და გითხრათ, კარგია ეგ აზრი და იმოქმედეთოქო, მაგის თქმა არც შემძლია და ვერც ვბედავ, რადგან კარგად ვიცი არიელთა ძალა და შეუპოვრობა, ხოლო პრომთა სისუსტე და მატყუერობა“. ამასთანავე ვაჰანს ქართლის დიდ ძალაში და ჰონთა მოსვლაშიც ეჭვი ეპარებოდა. „ცალკე ქართლი სუსტი ქვეყანაა და მხედრობით მცირერიცხოვანი. ჰონთა შესახებ კი, ვინ იცის, დათანხმდებიან მოსვლას“. რაც განსაკუთრებით საინტერესოა ვაჰან მამიკონიანს საკუთარი თანამომძეების იმედი არა აქვს „თქვენც გიცნობთ, ჩემი გამოცდილებით, თუ როგორ მიგიციათ ფიცით აღთქმა ჩვენს მამებისათვის და მოგიტყუებიათ“²¹. თუ ეს თვით ავტორის მიერ მომხდარი ამბების შედეგად მიღებული დასკვნა არ არის, ვაჰანის სიტყვები, როგორც ცნობილია, წინასწარმეტყველური აღმოჩნდა. მიუხედავად ყოყმანისა, ვაჰან მამიკონიანი ბოლოს მაინც დათანხმდა ირანელთა წინააღმდეგ აჯანყებაში მონაწილეობის მიღებას და მისმა თანამომძეებმა ის თავის სარდლად აირჩიეს.

როგორც მოვლენების მიმდინარეობიდან ჩანს, ირანელებს აქ დიდი ჯარის შემოყვანა არ შესძლებიათ. როგორც აღვნიშნეთ, აჯანყებულნი აღბანელების წინააღმდეგ ქართლის აჯანყების წინ, მათ სომეხეთიდან ხალხი ძალით ჰყავდათ გაყვანილი. ქართლის მხარეზე გადასულმა სომეხებმა, სარდლად ვაჰან მამიკონიანი აირჩიეს, სომეხეთის მარზპანად საჰაკ ბაგრატიონი, ხოლო სივნიეთის მთავრად ბაბგენ საენიელი დააყენეს და დახმარებისათვის ბიზანტიის იმპერიას მიმართეს. სომეხეთის ირანელი მოხელეები ატრაპატაკანში გაიქცნენ, სადაც შეკრიბეს დიდი ლაშქარი. სომეხმა საარღლებმა ვახტანგს დაპირებისამებრ ჰონთა დამხმარე რაზმი მოსთხოვეს. მართალია, ვახტანგმა გამოგზავნა სამასი ჰონი, მაგრამ მალე უკან გაიხმო. ვახტანგის იმედი არ გამართლდა და ჩრდილო კავკასიიდან დიდი დახმარება არ მოვიდა.

483 წელს ირანელები ახალი ძალებით შემოვიდნენ ამიერკავკასიაში. ჯარის ერთი ნაწილი ქართლში შემოვიდა მიპრანის სარდლო-

ბით, ხოლო მეორე ირანის მონასპის უფროსის, ატრნერსეპის სარდლობით—სომხეთში. ვახტანგმა დაინახა, რომ მათ მარტო ვერ გაუმკლავდებოდა, სომხეთის მთებს შეაფარა თავი, ქართლის საზღვართან და სომხებს დახმარება სთხოვა. სომხებმა ნერსეპაპატთან დაამარცხეს ირანელები, სომეხთა ლაშქარი გაემართა ქართლის მეფისაკენ და ქართლის საზღვარზე კანგარის მთებში დაბანაკდა. ჰუნთა დამხმარე ძალა არ მოვიდა. სომეხი ნახარებების ნაწილი წინააღმდეგი იყო დახმარების გარეშე ბრძოლის დაწყებისა, მაგრამ ვახტანგმა თავისი გაიტანა. მისთვის აუცილებელი იყო ირანელებთან შებმა და მათი შეჩერება, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ქართლის შიდა რაიონებში შეიჭრებოდნენ და ქვეყანას დაარბევდნენ. ქართველ-სომეხთა შეერთებული ლაშქარი მტკვრის ნაპირას „ქარმანაირის ველზე“ (როგორც ვარაუდობენ, გარდაბნის მხარეში)²² დაბანაკდა. ირანელები მტკვრის მეორე ნაპირზე განლაგდნენ. ირანელთა ლაშქარს შიპრანი სარდლობდა.

ბრძოლის დაწყების წინ თავი იჩინა ლალატმა. სომეხ ფეოდალთა ნაწილმა საიდუმლოდ შეიკრივები გაგზავნეს თავის ახლობლებთან სპარსთა ჯარში და შეუთვალეს: „ამ საქმეს ჩვენ სომეხთა ზორავარის ვაჰანის იძულებით დავდგოძივართ და არა ჩვენი ნებით. ასეთნი ბევრნი ვართ, მაგრამ ჩვენი გონება და ზრახვა თქვენთანაა... ხვალ, როდესაც ბრძოლის ველზე გამოვალთ, ჩვენ თვითონაც გავიქცევით და სხვა მრავალსაც თან გავიყოლებთ ჩვენი ჯარიდან“²³. მეორე დღეს ბრძოლის ველზე რომ გაეწყო ლაშქარი, ცენტრი და მარჯვენა ფრთა სომხებმა დაიკავეს, მარცხენა ფრთაზე ქართველთა ლაშქარი განლაგდა. დასაწყისში მოკავშირეები შეტევაზე გადავიდნენ, მტკვარიც გადალახეს მაგრამ ბრძოლის დაწყებისთანავე თავი იჩინა ლალატმა. ლაშქრის ნაწილი მტრის მხარეზე გადავიდა. ამან ლაშქარში არეგ-დარევა შეიტანა. ქართველ-სომეხთა შეერთებულმა ლაშქარმა ბრძოლა წააგო. სანშობლოს ბევრი ერთგული შვილი დარჩა ბრძოლის ველზე, მათ შორის ვაჰან მამიკონიანის ძმა ვასაკი, სომხეთის მარზპანი საჰაკ ბაგრატიუნი. დამარცხებულნი გაიქცნენ ბრძოლის ველიდან. ირანელები დაედევნენ მათ და დიდძალი რაოდენობით იგდეს ხელთ ტყვეები.

სომხებმა თავი ტაოს შეაფარეს. 484 წელს ირანელთა დიდი ლაშქარი სომხეთში შევიდა. ირანელთა ლაშქარი ჰაზარავუხტის სარდლობით სომხეთს არბევდა. ვაჰანს არ ჰქონდა წინააღმდეგობის გაწევის საშუალება და მან ლაშქრის ნარჩენებით თავი ხალდიას შეაფარა. ამ დროს ჰაზარავუხტმა მიიღო შაჰის წიგნი, რომლითაც პეროზი

აცნობებდა პაზარაევხტს, „რომ იგი არიელთა მთელი ძალით მიემართებოდა ჰეფთალებზე, ხოლო მას უბრძანებდა წასულიყო ქართლში და ქართლის მეფე ვახტანგი ან შეეპყრა, ან მოეკლა, ანდა იმ ქვეყნიდან გაეძევებინა“²⁴.

ლაზარე ფარპეცის ეს ცნობა აშკარას ხდის, რომ ირანის შაჰისათვის ამ აჯანყების მთავარი ფიგურა და იმდროინდელ ამიერკავკასიაში ყველაზე სერიოზული მტერი ქართლის მეფე იყო და შაჰს პირველ რიგში მისი საკითხი უნდა გადაეწყვიტა. პაზარაევხტი ქართლში შევიდა. იქ მას მეფის მოლალატენი მიუვიდნენ მრავლად. სარდალმა მათ „ვისაც რა სჭირდებოდა“ ის აღუთქვა და მოლალატეთაგან რაზმიც შეადგინა. „როდესაც ვახტანგ მეფემ დაინახა, რომ თავისიანებმა იგი მოატყუეს, მიატოვეს და პაზარაევხტთან მივიდნენ, ხოლო სომხები კი თვითონაც ჯერ უმწეონი იყვნენ და გაჭირვებულნი, გაეცალა ქართლის ქვეყანას და ცოტა ხნით მივიდა ეგრისის ქვეყნის მხარეებში“²⁵. ამ დროს (484 წ.) შაჰი პეროზი ჰეფთალებთან ბრძოლაში დაიღუპა, პაზარაევხტი ირანს გაემგზავრა.

482—484 წლების აჯანყება ირანელების წინააღმდეგ ამიერკავკასიის ხალხის სამხედრო დამარცხებით დამთავრდა. მაგრამ თვით ირანში დატრიალებულმა მოვლენებმა (შაჰის დაღუპვა ბრძოლა ტახტისათვის) და ალბათ იმ დიდმა წინააღმდეგობამაც, რასაც ირანი აქ წააწყდა აიძულა ახალი შაჰი ცალარში (484—488) მნიშვნელოვან დათმობებზე წასულიყო ამიერკავკასიის ხალხთა მიმართ. შაჰის ხელისუფლება ხელს იღებს ქრისტიანობის დევნაზე. ალბანეთში აღდგენილ იქნა მეფის ხელისუფლება, სომხეთის აჯანყების მეთაური ვაჰან მამიკონიანი შაჰმა სომხეთის მარზპანად დანიშნა. ამ აჯანყებას, როგორც ვხედავთ, სომხეთისა და ალბანეთისათვის დადებითი შედეგი ჰქონია²⁶. აღნიშნულის საფუძველზე, ვფიქრობთ, მართებული უნდა იყოს ვარაუდი, რომ აჯანყების შედეგად ქართლშიც გაუმჯობესდა მდგომარეობა, აქედან გაწვეულ იქნა სპარსთა ჯარი, ეგრისში გახიზნული ვახტანგ მეფე ქართლში დაბრუნდა. ასე რომ, ამ აჯანყებამ თავისი დადებითი შედეგი ქართლსაც მოუტანა²⁷.

თუ გავადევნებთ თვალს ირანის წინააღმდეგ ქართველ-სომხთა ბრძოლის მთელ ისტორიას, ლაზარე ფარპეცის მიხედვით ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ საქმის ხელმძღვანელობა როგორც ბრძოლის ველზე, ისე საომარი ოპერაციის სამზადისის დროს მთლიანად სომხებსა და, კერძოდ, ვაჰან მამიკონიანის ხელთაა, რომ ვახტანგ მეფე მხოლოდ ატყუებს მოკავშირეებს და შეცდომაში შეჰყავს ისინი

ყალბი დაპირებებით ჰუნთა დამხმარე ძალის მოსვლის შესახებ. ბრძოლის სურათიც ისეა დახატული, რომ ეს ფაქტიურად სომეხ-ირანელთა ბრძოლაა, ქართველები მხოლოდ გარბიან ბრძოლის ველიდან და სხვ²⁸. თუმცა იგივე ფარპეცი აღნიშნავს, რომ ირანელთა წინააღმდეგ აჯანყების იდეა ქართლიდან, კერძოდ ვახტანგ გორგასალიდან მოდის, რომ მან დაიწყო ამ დროს პირველმა ბრძოლა ირანელების წინააღმდეგ და მის მაგალითს მიყვენენ სომეხები. აღსანიშნავია ისიც, რომ თვითონ ფარპეცი გვაუწყებს, რომ ქართველ-სომეხთა დამარცხების შემდეგ შაჰმა მოკავშირეთაგან ყველაზე საშიშად ქართლის მეფე მიიჩნია და შემოუთვალა თავის სარდალს ჰაზარავუხტს „წასულიყო ქართლში და ქართლის მეფე ვახტანგი ან შეეპყრა, ან მოეკლა, ანდა იმ ქვეყნიდან გაეძევებინა“²⁹.

როგორც აღვნიშნეთ, ლაზარე ფარპეცის მიზანი არ არის ქართლის იმდროინდელი ისტორიის და მისი მეფის ზოღვაწეობის აღწერა, ამ საკითხებს ის იმდენად ეხება, რამდენადაც ეს მისთვისაა საჭირო. ამასთანავე, სრულიად აშკარაა ისტორიკოსის უარყოფითი დამოკიდებულება ქართლის მეფისადმი.

ირანის წინააღმდეგ აჯანყების დროს ლაზარე ფარპეცი ბრძოლის იმ მხარეს აქცევს ყურადღებას, რომელიც უშუალოდ სომეხთა და მათი სარდლების მოღვაწეობას შეეხება, ქართლის მეფის ბრძოლაზე ირანელების წინააღმდეგ და მის როლზე ამ აჯანყებაში ძალიან ტენდენციურად არის ცნობები მოწოდებული.

როგორც ჩანს, სიმართლეს უნდა შეეფერებოდეს ლაზარე ფარპეცის ცნობა, რომ ირანელებთან დამარცხებულ შემდეგ ვახტანგმა ეგრისს შეათარა თავი, „ჰაზარავუხტი ირანში გაიწვიეს, სპარსელებთან ისე მოხდა შეთანხმება, რომ სამხედრო მოქმედება არ განახლებულა“. და ვახტანგ მეფის სიკვდილი არ არის დაკავშირებული ირანის წინააღმდეგ 482—484 წლების აჯანყებასთან. მაგრამ არ არის გამორიცხული ისიც, რომ ვახტანგ გორგასალს ამის შემდეგაც ჰქონია ომი სპარსელებთან³⁰. მაგრამ როდის შეიძლება ჰქონოდა ადგილი ამ ომს? ჯუანშერის თანახმად, ამ მეორე ომის დროს ვახტანგ მეფე სამოცი წლისა იყო. ს. გორგაძის ანგარიშით ეს უნდა მომხდარიყო 503 ხოლო ივ. ჯავახიშვილით 502 წელს. ამ ომის აღწერილობა ჯუანშერთან იმდენად კონკრეტულია რომ საერთოდ მის არსებობაში ჩვენ ეჭვი ვერ შეგვაქვს.

როგორც აღვნიშნეთ, 502 წელს დაიწყო ირან-ბიზანტიის ომი. ომის ინიციატივა ირანიდან მოდიოდა. იმპერატორ ანასტასის (491—518) პოლიტიკა ყველა საზღვარზე თავდაცვით ხასიათს ატარებდა,

მაგრამ მან უარი უთხრა ირანს იმ სუბსიდიის გადახდაზე, რომელსაც სასანიანები კავკასიის კართა ბარბაროსთა შემოტევისაგან დაცვის საბაბით თხოულობდნენ. შეტევა ირანმა დაიწყო³¹, და ქართლის მეფეს დახმარება სთხოვა.

464 წელს, აჯანყების შემდეგ, მართალია, აპიერკავკასიის დამარცხებულმა ქვეყნებმა ზოგიერთი შეღავათი მაინც მიიღეს ირანისაგან, მაგრამ ქართლი, ისევე როგორც სომხეთი, ირანის ვასალად რჩებოდა და სანხედრო ვალდებულება მას ისევ მართებდა პატრონის მიმართ. ასე რომ, ირანის ეს მოთხოვნა იურიდიულად საფუძვლიანი იყო.

ქართლის მეფემ ირანს დახმარებაზე უარი შეუთვალა და შაჰის მოციქულს დააბარა: „პირველად განემზადე ბრძოლად ჩვენდა, და ეგრე შევედ საბერძნეთად“, და დაიწყო სამზადისი ირანელთა დასახვედრად, „წარავლინა ქადაგი, რათა დაუტეონ სოფლები და ქალაქები, რომელი იყო არა ძლიერი, შეივლტოდიან კავკასიანთა და კახეთად“. მეფემ ოჯახის წევრები დახიზნა, ლაშქარი, ერისთავთა სარდლობით, გაანაწილა უმთავრეს ციხეებში (უჯარმას, მცხეთას) და კეისარს აცნობა ირანელთა განზრახვა და თავისი მზადყოფნა³². ეს ის დრო იყო, როდესაც „ვახტანგ აშენებდა ქალაქსა ტფილისისასა და საფუძველი ოდენ დაედვა“.

ირანელთა მრავალრიცხოვანი ლაშქარი ქართლის სამეფოში შემოვიდა. ჭუნშერის თანახმად, ვახტანგმა შვიდასორმოცი ათასი ირანელის წინააღმდეგ ორას ორმოცი ათასი მეომარი გამოიყვანა. ირანელები კამბეჩანიდან შემოვიდნენ ქართლში, „შემუსრეს ქალაქი კამბეჩანი, ჭერმის ციხე და ველისციხე, და ვითარცა მოიწინეს კახეთად, დადგეს იორსა ზედა“³³.

ველისციხე და ჭერეში ვახტანგის დროს დაწინაურებული ძლიერი ერთეულის მნიშვნელოვანი დასაცავი პუნქტებია. ველისციხე ველზე გასასვლელ იმ ხეობას კეტავდა, რომელიც შიდა კახეთისაკენ გასასვლელ ალაზნის ხეობას იცავდა³⁴. აქ დამარცხებული და უკანდახეული ლაშქარი, ჩანს, იორზე უჯარმას გამაგრდა.

იორზე, უჯარმის ციხესთან, დიდი ბრძოლა მოხდა. შეტევაზე ცისკრის ეპის ქართველები გადავიდნენ. ვახტანგის ისტორიკოსის ცნობით, თვით ვახტანგი ირანელთა ბანაკში შეიჭრა, მოკლა შაჰის ძე, დაამარცხა ირანული ლაშქარი და უკუაქცია. უკუქცეულმა ლაშქარმა რუსთავს დაიბანაკა, მაგრამ თვით გმირი მეფე ბრძოლაში დაიჭრა და უჯარმას წაიყვანეს.

სპარსელები შეტევაზე გადმოვიდნენ, მოაოხრეს თბილისი, არ-

მაზი, მცხეთის ზღუდის გარეთ მიწა-წყალი. ვახტანგი ჭრილობისაგან გარდაიცვალა³⁵ და სამეფო დაჩის დაუტოვა. სამწუხაროდ, ირანის წინააღმდეგ აჯანყების შედეგები ცნობილი არ არის. ირან-ბიზანტიის ომი ძველი საზღვრების შენარჩუნების პირობით დასრულდა³⁶. როგორც მომდევნო მოვლენებიდან ჩანს, ძირითადად ომამდე არსებული ვითარება იქნა შენარჩუნებული ქართლშიც.

ვახტანგის ისტორიკოსის ცნობის თანახმად, ვახტანგ მეფის უკანასკნელი ომის დროს იორჯე, უჯარმასთან, როდესაც მეფე შეიჭრა ირანის შაჰის კარავში და მოკლა შაჰის შვილი ბარტამ „მუნ შინა სპარსმან ვინმე სცა ისარი მკერდსა ვახტანგისსა“ და ამ ჭრილობისაგან ვახტანგ მეფე გარდაიცვალა³⁷.

ერთი ძველი წყაროს თანახმად, ვახტანგ მეფე „მოიკლა სპართა ბრძოლასა შინა მონაყოფილსაგან მისისა, რამეთუ იცოდა განახევი ჭაჭვსა ლიასა ქუეშე, და აღიპყრა რა კრძალი თვისი, რათა სცეს კაცსა სპარსთაგანსა, მონამან მან ბოროტმან ჰკრა ისარი ლიასა ქუეშე“³⁸. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ არაფერს ამბობს ვახტანგის სიკვდილის შესახებ. ვფიქრობთ, არსებული ცნობების საფუძველზე უდავოა, რომ ვახტანგი ირანელებთან ბრძოლაში მიღებული ჭრილობით გარდაიცვალა. მაგრამ გაურკვეველია სპარსელმა დაჭრა ის, თუ მისმა მონაყოფილმა. მაგრამ ხომ არ შეიძლება ეს ორი ცნობა შევეუთანხმოთ ერთმანეთს, ხომ არ შეიძლება რომ ჯუანშერის „ვინმე სპარსელი“ იგივე მისი „მონაყოფილი“ იყოს. ცნობილია, რომ მონათა მნიშვნელოვან კონტინგენტს სწორედ სამხედრო ტყვეები ქმნიდნენ. მეომარ მხარეთა შორის დაზავების თუ კეთილგანწყობილი ურთიერთობის ჩამოგდების შემდეგ ტყვეთა განთავისუფლებაც ხდებოდა და ასეთი ფაქტები ვახტანგ გორგასალის „ისტორიიდან“ არაერთია ცნობილი. იქნებ ვახტანგის მკვლელი სპარსი ასეთი მონა თუ ტყვეყოფილი იყო, რომელმაც მეფის საიდუმლოება იცოდა³⁹.

ვახტანგ გორგასალის შემკვიდრებები აგრძელებდნენ ბრძოლას ირანის აგრესიის წინააღმდეგ. 523 წ. ბრძოლაში დამარცხებულმა მეფე გურგენმა თავშესაფარი ბიზანტიაში პოვა. ირანელებმა, სომხეთისა და ალბანეთის ისგავსად, ქართლშიც გააუქმეს მეფობა.

IV. ბოლოსიტყვა

V საუკუნის მეორე ნახევარში ქართლის სამეფომ მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა. ყველა წარმატება მეფე ვახტანგ I გორგასალის სახელთანაა დაკავშირებული. ამ დიდმა სახელმწიფო მოღვაწემ და სარდალმა კარგად გაითვალისწინა მახლობელ აღმოსავლეთში შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია და ირან-ბიზანტიის დაპირისპირება თავის სასარგებლოდ გამოიყენა. ამასთანავე მან ქრისტიანობა ბრძოლის დროშად გამოაცხადა და მზნდევანურ სპარსეთს ეროვნული რელიგია დაუპირისპირა.

უცხოელთა ბატონობა, მათ სასარგებლოდ გაღებული დიდი ოდენობის ხარკი, სამხედრო-სალაშქრო მოვალეობა ყველაზე მიძიმედ ხალხის ფართო მასებს, მწარმოებელ საზოგადოებას აწევბოდა მხრებზე და აჩანაგებდა მას. უცხო მოძალადის წინააღმდეგ ბრძოლა საკუთარი სახლ-კარის, ოჯახის დასაცავად წარმოებდა და ამ ბრძოლისაკენ მიმართა სახელმწიფოს მეთაურმა მოსახლეობის ფართო ფენების დიდი ძალა და ენერჯია. ხალხმა კი სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლი წინამძღოლი გმირად გამოაცხადა.

გმირი მეფის მოღვაწეობის შესახებ საგანგებო საისტორიო თხზულება შეიქმნა, რომელიც შემდგომ XI საუკუნეში საღვთგმირო ზღაპრული ეპიზოდებით გავრცობილი ქართველი ხალხის ეროვნულ ისტორიაში „ქართლის ცხოვრება“-ში შევიდა. მართალია ეს თხზულება „ცხოვრება მეფეთ მეფისა ვახტანგისი“ დიდად არის გადატვირთული საღვთგმირო-ზღაპრული ეპიზოდებით, მაგრამ ის ძირითადი ნაწილი, რომელიც V საუკუნის მეორე ნახევრის ქართლის რეალურ ისტორიას ეხება, ფრიალ მნიშვნელოვანი წყაროა ამ ხანის ისტორიისათვის.

ვახტანგ მეფემ განსაკუთრებული ადგილი დაიმკვიდრა ქართველი ხალხის შეგნებაში. პირველ რიგში აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ის ჩვენამდე მოღწეულ და, რაც განსაკუთრებით ნიშანდობლივია, „ქართლის ცხოვრების“ კრებულში შესულ თხზულებათა თანახმად, ერთ-ერთი მცირე გამონაკლისია იმ მეფეთა შორის, რომელთაც

საგანგებო საისტორიო თხზულება ეძღვნებათ (ვახტანგ მეფის, დავით აღმაშენებლის, თამარის ისტორიები). აღნიშნული გარემოება შემთხვევითი არ არის და არც შეიძლება იყოს. ამას საისტორიო ნაწარმოების ობიექტის ერისა და ქვეყნის წინაშე დამახსურება განსაზღვრავს. კიდევ რომ დავუშვათ, რომ სხვა მეფეებსაც ჰყავდათ ასეთი საკუთარი მეისტორიები, ანგარიშგასაწევია ის ფაქტი, რომ „ქართლის ცხოვრების“ კრებულში ამ მეფეთა ცხოვრების აღმწერი თხზულებებია ასე საგანგებოდ წარმოდგენილი¹.

ვახტანგის სიკვდილთან დაკავშირებით ყურადღებას იმახსურებს ის გარემოება, რომ როგორც მისი ისტორიკოსი, ისე სხვა წყაროებიც მას ქრისტეს სჯულისათვის დაღუპულად თვლიან „მორწმუნე ერი ჰნატრიდა მეფესა, რამეთუ ქრისტესთვის მოიკლა“², „ქრისტესთვის იწამა ქრისტეს მოწამე იგი მეფე“³. გმირი მეფე მცხეთას, მის მიერ აგებულ სვეტიცხოვლის ტაძარში დამარხეს, საფლავის ქვაზე მეფის გამოსახულება იყო, ხოლო მისი აბჯარი და სამოსელი, ვითარცა ძვირფასი რელიკვია ინახებოდა.

ვახტანგის მოღვაწეობის ისეთ განდიდებას, რომელიც ისტორიკოსის თხზულებაშია, მხარს უბანს მომდევნო ხანის ქართული საისტორიო მწერლობა. „მატიანე ქართლისას“ ავტორი მოგვითხრობს რა მეფე ბაგრატ III-ის შესახებ, რომლის მოღვაწეობასა და პიროვნებას ის ძალიან მაღალ შეფასებას აძლევს, დასძენს: „და ვთქუა ესეცა, რომელ შემდგომად დიდისა მეფისა ვახტანგ გორგასლისა არაეინ გამოჩინებულ არს სხუა მსგავსი მისი დიდებითა და ძალითა, და ყოვლითა გონებითა“⁴. „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთ ნაგვიანეფ ნუსხაში, იქ სადაც დავით აღმაშენებლის ისტორია იწყება, სათაურად წერია: „აქა დიდი და ღთივ განბძნობილი დავით დაიბადა მსგავსა ალექსანდრესი და ვახტანგისებრი სუიანი და გამარჯვებული“⁵. „ისტორიანისა და აზმანის“ ავტორი გიორგი მესამის მეფობის აღწერას ასე იწყებს: „აწ ვიწყო ძალისაებრ და ღონე მოწუდომისა ესე. ნათელ შემოსილისა მამა იგი გორგასლიანი, აღმასრულებელი ვახტანგისა ნეტარებათა“⁶. შანჭოის ბრძოლად გამზადებული ქართული ლაშქრის წინაშე თამარის ისტორიკოსი დიდ წინაპართა სახელებს და მათ სასახელო საქმეებს რომ ახსენებს, ერთ-ერთ პირველად ვახტანგ გორგასალს და მის სპას ასახელებს⁷. ვახტანგ გორგასალთან სახელმწიფო მოღვაწეთა შედარებისათვის, მის საქმეთა განდიდების მიზნით. XVIII საუკუნეშიც მიუმართავეთ და „ახალი ქართლის ცხოვრების“ ეგნატაშვილისეული ტექსტი სამშობლოს მტრების წინააღმდეგ ბრძოლის ველზე დაღუპული ლუარსაბის შესახებ წერს: „მიიცვალა

მეფე ლუარსაბ მოწამე, მსგავსი ვახტანგ გორგასალისა“⁸. ხოლო ლუარსაბ II-ს, რომელმაც მშობლიური სჯულის დალატს მტრის ხელით სიკვდილი არჩია, იგივე თხზულება ისევე ვახტანგს აღარებს⁹. სათანადო ხარკი გაიღო ვახტანგ გორგასალის სახელის განსაღიღებლად ქართულმა აგიოგრაფიულმა ნწერლობამ. „დავით და კონსტანტინეს მარტვილობის“ ავტორის თქმით, მაღალმა და დიდმა მეფე ვახტანგ გორგასალმა „მეფობა ყოვლისა ქუეყანისა საფლავად შთაიციანა“¹⁰. „დიდ მეფეს“ უწოდებს მას „რაჟდენის წამების“ ავტორი, „არჩილის მარტვილობა“ და სხვ. ახოვანებისა და ტანადობის სიმბოლოდ „გორგასლიანობა“ იყო მიჩნეული¹¹. თამარის ისტორიკოსი ლაშა გიორგისაც გორგასლის მსგავსად თვლის¹². ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ საქართველოს სამეფო დროშას გორგასლიანი ეწოდება. საქართველოს სამეფო სპას მის დიდ გამარჯვებებში შანქორს თუ ბასიანს წინ თეთრი სამეფო „გორგასლიანი“ დროშა მიუძღვის, რომლის დიდება ვახტანგმა განაჯრცო შორს. ეს არის დროშა „სვანად ხპარებული, გორგასლიანი და დავითიანი“¹³. ხოლო როდესაც ქართველთა ლაშქარმა დიდ გამარჯვებათა შემდეგ პირველი მძიმე მარცხი იგემა ჯალალ ედ-დინთან ბრძოლაში, ქართველი ჟამთააღმწერელი დიდის გულისტკივილით აღნიშნავს „აქა ჟამამდე სვანი იგი ბრძოლათა შინა დროშა დავითიანი და გორგასლიანი გამარჯვებული არა-სადა ძლეულ-იყო“¹⁴. თამარის გარდაცვალების შემდეგ, ჟამთააღმწერელის სიტყვით, დიდად განიხარეს ქართველმა დიდებულებმა როდესაც მისი შვილის, ლაშა გიორგის ვაჟკაცობა იხილეს და მიმართეს მას: „დიდი ნუგეშინისცემა მოგუემატა ღმრთისა მიერ, რამეთუ გპოვეთ ახოვანი და გოლიათი, გორგასლიანი და დავითიანი“¹⁵.

ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე მკაცრი და პირუთვნელი მსაჯული ხალხია. ხალხი დიდების შარავანდედით მოსავს ერისა და ქვეყნის წინაშე დამსახურებულ მოღვაწეებს, სამშობლოს თავისუფლებისა და მისი სახელისა და დიდებისათვის მებრძოლ გპირებს. ვახტანგ გორგასალი ერთ-ერთი იმათგანია ქართველ დიდ სახელმწიფო მოღვაწეთა შორის, რომელმაც საპატიო ადგილი დაიმკვიდრა მეპყვიდრეთა ხსოვნაში და რომელსაც ხალხმა არაერთი ლექსი, სიმღერა, ლეგენდა უძღვნა. თავისი დიდი სიყვარული და პატივისცემა ვახტანგ მეფისადმი ხალხმა კარგად ცნობილ ლექსში ჩააქსოვა:

„ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა,
ციდან ჩამოესმა რეკა;

იალბუზზედ ფეხა შესდგა,
დიდმა მთებმა შეპქნა დრეკა;
ოსებში გადაიარა,
ჩერქეზები გადარეკა“¹⁶.

ხოლო მეფის გარდაცვალებით გამოწვეული საერთო-სახალხო
კლოვა გამოხატულია ლექსით:

„ვახტანგ მეფეო რომ კვებოდა
ცაი ღრუბლებით იმოსებოდა,
აზნაურიო, გლეხობა
სატირლად ემზადებოდა“¹⁷.

ამდენად სრულიად კანონზომიერია ის სახელი, რომელიც მას აქვს.
ვახტანგ გორგასალის სახელი ერთნაირადაა განდიდებული როგორც
ქართულ საისტორიო ტრადიციაში, ისე ქართულ ზეპირსიტყვიერე-
ბაში.

აღნიშნულთან დაკავშირებით ღგება ვახტანგ გორგასალის მოღ-
ვაწეობის შეფასების საკითხი, რამდენად პროგრესული იყო ის ლო-
ნისძიებანი, რომელთაც ეს სახელმწიფო მოღვაწე ატარებდა; რამდე-
ნად ემსახურებოდა მისი მოღვაწეობა ქვეყნის პროგრესული განვი-
თარების საქმეს. ვახტანგის მოღვაწეობა ქართლის სამეფოს საზღვარ-
თა გავრცობის, აღმოსავლურ და დასავლურქართული მიწების ერთ
სახელმწიფოდ გაერთიანების, ქართლის სამეფოს საზღვართა გამაგ-
რებისა და დაცვის საქმეს ემსახურება, ქართული ქრისტიანობის გან-
მტკიცების, მისი ცენტრიდან მოშორებულ მთიან ზოლში დამკვიდ-
რების, ეკლესიის სახელმწიფოსადმი დაქვემდებარების, ხელისუფ-
ლების ცენტრალიზაციის, ქართლის სამეფოს უცხო ძალისაგან და-
მოუკიდებლობის მოპოვების საქმეს ემსახურებოდა. ყოველივე ეს
ერთად აღებული არის ის, რაც ქვეყნის წინსვლის, მისი პროგრესუ-
ლი განვითარების დიდ საქმეს ემსახურება¹⁸.

ვახტანგ მეფის ზედწოდებასთან—„გორგასალი“—დაკავშირე-
ბით ჯუანშერი მოგვითხრობს: „ხოლო ვახტანგ მეფესა შეექმნა ჩა-
ბალახი ოქროსი, და გამოესუა წინაჲ მგელი და უკანათ ლომი; და
რომელსა კერძსა იძლეოდინან ქართველნი, მუნითცა მიმართის და

მოსრის სპისა მისგან სპარსთასა, ვითარცა ლომმან კანჯარნი. მიერთგან ვერღარა შეუძლებდეს სპარსნი წყობად მისა, რამეთუ დაისწავლეს იგი, რომელსა ეწერა მგელი და ლომი, და ვითარცა იხილიან ვახტანგ. თქვან: „ღურ აზ გორგასალ“, რომელ არს ესე: „პირიდეთ თავსა მგლისასა“. და მის მიერ სახელ-ედვა ვახტანგ მეფესა გორგასალ¹⁹. ვახტანგის ჩაბალახზე თუ ლითონის მუზარადზე მგლისა და ლომის გამოსახვა ფრიად საინტერესო პარალელებს პოულობს ქართველთა უძველეს წარმოდგენებში. მაგ., სვანეთში დაცული ეთნოგრაფიული მონაცემების თანახმად, მგელს მიეწერება ზებუნებრივი ფიზიკური ძალა და მოხერხებულობა, ჭკუა, მიხვედრილობა, არაჩვეულებრივი მხედველობა, რომელიც არიდებდა მათ ადამიანთა მტრულ მოქმედებას, მოვლენათა წინასწარი განჭკვრეტის უნარი და სხვა ზებუნებრივი თვისებები. ამასთანავე სვანებს მიაჩნიათ, რომ მგელს ჭკონდა მაგიური თვისება, რომლითაც ის ეხმარებოდა და მფარველობდა ადამიანებს, რითაც ხსნიდნენ ისინი მგლის კბილის ამულეტის თვისებასა და მნიშვნელობას²⁰. როგორც აღნიშნავს ვ. ბარდაველიძე, წარმოდგენა მგლის, როგორც ვაჟკაცობისა და გამარჯვების სიმბოლოზე ვახტანგ გორგასალის მუზარადის გამოსახულებითაც დასტურდება. საინტერესოა, რომ ჯუანშერის სიტყვით ვახტანგის მუზარადზე წინ თუ მგელი იყო, უკან ლომი იყო გამოსახული. ჩანს, ლომის გამოსახულებაც ფრიად ნიშანდობლივია, რადგან იმავე წარმოდგენების თანახმად, მგელი ისევე ძლიერი და დაუპარცხებელია, როგორც ლომი²¹. ასე რომ, ვახტანგ გორგასალის მუზარადზე მგლისა და ლომის გამოსახულება, თუ ერთი მხრივ, მისი სიძლიერისა და უძლეველობის სიმბოლო იყო, ამავე დროს შეიძლება იყო მაგიური ძალის გამოსახულება ვახტანგის მტერთაგან დასაცავად.

მგელი ქართველთა ერთ-ერთი უძველესი ტოტემი უნდა იყოს²².

აქვე საინტერესოა აღინიშნოს, რომ ვ. ი. აბაევის მოსაზრების თანახმად, მგელი ვახტანგის სახელშივეა წარმოებული. მისი აზრით სახელი Vaxtang ორი ნაწილისაგან შედგება Vax-tang, რაც ნიშნავს „მგლის ტანის“ (vax) მქონებული [„имеющий волчье (varx) тело“]. სახელის პირველი ნაწილი როგორც ის აღნიშნავს, არის varka „მგელი“ და ძველიღურ vrka, ავესტურ varhka-ას უკავშირდება, ხოლო მეორე ნაწილი tanu შეესატყვისება ავესტურ tanu-ს და, ისევე როგორც ქართულში ნიშნავს „ტანს“ (тело)²³.

V საუკუნის მეორე ნახევრის ქართლის სამეფოს პოლიტიკურმა სიძლიერემ, ეკონომიკურმა აღმავლობამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ეპოქის კულტურულ ვითარებაზე.

იმდრინდელი ქართული კულტურა ქრისტიანული იდეოლოგიის გავლენაში იმყოფებოდა და ამ იდეოლოგიის ნიშნის ქვეშ ვითარდებოდა. წარმართულ კულტურასა და იდეოლოგიას ქრისტიანობა თავისი მწერლობით დაუპირისპირდა და უპირველეს ამოცანას ქრისტიანული მწერლობის ძეგლების და ქრისტიანული კულტურისა და იდეოლოგიის კერების გამრავლება-გაძლიერება შეადგენდა. ამ ამოცანას ემსახურებოდა ის დიდი მთარგმნელობითი საქმიანობა, რომელიც ფართოდ გაიშალა ჩვენში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებისთანავე და რომლის მიზანი პირველ რიგში „დაბადების“, „სახარების“ და სხვა საღვთისმეტყველო თხზულებების თარგმნა იყო, და „პირველი უტყუარი ცნობა საქრისტიანო ლიტერატურული ძეგლების არსებობის შესახებ მეხუთე საუკუნეს ეკუთვნის“²⁴. V საუკუნეში წარმოებული დიდი სამწერლობო-მთარგმნელობითი მოღვაწეობის შედეგია ის გარემოება, რომ VI საუკუნის დამდეგს ჩვენ გვაქვს „დედაენაზე სახარება, სამოციქულო, ჟანი, სამხრისა“²⁵. ამდენად, მეხუთე საუკუნის ოთხმოციანი წლების დამდეგს ისეთი ორიგინალური თხზულების შექმნა ქართულ ენაზე, როგორცაა იაკობ-ხუცესის „შუშანიკის მარტვილობა“, სრულიად კანონზომიერი მოვლენაა. ამ თხზულების დაწერამდე ქართულ საქრისტიანო მწერლობას განვითარების მნიშვნელოვანი გზა ჰქონდა გაეღლი²⁶.

ქრისტიანულმა რელიგიამ ღრმად გაიდგა ფესვები ჩვენში, ის თანდათან ეროვნულ რელიგიად ყალიბდება და გადაამწყვეტ გავლენას ახდენს ქართული კულტურის შემდგომ განვითარებასა და ორიენტაციაზე. ქართული ქრისტიანული კულტურის ეროვნულ იდეოლოგიად ჩამოყალიბება ირანთან პოლიტიკური და იდეოლოგიური ჭიდილის ვითარებაში მიმდინარეობს და ირანმა ვერ შეძლო არა მხოლოდ თავისი, ზოროასტრული იდეოლოგიის დაპყვადრება, მონოფიზიტიზმსაც ვერ მოუპოვა საბოლოო წარმატება ჩვენში, რაც ძირითადად პოლიტიკური მიდრეკილებით იყო განპირობებული.

ქართული კულტურის განვითარებისათვის ამ ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მკვიდრო კონტაქტებს ბიზანტიასთან,

ქრისტიანულ სირიასა და პალესტინასთან, სომხეთთან... ამ მკიდრო კონტაქტების ერთი უტყუარი მოწმობაა ქართული სამონასტრო-კულტურული ცენტრების არსებობა სირიასა და პალესტინაში V საუკუნეში, სადაც დღემდეა შემორჩენილი ქართული ხელნაწერი წიგნების უმდიდრესი კოლექციები. ამ კულტურულ ცენტრებში ინტენაიური სანწერლობო მოღვაწეობა მიმდინარეობდა; აქ თარგმნიდნენ ქრისტიანული მწერლობის საუკეთესო ძეგლებს, იქმნებოდა ორიგინალური თხზულებები. ამ ცენტრებმა უდიდესი როლი შეასრულეს კულტურული ურთიერთობისა და ცხოველმყოფელი კულტურული ურთიერთგავლენის განვითარებაში. საბაწმიდის, ჯვრის ქრისტიანული ცენტრები ის კერებია, სადაც V საუკუნეში ქართველთა ცხოველი კულტურული საქმიანობა მიმდინარეობდა. ქართველი ქრისტიანი მოღვაწეების ლტოლვა აღმოსავლეთის ქრისტიანული კერებისადმი აღმოსავლურქართული ქრისტიანობის აღმოსავლურმა, იერუსალიმურმა წარმომავლობამ და ბიბლიური „წმინდა ადგილებისადმი“ ინტერესმა განაპირობა. როგორც კარგადაა ცნობილი, საქმე იქამდე მივიდა, რომ ქართველებმა ქრისტიანობის თავის ცენტრში—მცხეთაში, ისევე როგორც მანამდე ბიზანტიელებმა კონსტანტინოპოლში, თითქმის მთლიანად გაიმეორეს წმინდა ადგილების იერუსალიმური ვარიანტი და აქ ახალი იერუსალიმი შექმნეს²⁷.

ქრისტიანობის შემოსვლას თან სდევს საკულტო ნაგებობების მშენებლობა და თავდაპირველი მოდელი ამ ნაგებობებისათვის პალესტინის უძველესი ბაზილიკები იყო. როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული, ამ ტიპთან ერთად იმთავითვე ვითარდება და მკვიდრდება ადგილობრივ სამშენებლო ტრადიციიდან მომდინარე ე. წ. „ცენტრალური“ ტიპის საკულტო ნაგებობანი, რომელთა საწყისი ქართულ ეროვნულ საცხოვრებელ „ღარბაზამდე“ მიდის.

ქრისტიანობის შემოსვლისას, როგორც ცნობილია, შედარებით მცირე ზომის ეკლესიები შენდებოდა და V საუკუნის მიწურულისათვის იკიდებს ფეხს დიდი ეკლესიების მშენებლობის პრაქტიკა. ამ მშენებლობის საუკეთესო ნიმუშია ბოლნისის სიონი და სხვა ძეგლები, რომელნიც ქართული საკულტო არქიტექტურის, ეროვნული კულტურის მაღალი დონის რეალური დადასტურებაა²⁸.

ქართველთა საეკლესიო-სამონასტრო მშენებლობის დაწყებას სირია-პალესტინაში ეროვნული საისტორიო ტრადიცია პირველ ქრისტიან მეფეს მირიანს უკავშირებს. იერუსალიმში ქართველ მოღვაწეთა წრეში გავრცელებული გადმოცემით იერუსალიმის მახლობლად ჯვრის მონასტრის ადგილი თავდაპირველად იმპერატორ

კონსტანტინე დიდისაგან პირველმა ქართველმა მეფემ მირიანმა მილო²⁹, ხოლო ტიმოთე გაბაშვილის მიხედვით, ადგილობრივი ტრადიციის თანახმად „თაბორის მონასტერი და ოთხი ეკლესია ნაზარეთს ქართველთაგან არსო აღშენებული, რაჟამს ვახტანგ გორგასლან დაიპყრო იერუსალიმი“³⁰. ტიმოთე გაბაშვილს თავის „მიმოსვლაში“ იერუსალიმის ჭვრის მონასტრის მშენებელი მეფის ფრესკა აქვს გადმოღებული მონასტრის კედლიდან, რომელზედაც ხანშიშესული წვერულვაშიანი მეფეა გამოსახული თავზე გვირგვინით. ტიმოთე გაბაშვილი ჩამოთვლის რა იმ ქართველ მოღვაწეებს, რომელთაც იერუსალიმის მშენებლობაში წვლილი შეუტანიათ, წერს: „ქ. კვალად ხატია დიდი და სახელოვანი მეფე ვახტანგ გორგასლან ხოსროიანი, რომელმან დაიპყრო იერუსალიმი და პალესტინე“³¹.

IV—V საუკუნეებში აღმოსავლეთის კულტურულ ცენტრებში ქართველები ინტენსიურად მოღვაწეობდნენ და საკუთარ ცენტრებს აარსებდნენ და აგებდნენ. როგორც ცნობილია, V საუკუნეში სირიასა და პალესტინაში მოღვაწეობდა წარმოშობით ქართველი, გამოჩენილი მთაწარვე თეოლოგი პეტრე იბერი, რომლის მეშვეობითაც, დიონისე არეოპაგელის თხზულებების სახით ცნობილმა, უდიდესი გავლენა მოახდინა შუასაუკუნოვან დასავლურ და აღმოსავლურ ფილოსოფიურ აზროვნებაზე. როგორც ვარაუდობენ, პეტრე იბერმა და მისმა მოწაფემ იოვანემ იერუსალიმში რამდენიმე მონასტერი და სასტუმრო სახლი ააშენეს. ერთი მონასტერი ქართველთა, იბერთა მონასტრის სახელითაა ცნობილი. V საუკუნის 30-იან წლებში პეტრე იბერმა, როგორც დღეს კარგადაა ცნობილი, იორდანეს უღაბნოში ააგო მონასტერი თავისი საღვინით, საზეითთა და სხვა სათავესებით. ეს მონასტერი მან შესანიშნავი მოზაიკური წარწერებით შეაპკო. ამ მონასტრისა და მისი ქართული წარწერების აღმოჩენამ ჩვენთვის ცნობილი (ჩვენამდე მოღწეულს) უძველესი ქართული ეპაგრაფიკული ძეგლის თარიღი V საუკუნის 30-იან წლებში გადაიტანა და დაადასტურა, რომ ჩვენ ხელთა გვაქვს ბოლნისის სიონის წარწერაზე თითქმის ნახევარი საუკუნით უფრო ადრინდელი წარწერა³². პალესტინის უღაბნოში და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში V საუკუნეში ქართველთა აღმშენებლობითი და საწერლობო მოღვაწეობა იმდროინდელი ქართლის სამეფოს ეკონომიკური სიძლიერის მოწმობაა. ეს აგრეთვე მიუთითებს „იმ გავლენაზე, რომელიც ქართული კულტურის მეშვეობით და სახელმწიფო მოღვაწეებს მოუპოვებიათ ბიზანტიის იმპერიის სამფლობელოებში — იმდროინდელი მსოფლიო ცივილიზაციის ცენტრში — თავიანთი მაღალი ინტელექტუალური

7. მ. ლორთქიფანიძე

დონისა და კულტურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის უნარის წყალობით“³³.

როგორც ცნობილია, ერთი პირველი უმნიშვნელოვანესი დიდი ტაძრის მშენებლობას ქართული საისტორიო ტრადიცია, და სახელდობრ ჯუანშერის ვახტანგ გორგასალის ისტორია, მეფე ვახტანგის სახელთან აკავშირებს, „ხოლო მცხეთას მეფემან ვახტანგ ალაშენა ეკლესია მოცაქულთა სუეტიცხოველი“ და ჯუანშერის ამ ცნობას გვიანდელი დანართი უმატებს: „რამეთუ პირველ მცირე იყო მირიანისგან აღშენებული“³⁴. როგორც კარგადაა ცნობილი, არქეოლოგიურმა გათხრებმა შესანიშნავად დაადასტურა ისტორიკოსის ეს ცნობა.

აღმოსავლეთის ქრისტიანულ ცენტრებში ქართველთა ინტენსიურ სამშენებლო-სამწერლობო მოღვაწეობასთან დაკავშირებით დგება ქართული წყაროს ცნობის საკითხი მეფე ვახტანგ გორგასალის მიერ იერუსალიმსა და ანტიოქიას მოგზაურობის შესახებ. „ხოლო ვახტანგს ევედრნეს დედა და დაამისი ხუარანძე, რათა წარიტანნეს თანა და ილოცონ იერუსალემს... წარვიდეს ვახტანგ და დედა დაამისი იერუსალემს..., შევიდეს და ილოცეს წმიდასა აღდგომასა, და მოილოცნეს ყოველნი აღგილნი წმიდანი, და შეევედრნეს წმიდასა აღდგომასა, შეწირეს შესაწირავი დიდი და წარმოვიდეს ანტიოქიას“³⁵.

ვახტანგს გარკვეული მატერიალური დამსახურება მიუძღვის იერუსალიმის ჯვრის მონასტრისადმი. ამის დასტური იქ არსებული მისი ფრესკა უნდა იყოს. ჯუანშერის ისტორიაში მოთხრობილი „არაკი ვახტანგ გორგასალისა“ საერთოდ ფრიად არარეალურ და ზღაპრულ შთაბეჭდილებას ახდენს, რაც სამართლიანადაა შენიშნული ივანე ჯავახიშვილის მიერ და ასევე შეიძლება გვიანდელი მოგონილი იყოს ამ არაკში დაცული მეფე ვახტანგის განცხადება „გამომიხსნია იერუსალემი, წმიდა ქალაქი“, მაგრამ ისტორიკოსის ამ განცხადებას იქნებ საფუძველს უქმნის ამ პერიოდში ქართველთა მიერ იერუსალიმში ჩატარებული სამშენებლო-კულტურული საქმიანობა. ტიმოთე გაბაშვილის „მომოსვლაში“ არსებული გადმოცემა ვახტანგ მეფის აღმშენებლობითი საქმიანობისა და იერუსალიმის დაპყრობის შესახებ უდავოდ გაზვიადებულია, მაგრამ ეს გაზვიადება ალბათ არის შედეგი იმ რეალური საქმიანობისა, რომელიც შეიძლება ვახტანგის სახელთან იყოს დაკავშირებული იერუსალიმში.

ამ ეპოქის ისტორიისათვის ფრიად საინტერესო ფაქტია ბრიტანეთის მუზეუმში დაცულ გემმაზე გამოხატული პიროვნების იდ-

ენტიფიკაციის საკითხი. ამ გემმაზე გამოსახულია გვირგვინოსანი მამაკაცის პორტრეტი პროფილში, რომლის თავთან მოთავსებულია ფალაური წარწერა. წარწერას სხვადასხვანაირად კითხულობენ (Vardanşahı, Vardanes, Vartan...). შ. ამირანაშვილი ამ წარწერას კითხულობს: Vrthangi, და მიაჩნია, რომ ეს არის ვახტანგ გორგასალი, რადგან, ჯუანშერის თანახმად, ვახტანგს სპარსულად უწოდეს სახელი „ვარან-ხოსროვ-თანგ, ხოლო ქართულად ეწოდა ვახტანგ“. შ. ამირანაშვილს მიაჩნია, რომ ამ გემმაზე გამოსახულია ქართლის მეფე ვახტანგ გორგასალი, რომელსაც თავზე ადგას ირანის შაჰის მიერ გამოგზავნილი „გურგუნი ანთრაკოვანი“³⁶.

თუ ამ გემმაზე ნამდვილად ქართლის მეფეა გამოსახული, მაშინ ჩვენ იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ნაგვიანევი ხანის ფრესკის ვერტიკალურ გეგმას ამ სახელოვანი ქართველი მოღვაწის გამოსახულება, შექმნილი მისი თანამედროვის მიერ.

КАРТЛИ ВО ВТОРОЙ ПОЛОВИНЕ V ВЕКА

Резюме

Во второй половине V в. на ближневосточной политической арене соперничали между собой две могущественные империи — Византия и Иран. В силу создавшихся обстоятельств, их взаимоотношения во второй половине V в. носили относительно мирный характер: Византия с трудом отбивалась от вандалов и гуннов, ее раздирали классовая и внутриклассовая борьба, у Сасанидов же серьезную тревогу вызывало усиление на восточных границах Ирана кочевых племен — эфталитов, которые подчинили себе Тохаристан, Согд и другие провинции. Шах Пероз II (459—484), потерпевший поражение в борьбе с эфталитами и взятый ими в плен, был вынужден выплатить большую контрибуцию и уступить области восточнее Мерва.

В освобождении шаха Пероза активное участие принял византийский император Зенон (479—491); видимо, на данном этапе кочевники являлись более опасной силой, чем Сасаниды. В 484 г. шах Пероз погиб в борьбе с эфталитами.

В условиях такой расстановки сил преимущество в Восточном Закавказье было на стороне Сасанидов. В V в. Иран упразднил царскую власть в Армении и Албании. Правителями этих стран назначались шахские чиновники. С целью укрепления своих позиций Иран насаждал здесь маздеизм. Засилье иранской власти вызывало борьбу народов Закавказья. Одной из форм их самозащиты от иранского засилья являлось сплочение вокруг христианской идеологии.

В середине V в. на территории Грузии существовали два грузинских государства: западнотуркменское — царство Эгриси (Лазика) и восточнотуркменское — царство Картли (Иберия).

Во второй половине V в. во главе царства Картли стоял крупный государственный деятель, дальновидный политик, выдающийся полководец царь Вахтанг Горгасали. На цар-

ском престоле он находился с середины 40-х гг. V в. до начала VI в.

Картлийское царство было раннефеодальным государством. Государственное управление осуществлялось царем и высшим советом, в который входили спаспет (военачальник), глава духовенства и эриставы — правители крупных административных единиц, эриставств. При решении важных государственных вопросов царь восседал на троне, рядом с ним находились спаспет и глава церкви, эриставы восседали на высоких стульях, стоя участвовали в царском совете начальники военных отрядов (тысяцкие, сотники), а также войско («эри» — народ, основная военная сила государства), которое представляло собой пока еще лично свободную часть населения.

Эриставы, будучи высшими военными чинами, осуществляли и государственную власть, т. к. гражданское управление не было пока еще отделено от военного.

Экономический потенциал Картли в основном был обусловлен развитым сельским хозяйством. В Картли IV—V вв., кроме полководства, животноводства и огородничества широко были распространены такие интенсивные отрасли сельского хозяйства, как виноградарство, садоводство. Интенсификация сельского хозяйства была основана на оросительной системе, которая широко развивалась в раннефеодальной Грузии. Значительные сдвиги намечались в усовершенствовании сельскохозяйственных орудий.

Раннее средневековье характеризуется разнообразием форм землевладения. В этот период в Грузии наряду с царским, церковно-монастырским и крупновотчинным широко представлено и мелкособственническое землевладение. Большой удельный вес принадлежит и общинному землевладению. Тенденция развития намечается в сторону расширения и укрупнения крупновотчинного землевладения.

Раннее средневековье вообще характеризуется падением городов и перемещением центра жизни в деревню, но этот процесс не во всех регионах протекал одинаково интенсивно. Грузинские города IV—VI вв. характеризовались упадком развития ремесел, отмечалось широкое распространение пригородного сельского хозяйства. В этот период намечается упадок и международной торговли, монетного обращения. Правда, в Грузии IV—VI вв. возникает ряд городов, но они, как правило, являлись административно-политическими центрами, основанными государственной властью, а не новыми феодальными городами. Условий для создания феодальных городов не было. Административно-политическими цент-

рами Картлийского царства, основанными государственной властью во второй половине V в. являются города Тбилиси (куда Вахтангом была перенесена столица государства), Уджарма, Артануджи, Череми... Тбилиси в это время был значительной крепостью, где в IV в. обосновались иранцы. Наместник шаха из Тбилиси контролировал царя Картли. Хотя Тбилиси, как и Мцхета, являлся центром важного экономического района и был расположен на торговом пути международного значения, перенесение сюда столицы, видимо, в основном было обусловлено политическими факторами: иранцы лишались главного опорного пункта в Картли. История оправдала выбор Вахтанга — Тбилиси стал центром всей Грузии.

Первые века нашей эры — период больших социальных сдвигов в жизни нашей страны. На грани старого и нового летоисчисления здесь соперничают разные способы производства. К IV в. Картли — раннефеодальное государство.

Во второй половине V в. большую часть социально-господствовавшего класса составляли азнауры, выходцы в основном из слоя средних землевладельцев, представлявшие собой опору государственной власти в борьбе как с непосредственными производителями, так и с сепаратски настроенной крупной землевладельческой знатью.

Верхушку военно-чиновничьей аристократии составляли эриставы. Они были обязаны выводить войско, обеспечивать своевременное поступление государственных налогов, осуществлять административное и судебное управление вверенных им областей. Эриставов назначал царь, но рано стала проявляться тенденция наследственной передачи эриставской власти.

К верхушке феодальной аристократии принадлежали мтавары — наследственные владельцы небольших политических единиц. К этой же группе примыкают и многочисленные потомки царского рода. Дальнейшее развитие шло по пути объединения всех представителей господствующих слоев в один общий класс — феодалов, который в Грузии именуется классом азнауров.

Большую часть общества составлял класс непосредственных производителей, который также характеризовался многослойностью. Большинство производителей — все еще лично свободные общинники, которые хотя и сохраняли владельные права на наследственные или общинные личные владения, но уже обязаны были выплачивать государственные налоги в форме добровольных приношений и нести воинскую повинность.

Определенную часть производителей составляли крестьяне, лично не свободные земледельцы, часть которых уже была прикреплена к земле. Владетелями крестьян являлись светские феодалы и духовенство.

Незначительную часть производителей составляли рабы. Рабами владели царь и крупные землевладельцы. Их труд в основном применялся в домашнем хозяйстве и ремесленном производстве.

Наряду с указанными общественными слоями, пока еще в большом количестве были представлены и представители переходящих слоев.

Таким образом, общественные слои Картлийского царства в основном состояли из господствовавшего феодального класса, лично свободных мелких собственников, объединенных в общины земледельцев, крестьян и частично рабов.

Основные слои феодального общества преимущественно были представлены в низменных и предгорных районах. Горные районы отставали в своем развитии от низменных, производительное общество там преимущественно было объединено в общины, но это уже не были свободные общины первобытного общества — господство над ними осуществляло государство. Горцам вменялось нести воинскую службу и выплачивать государству дань.

В Грузии данного времени развитие шло по линии консолидации господствующих слоев в один класс — класс азнауров (феодалов) и превращения лично свободных общинников и мелких собственников в крестьян, что обостряло классовую борьбу между ними.

Как известно, в середине века классовая борьба в основном проявлялась в религиозных выступлениях.

Христианство уже давно, в начале IV в., было объявлено в Грузии государственной религией. Мы не располагаем прямыми данными о наличии в Картли этого времени догматических распри, но в нашем распоряжении имеются интересные данные об отношении «мелкого люда», т. е. основной массы производителей, к той пропаганде маздеизма, которую вел здесь Иран.

Сасанидский Иран использовал все способы для утверждения в Картли своего господства. Религия была весьма значительным оружием в руках завоевателей. В середине V в. между Картли и Ираном было достигнуто соглашение, на основе которого зороастризм приобретал в Картли равные с христианством права, разрешалась свободная пропаганда огнепоклонства среди картлийского населения. Эта пропаганда имела определенный успех — часть «мелкого

люда» переметнулась к огнепоклонникам. Христианская религия в Грузии с момента ее принятия была идеологией феодального класса. Она служила утверждению социально-политического и экономического господства класса феодалов. Протест против христианства, выразившийся как в защите язычества, так и в противопоставлении ей религии завоевателей, является ярко выраженной формой классовой борьбы.



В середине V в. страны Восточного Закавказья (Албания, Армения, Картли) являлись вассалами Ирана. Когда на престол Картли вступает малолетний Вахтанг, его мать, дочь наместника шаха, марзпана Барзабода, отправилась к отцу в Бардав для урегулирования ирано-картлийских взаимоотношений. Вахтанг был признан царем Картли на правах вассальной зависимости, и ему вменялось в обязанность нести воинскую повинность, принимать участие в походах Сасанидов, укреплять расположенные в пределах его царства северо-кавказские перевальные пути, выплачивать дань (вероятно, в форме «добровольных» одновременных богатых приношений). Грузинская сторона была вынуждена согласиться с требованием Сасанидов относительно статуса зороастризма в Картли, и, как отмечено, была допущена свободная пропаганда огнепоклонства в Картли. Глава картлийских огнепоклонников получал равные с христианским епископом права.

В фактическое управление страной царь Вахтанг вступает в конце 50-х гг. Он воспользовался своим положением вассала Сасанидов для укрепления мощи Картли. Первым делом он предпринял поход на Северный Кавказ и, т. к. он действовал с согласия и от имени шаха, получил большую военную помощь от марзпана Рана.

Совершив победоносный поход на Северный Кавказ, царь Картли укрепил северную границу царства, возвел новые башни и сооружения в Дарьяльском проходе и в знак благодарности отослал шаху богатые дары из военной добычи (рабов, коней и др.).

Царь Картли пользуется и ирано-византийскими противоречиями. В 467—468 г. против царя Эгриси, вассала Византии, восстают сваны, им оказывает помощь вассал Ирана, царь Картли. В большой международной политике, на арене Ближнего Востока, этот акт расценивается как вмешатель-

ство Ирана во внутренние дела Эгриси, а фактически это было борьбой Картли за Западную Грузию, в результате которой часть Западной Грузии подчинилась царю Картли (т. е. Ирану).

В это же время царь Картли совершает поход в Юго-Западную Грузию, часть которой с IV в. была отторгнута Византией, и отвоевывает исконно грузинскую провинцию Кларджети, назначает своего правителя эристава Артаваза и поручает ему строительство крепости Артануджи, монастыря и церкви.

К царству Картли была присоединена также и провинция Эрети, расположенная на востоке Картли.

Таким образом, во второй половине V в. под властью Вахтанга Горгасали объединяется большая часть исторической Грузии. Правда, в этих присоединенных областях, видимо, не в одинаковой мере была представлена реальная власть царя Картли.

Царь Картли подчинил своей власти население горной части Центрального Кавказа, укрепил проходы, возвел оборонительные сооружения и разместил там свои военные части; большие оборонительные сооружения возводит царь Вахтанг для укрепления восточных провинций: строится крепость Уджарма, одна из царских резиденций, крепость Череми и создается целая система укреплений; царская резиденция создается и в Кларджети, где строится большой город и возводится целая система фортификационных сооружений.

В исторических провинциях Западной Грузии, вошедших в состав царства Картли якобы на началах эриставств, в известных нам письменных источниках нет указаний на строительство там оборонительных или каких-либо других сооружений царем Картли, хотя, по данным источников, управление этих областей осуществлялось царскими эриставами. (Не исключено что археологическое изучение Эгриси пополнит наши знания в этом вопросе). С политическим статусом западногрузинских эриставств в определенном смысле связан и вопрос церковного подчинения Западной Грузии.

В 70-х гг. V в. в Картли была проведена церковная реформа, в результате которой восточногрузинская церковь приобрела автокефалию. Западногрузинская же церковь оставалась в подчинении константинопольского патриарха. В царстве Картли были учреждены новые епископские кафедры, выстроены церкви и монастыри.

На территории Эрети данного времени также предполагают существование пяти епископских кафедр, из коих обозначение двух относится царю Вахтангу.

В воссоединенном Кларджети одновременно со строительством города-крепости Артануджи учреждается епископская кафедра, строятся церкви и монастыри.

Церковная реформа, видимо, не распространилась на западногрузинские провинции.

Примерно в 60—70-х гг. V в., при шахе Перозе, Иран подчиняет своей власти всю Западную Грузию (за исключением собственно Абхазии). Это происходит при непосредственном участии или, что более вероятно, по инициативе царя Вахтанга и в основном силой картлийских войск. Подчиненное Эгриси было включено в состав царства Картли на правах двух административных единиц — двух эриставств. Эти эриставства царю Картли подчинялись как вассалу Ирана. Можно предположить, что во главе указанных эриставств находились представители западногрузинского царского дома.

Царь Картли Вахтанг активно готовился к освобождению своей страны от иранского ига. Будучи вассалом Ирана, он использует это свое положение для расширения границ государства, объединяет большую часть Грузии. Согласно сообщению древнегрузинской летописи, в царстве Картли было десять крупных военно-административных единиц; среди них спасетство Шида Картли, во главе которого стоял спасет «глава всех эриставов». Затем источник перечисляет остальные девять эриставств: Кахети и Кухети, Эрети, Хунани, Самшвилде, Шида Эгриси и Сванети, Маргви и Такверри, Кларджети, Цунда, Одэрхе.

Эриставу Самшвилде нашего списка должен соответствовать институт «Питнахша Картли». В связи с этим встает вопрос о характере власти и о пределах владений Варскена питнахша. Проблема статуса и пределов владений картлийского питнахша Варскена вызывает ряд разногласий среди исследователей.

Питнахш — правитель большой провинции. Им может быть и иностранец и представитель местной вельможной знати. В нашей действительности V—VI вв. известны как иранские питнахши — чиновники шаха, присланные в Закавказье в качестве наместников (Крам Хуар-Бор-Зард, вторая половина IV в., Вараш, начало V в., Барзабод, середина V в., Вараз-Бакур 60-е гг. V в.), так и местные питнахши (Аршуша, середина V в., Варскен, вторая половина V в., Аршуша, первая половина VI в.). В грузинских и армянских

источниках эти местные питнахи именуется «питнахш Картли», «мтавар Ташира», «питнахш Гугарка».

Варскен — питнахш Картли (как и его отец Аршуша) был эриставом царя Картли. Пределы его эриставства охватывают историческую провинцию Квемо Картли (современный Болнисский и Самшвилдский районы). Часть Квемо Картли в течение определенного времени (II—I вв. до н. э.) подчинялась Армении. В этой исторически грузинской провинции, со смешанным грузино-армянским населением, было сильное политическое влияние Ирана, что и обусловило видимо утверждение титула «питнахши»/«бдешх» в доме правящей династии. Следует учесть и то обстоятельство, что согласно грузинской исторической традиции, основатель рода питнахшей Квемо Картли Пероз был родом из Персии.

Следовательно, картлийские питнахи — это эриставы царей Картли, в ведении которых находилась Квемо Картли.

В 467 г. питнахш Варскен, сын Аршуши и супруг Шушаник предстает перед шахом Перозом и отрекается от христианской веры. За это он получает от шаха высокую должность марзпана Албании, т. е. наместника шаха в Закавказье, которому подвластны местные правители, а следовательно, и царь Картли. В результате вассал Ирана царь Картли Вахтанг стал подчиненным своего эристава, наследного питнахша Квемо Картли. Этой создавшейся ситуацией объясняется непризнание власти Вахтанга во владениях Варскена.

Одна из основных обязанностей Варскена как марзпана Албании заключалась в укреплении закавказских перевальных путей и защите границ Сасанидской империи от вторжения кочевников. Питнахш Варскен был опорой и агентом Сасанидов в Картли, он являлся той силой, которую Сасаниды противопоставляли царю Картли.

Варскен обещал шаху обратить в огнепоклонников жену и детей. Но Шушаник, дочь прославленного армянского полководца, погибшего в борьбе за свободу родины, Вардана Мамиконяна, отказалась изменить вере отцов и в знак протеста оставила дом мужа. Замученная супругом она скончалась в заточении.

Для укрепления государства и централизации власти, большое значение имеет вопрос взаимоотношения государства и церкви. Христианская религия являлась опорой грузинского и феодального государства. Цари Картли энергично боролись за единство веры, видя в ней прочный фундамент политического единства.

В царствовании царя Вахтанга в Картли проводится весьма важное мероприятие с целью подчинения церкви государству и объединения интересов церкви и государства.

Во главе грузинской церкви находился глава епископов («мтаварепископоси») Микаэль. Между царем и Микаэлем произошел конфликт, причины которого неизвестны. По данным источников царь обвинял Микаэля в присвоении им церковных ценностей, Микаэль же обвинял царя в вероотступничестве. Когда царь, видимо, не желая доводить дело до открытого конфликта, явился в церковь и нагнулся к Микаэлю для поцелуя, тот ударил его ногой. Для разбирательства дела царь отправил Микаэля в Константинополь к патриарху.

Реорганизация грузинской церкви, проведенная царем Вахтангом, формально берет начало с этого конфликта. Но вряд ли это так. Реорганизация церкви является важной частью государственных мероприятий, идея которой, видимо, выработывалась в течение длительного времени.

Грузинская церковь приобрела автокефалию, и глава церкви был возведен в сан католикоса. Реорганизация была проведена в 472—482 гг. Вместе с католикосом были поставлены 13 новых епископов. Некоторые из них возглавили новые епископские кафедры, учрежденные царем Вахтангом, остальные, видимо, заменили не желанных царю старых епископов, сторонников свергнутого Микаэля.

Такая большая реорганизация — важное явление в истории, и оно давно привлекает внимание исследователей. В связи с этой проблемой встает ряд спорных вопросов: на какой почве произошел конфликт между царем и главой церкви? Если он произошел на конфессиональной почве, то какая из сторон придерживалась диофизитского толка? Произошла ли реорганизация вследствие конфликта или намерение царя реорганизовать церковь обострило взаимоотношения между ним и главой церкви?

Бесспорно, реорганизация церкви имела принципиальное значение. Учреждение католикосата и приобретение автокефалии первым делом было обусловлено политическим положением Картлийского царства и его международным престижем. При взаимопонимании между царем и главой церкви, царь, наверное, возвел бы его в сан католикоса. Когда главе грузинской церкви стало известно намерение царя о приглашении католикоса из Константинополя, он проклял Вахтанга и обвинил его в вероотступничестве.

К концу V в. царство Картли, от Кларджети до Эрети, было покрыто сетью епископских кафедр. Они составляли

паству мцхетского католикоса. Как уже отмечалось, в административно-политических пределах царства Картли находилась большая часть Западной Грузии, но в списке мцхетской епархии западногрузинских кафедр нет. Западногрузинская церковь подчинялась константинопольскому патриарху. Константинополь с трудом уступал свои позиции. Приобретение самостоятельности восточногрузинской церковью совместно с догматическими правами было обусловлено и политическим положением. В сложной международной обстановке на Ближнем Востоке Византия была вынуждена считаться с Картли, с силой, которая защищала и отстаивала интересы христианства на Кавказе.

Реорганизация грузинской церкви, проведенная во второй половине V в., обеспечила союз светской и духовной власти. Увеличение сети епископских кафедр способствовало распространению влияния грузинской церкви по ту сторону Кавказского хребта, что расширило и сферу распространения грузинского языка и грузинской культуры, т. к. языком восточногрузинской церкви с самого начала был грузинский.

Союз между государством и церковью был направлен и против производительной части населения — крестьянства — их общего классового врага. Создание новых епископских кафедр сопровождалось проведением больших строительных работ: строились новые церкви, а в ряде случаев на месте существующих маленьких, возводились новые большие храмы. Так вместо первой маленькой христианской церкви в Мцхета был построен большой каменный кафедральный храм — Светицховели.

Таким образом, грузинская церковь приобрела автокефалию, во главе церкви были поставлены лица, поддерживавшие политику центральной государственной власти. Влияние и авторитет церкви царь направил на усиление Грузинского государства.

Как уже отмечалось, царство Картли было вассалом сасанидской державы. Картлийское царство выплачивало Ирану дань, утверждение на престол и знаки царского достоинства царь получал от шаха. Царь Картли был обязан обеспечивать безопасность северных перевальных путей на территории Картли, нести воинскую службу, участвовать в походах Ирана.

Сасаниды старались сохранить позиции огнепоклонства

в Картли. Царь Вахтауг был весьма обеспокоен усиленным веры завоевателей в Картли, но бороться с этим не мог.

Царствование Вахтауга ознаменовано свершениями больших государственных дел — он присоединил к царству значительную территорию, обеспечил безопасность его границ, подчинил церковь государству, интересы светской и духовной власти подчинил интересам государственным. Но все это он проводил как вассал Ирана, пользуясь помощью войск сюзерена для достижения своих целей.

Теперь настало время решить отношения с Ираном. Царь Вахтауг укрепляет крепости, готовит и вооружает войско для борьбы с Ираном. Как сообщает грузинский историк, он «заточил в темницу Бикарана, епископа огнепоклонников, истребил и изгнал всех огнепоклонников из пределов Картли». Вполне закономерно, что именно перед сражением с иранцами царь уничтожил в Картли идеологическую основу Сасанидов. Историк царя Вахтауга отмечает, что это происходит в период, когда Вахтауг устанавливает дипломатические отношения с Византией и заключает династический брак с императорским домом. Шах Ирана понял, что этот союз направлен против него, и иранские войска наступают в Картли. Царь Картли обратился за помощью к Византии.

Четыре месяца длилась война, разорявшая грузинскую землю, большие потери нес и враг. Только по истечении этого времени дошла весть о прибытии помощи из Византии.

